საერთაშორისო ურთიერთობების თეორია

ლექციების კურსი

Created by user *ირაკლი გორგილაძე*

შინაარსი

თემა I	საერთაშორისო ურთიერთობები როგორც სამეცნიერო დისციპლინა
თემა II	საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის ძირითადი კატეგორიები
თემა III	მსოფლიო ეკონომიკა და საერთაშორისო ურთიერთობები
თემა IV	დასავლეთევროპული ინტეგრაცია: ისტორია და თანამედროვეობა
თემა V	სივრცისა და დროის კატეგორიები საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში და თეორიაში
თემა VI	რეჟიმები როგორც შუალედური ცვლადები საერთაშორისო ურთიერთობებში
თემა VII	იდეოლოგიის როლი სახელმწიფოს პოლიტიკაში
თემა VIII	სამხედრო ძალის ფაქტორი საგარეო პოლიტიკაში
თემა IX	კონფლიქტი: კატეგორიალური კომპლექსი საერთაშორისო ურთიერთო-ბების თეორიაში
თემა X	გლობალიზაცია და საერთაშორსო ურთიერთობები
თემა XI	რელიგიური ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში
თემა XII	ეროვნული ინტერესები და ეროვნული უსაფრთხოება
თემა XIII	საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა (სპს)
თემა XIV	ომისა და მშვიდობის სტრატეგია საერთაშორისო ურთიერთობებში
თემა XV	დემოკრატიული მშვიდობის თეორია

რეკომენდირებული ლიტერატურა:

1. ეკა აკობია. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. თბ., 2006. იხ. http://ucss.ge/geo/publication/publications_detail.php?ID=169)
2. გიორგი სანიკიძე, ნინო კიღურაძე. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები. თბ.,2001
3. ზურაბ დავითაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, ქრესტომათია. სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი, 2004
4. ალექსანდრე რონდელი. საერთაშორისო ურთიერთობები. თბ., 2006
5. ედვარდ ლუტვოკი, სტრატეგია, ომისა და მშვიდობის ლოგიკა. სამხედრო ბიბლიოთეკა, სამხედრო გამოცემათა სერია, ათტომეული. თბილისი, 2007;
6. თუკიდიდე, ისტორია. სამხედრო ბიბლიოთეკა, სამხედრო გამოცემათა სერია, ათტომეული. თბილისი, 2007;
7. ნიკოლო მაკიაველი, მთავარი. 2006;
8. კარლ ფონ კლაუზევიცი, 1806 წელი. სამხედრო ბიბლიოთეკა,სამხედრო გამოცემათა სერია, ათტომეული. თბილისი, 2007;
9. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. გამოცემათა სერია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2006;
10. პიტერ მალანჩუკი, აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილის 2005.

ლექცია 1. საერთაშორისო ურთიერთობები
როგორც სამეცნიერო დისციპლინა

საერთაშორისო ურთიერთობები (სუ) პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთი დარგია, რომელიც შეისწავლის საგარეო პოლიტიკასა და სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებს საერთაშორისო სისტემაში. ეს უკანასკნელი მოიცავს სახელმწიფო-ებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მულტინაციონალურ კორპორაციებს. სუ არის როგორც აკადემიური ასევე საჯარო პოლიტიკის სფერო, რომელიც შეიძლება იყოს პოზიტიური ან ნორმატიული. იგი ცდილობს სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის გაანალიზებასა და განსაზღვრას. პოლიტიკური მეცნიერების გარდა, სუ-ს შეხება აქვს ისეთ განსხვავებულ მეცნიერებებთან, როგორებიცაა:ეკონომიკა, სოციოლოგია, ანთროპოლოგია, ფსიქოლოგია და კულტუროლოგია.

საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც აკადემიური დისციპლინის ჩამოყალიბება დიდად განაპირობა XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს დაპირისპირებულ ბანაკებად დაყოფამ და 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებამ. ჩამოყალიბებისთანავე საერთაშორისო ურთიერთობები განვითარდა კონკრეტული იდეოლოგიური მიმართულებით და მისი ხედვა აიგო ერთი თეორიის - იდეალიზმის საფუძველზე. პირველი მსოფლიო ომით გამოწვეული დიდძალი მსხვერპლის შედეგად მსოფლიოში მომწიფდა შეხედულება, რომ აუცილებელად უნდა შესწავლილიყო ომის გამომწვევი მიზეზები, რათა მომავალში თავიდან აეცილებინათ მსგავსი დამანგრეველი მოვლენები. სწორედ იდეალიზმი გახდა ის იდეოლოგია, რომლის პრინციპებზე დაყრდნობითაც მომავალში კაცობრიობას უნდა შეძლებოდა ამ დამანგრეველი ფენომენის თავიდან აცილება.

აღსანიშნავია, რომ პირველ მსოფლიო ომამდე საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც სამეცნიერო დისციპლინა არ არსებობდა და მის ფუნქციებს ძირითადად სამართალი და ისტორია ითავსებდა. ძირითადად ისტორიკოსები, უფრო ზუსტად კი, დიპლომატიის ისტორიკოსები იყვნენ დაკავებულნი სხვადასხვა ისტორიული ფაქტების

ანალიზით, თუმცა, ამ ფაქტების განზოგადებასა და დასკვნების გამოტანაზე არავინ ფიქრობდა. ასევე აღსანიშნავია, პუბლიცისტიკის და ჟურნალისტების როლი; აქ შეგვიძლია გავიხსენოთ ვინმე აინშტაინის სტატია, რომელიც პირველი მსოფლიო ომის წინ გამოქვეყნდა ამერიკაში, სადაც ავტორი მოუწოდებდა ამერიკის მთავრობას ყურადღება მიექცია ევროპაში მიმდინარე მოვლენებისათვის და არ გაეგრძელებინა იზოლა-ციონისტური პოლიტიკა.

იმისათვის, რომ კარგად მივხვდეთ რა თეორიული ფონი იყო შექმნილი პირველი მსოფლიო ომის დროინდელ ევროპაში, საკმარისია გავიხსენოთ კარლ ფონ კლაუზევიცის სიტყვები - ომი დიპლომატიის უფრო ძლიერი ფორმაა, ხოლო საბრძოლო ასპარეზი მოლაპარაკებების კონფერენციის გაგრძელება. აქედან ჩანს, რომ ომი სულ უფრო და უფრო ხშირად გამოიყენებოდა როგორც ინსტრუმენტი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მიხვდნენ წამყვანი ქვეყნების პოლიტიკური ელიტები, რომ ომის შედეგად მიღებული სიტუაცია არ შეიძლებოდა ყოფილიყო არავისთვის მომგებიანი და სწორედ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა პირველი სასწავლო ცენტრები და დეპარტამენტები, სადაც საერთაშორისო ურთიერთობები ისწავლებოდა. პირველი კათედრა, სადაც საერთაშორისო პოლიტიკა ისწავლებოდა, იყო უელსში, აბერისთვითის უნივერსიტეტში, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი პირველად ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში დაარსდა. ორივეგან ეს მოხდა 1919 წელს.

ამ პერიოდში მოღვაწე სპეციალისტების მიერ ომი აღქმულ იქნა როგორც ტრაგედია, რადგან პირველმა მსოფლიო ომმა მოიტანა უამრავი მსხვერპლი. ზოგიერთ ბრძოლებში 100 000-ზე მეტი ადამიანიც კი დაღუპულა (მაგალითად, საფრანგეთი, 1916 წელი). ამის გამართლება არ არსებობდა. დიკინსონი ამბობდა, რომ ,,ომი არ არის ადამიანის ბუნების გარდაუვალი შედეგი, ის ბუნების გარკვეული პირობებში გამოვლენაა," ხოლო არნოლდ ტოინბიმ ომს ,,კაცობრიობის მომაკვდინებელი სენი" უწოდა.

იდეალიზმი გახდა ერთგვარი პასუხი კითხვაზე, თუ რატომ ხდება ომი? რატომ განაგრძობდნენ ომს ქვეყნები მაშინ, როდესაც ამდენი მსხვერპლის გათვალისწინებით ომიდან შემოსული მოგება სულ უფრო მცირდებოდა.

ამ კითხვებზე პასუხი საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში დიდად იყო დაფუძნებული ორ ომს შორის გაბატონებულ ტრადიციაზე, რომელიც ლიბერალური იდეალიზმის სახელითაა ცნობილი. ამ ტრადიციის მიხედვით, საჭირო იყო ძალთა ბალანსის და ალიანსების სისტემის შეცვლა.

მაშასადამე, იდეალიზმზე დაფუძნებული ხედვა/მიზანი იყო შემდეგი: მსოფლიო სისტემის რეფორმირება და ავტოკრატიულ სახელმწიფოებში შიდა ცვლილებების მოხდენა.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ვუდრო უილსონის მიერ წამოყენებული ცნობილი 14 პუნქტი მიიჩნევა იდეალიზმის მანიფესტად. იგი მოიცავს პუნქტებს საიდუმლო დიპლომატის აღკვეთის შესახებ და შეთანხმებების ღიად დადების აუცილებლობის შესახებ. ოუწოდებს, რომ იყოს ნავიგაციის თავისუფლება, თვითგამორკვევა ყველასთვის, შეიარაღების შემცირება და ასე შემდეგ, ხოლო ბოლო პუნქტად მოცემული აქვს ერთა ლიგის ჩამოყალიბება, რომელიც უნდა ყოფილიყო ორგანიზაცია, რომელიც დაიცავდა საერთაშორისო წესრიგს და მშვიდობას.

ვილსონისეული იდეალიზმი მოკლედ რომ ვთქვათ, გულისხმობდა რაციონალური და ინტელიგენტური საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნას და ამით ომის შეკავებას, რაც უნდა გამხდარიყო საფუძველი მსოფლიოში სამუდამო მშვიდობის დამკვიდრებისა.

ნორმან ანჯელი ასევე არის იდეალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. თავის ნაშრომში - დიდი ილუზია (1909), იგი ამბობდა, რომ ზოგიერთს ჯერ კიდევ ჰგონია, რომ ომი არის მომგებიანი, ხოლო დღევანდელ სამყაროში ეს ასე არ არის. ანჯელი გამოთქვამდა იმედს, რომ სახელმწიფოები (მათი ლიდერები) თუ გაიზიარებენ ამ ფაქტს, მიხვდებიან ომის უშედეგობას და უსარგებლობას. მისი აზრით, რაც უფრო წინ წაიწევდა მოდერნიზაცია, მით უფრო ურთიერთდამოკიდებული გახდებოდა მსოფლიო და შესაბამისად ომი გახდებოდა უსარგებლო.

უილსონის და ანჯელის მოსაზრებები ეყრდნობა აზრს, რომ ადამიანები არიან რაციონალურები, და თუკი ისინი გონებით მიუდგებიან საერთაშორისო ურთიერთობებს მაშინ შექმნიან ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც ყველას სიკეთეს მოუტანს.

ლიბერალური იდეების გავრცელების ერთ-ერთი ტრიუმფი იყო სახელმწიფოებს შორის 1928 წელს დადებული კელოგ-ბრიანის პაქტი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოები

უარს აცხადებდნენ საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენებაზე და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებას ირჩევდნენ. მაგრამ, ისტორიამ ნათელჰყო ლიბერალური იდეოლოგიის კრახი. ნაციზმის აღზევებასთან ერთად - იტალია, ესპანეთი, გერმანია, აღმოსავლეთ ევროპა გახდნენ ავტორიტარულნი, დემოკრატიულის მაგივრად. ამასთან ერთად ყველაზე დიდი კრახი განიცადა ერთა ლიგამ. იგი ჩავარდა ხუთ უმნიშვნელოვანეს შემთხვევაში (იაპონია-მანჯურია, იტალია აბისინია, ბოლივია-პარაგვაი, ესპანეთის სამოქალაქო ომი და სსრკ-ფინეთი).

ამასთან ერთად, ანჯელის მოსაზრებებიც იმის შესახებ, რომ მსოფლიო ხდება სულ უფრო და უფრო ურთიერთდამოკიდებული და ომი ხდება არამიმზიდველი ინსტრუმენტი, არ გამართლდა: ვაჭრობა საგრძნობლად შემცირდა და ინდუსტრიული განვითარება შენელდა იმდენად, რომ იგი გახდა მხოლოდ მესამედი იმისა, რაც იყო მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცე საუკუნის დასაწყისში.

შესაბამისად, ისტორიის მსვლელობამ აჩვენა, რომ ძალა კვლავაც იყო უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ურთიერთობებში და რომ თანამშრომლობამ და კოლექტიურმა უსაფრთხოებამ, ერთა ლიგის სახით, ვერ გაამართლა (თუმცა, ერთა ლიგამ დიდ წარმატებას მიაღწია სხვა საკითხებში - პირველი მსოფლიო ომის ლტოლვილები, ნარკოტიკების შეკავება, ტრეფიკინგი და ასე შემდეგ).

რეალიზმი

ლიბერალური იდეალიზმი არ იყო საერთაშორისო ურთიერთობების კარგი ინტელექტუალური მეგზური 1930-იან წლებში. ურთიერთდამოკიდებულებამ არ წარმოშვა მშვიდობიანი თანამშრომლობა და ერთა ლიგაც წინ ვერ აღუდგა ტოტალიტარული და ექსპანსიონისტური ქვეყნების დესტრუქციულ ქმედებებს. შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობებში ხელახლა გაჟღერდა კლასიკური რეალისტების: თუკიდიდეს, მაკიაველის და ჰობსის მოძღვრებები.

ლიბერალური იდეალიზმის ყველაზე ყოვლისმომცველი კრიტიკა მოგვცა ბრიტანელმა საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტმა ედუარდ ქარმა, თავის საყოველთაოდ ცნობილ ნაშრომში *„ოცწლიანიკრიზისი"*, რომელიც პირველად 1939 წელს გამოიცა. ქარის თქმით, საერთაშორისო ურთიერთობების ლიბერალურმა მოაზროვნეებმა

არასწორად წაიკითხეს ისტორიული ფაქტები და ვერ გაუგეს საერთაშორისო ურთიერთობების ბუნებას. მათ შეცდომით სწამდათ, რომ ასეთი ურთიერთობები შეიძლებოდა დაფუძნებოდა ქვეყნებს და ხალხებს შორის ინტერესების ჰარმონიულობას. ქარის თქმით ყველაფერი პირიქითაა: ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ არსებობს ფუნდამენტური ინტერესთა კონფლიქტი ქვეყნებსა და ხალხებს შორის. ზოგიერთი ქვეყანა და ზოგიერთი ერები უკეთ არიან, ვიდრე სხვები. ისინი შეეცდებიან თავიანთი პრივილეგირებული პოზიციის შენარჩუნებას და დაცვას. უქონლები კი იბრძოლებენ სიტუაციის შესაცვლელად. საერთაშორისო ურთიერთობები, მარტივად რომ ითქვას, არის სწორედ ბრძოლა ასეთ კონფლიქტურ იტერესებსა და სურვილებს შორის. სწორედ ამ მიზეზით შეეხება საერთაშორისო ურთიერთობები უფრო მეტად კონფლიქტებს, ვიდრე თანამშრომლობას. [2]

მეორე მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელმაც გავლენა მოახდინა რეალიზმის აღზევებაზე, არის ჰანს მორგენთაუს *ქვეყნების პოლიტიკა: ბრძოლა ძალაუფლებისა და მშვიდობისათვის,* (1948 წელი) რომელმაც, ალექსანდრე რონდელის თქმით, დიდი ხნით განსაზღვრა საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინის თეორიული და პრაქტიკული ინტერესები და მთელი ამ დარგის შემდგომი განვითარების ხასიათი.

მორგენთაუსთვის ადამიანური ბუნება წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების ყველაზე დაბალ, ფუნდამენტურ დონეს. ადამიანები კი არიან ეგოისტები და ელტვიან ძალაუფლებას, რაც ადვილად ხდება აგრესიის საფუძველი. 1930-იან წლებში ძნელი არ იქნებოდა ამ მოსაზრებების ზურგის გამამაგრებელი არგუმენტების მოძიება, რადგან ჰიტლერის, მუსოლინის თუ იაპონიის საგარეო პოლიტიკა სწორედ კონფლიქტებზე იყო აგებული და არა თანამშრომლობაზე.

ჯექსონი და სორენსენი ამბობენ: არის 3 ძირითადი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რატომ ვარაუდობენ რეალისტები, რომ საერთაშორისო ურთიერთობები არის აუცილებლად ეგოიზმით და აგრესიულობით გაჟღენთილი. პირველი მოსაზრება ეფუძნება ადამიანის ბუნების თანდაყოლილ ბნელ მხარეს და მის ლტოლვას სიძულვილისა და დესტრუქციისკენ. იგივე მოსაზრება შეიძლება ქრისტიანულ რელიგიაზე დაფუძნებითაც

მივიღოთ, რომლის მიხედვით ადამიანები არიან ცოდვილნი და მიდრეკილნი ცდუნებისაკენ, მას შემდეგ რაც ადამი და ევა გამოგდებულ იქნენ სამოთხიდან. პირველი მკვლელობაც ისტორიაში ბიბლიაშია აღწერილი, როგორც კაენის მიერ მისი ძმის აბელის მოკვლა, მხოლოდ და მხოლოდ შურის საფუძველზე. ანუ, რეალიზმის საწყისი წერტილი არის ის, რომ ადამიანური ბუნება არის თანდაყოლილად, ბუნებრივად ბოროტი. [3]

მეორე მოსაზრება ეფუძნება იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო ურთიერთობები არის ბრძოლა ძალაუფლებისათვის ისეთ გარემოში, სადაც არ არსებობს მსოფლიო მთავრობა. ხოლო მესამე მნიშვნელოვანი მოსაზრება ისაა, რომ ისტორია არის ციკლური და არა ხარისხობრივად გაუმჯობესებადი ფენომენი, როგორც ამას იდეალისტები აღიქვამენ. თითოეული ახალი თაობა უშვებს იგივე შეცდომებს, რასაც მისი წინამორბედი და ამ გარემოების ცვლილება ნაკლებ სავარაუდოა. მოვლენები გრძელდება და მეორდება. სანამ არსებობს სუვერენული სახელმწიფოები სახელმწიფოები იბრძოლებენ ძალაუფლებისათვის, რათა უზრუნველყონ თავიანთი უსაფრთხოება. პირველი და მეორე მსოფლიო ომები არც არაბუნებრივია და არც გარდაუვალი. თუ არსებობს ძალთა ბალანსი ქვეყნებს ასევე შეუძლიათ დიდი ხანი მშვიდობიანად თანაცხოვრება. მაგრამ, ამა თუ იმ ეტაპზე ეს ძალთა ბალანსი ირღვევა, რასაც მოჰყვება ომები. ბევრი რეალიზმის წარმომადგენელი თვლის, რომ უკვე პარიზის 1919 წლის სამშვიდობო კონფერენცია მოიცავდა ომის მარცვლებს, რადგან გერმანიაზე კაბალური პირობები იქნა დაწესებული. თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ გერმანიის შიგნით განვითარებულმა და კიდევ სხვა მრავალმა მოვლენებმა ერთობლივად განაპირობეს მეორე მსოფლიო ომი.

მაშასადამე, 1920-იანი წლების უტოპიური იდეალიზმის და 30-50-იანი წლების რეალიზმის დაპირისპირება ქმნიან პირველ დიდ დებატებს საერთაშორისო ურთიერთობებში. რაღა თქმა უნდა, რეალიზმის სკოლამ ეს ეს დებატები მოიგო დიდი უპირატესობით და მორგენთაუს და ქარის თეზისები გახდა გაბატონებული მცნებები საერთაშორისო ურთიერთობებში. ბევრმა ლიბერალური სკოლის მესვეურმა აღიარა რეალიზმის გამარჯვება, მაგრამ ლიბერალიზმი, როგორც ერთ-ერთი სკოლა საერთაშორისო ურთიერთობებში არ ჩამკვდარა. ამ სკოლის წარმომადგენლებმა შემდეგში შექმნეს კიდევაც

ძლიერი კონტრ არგუმენტები უკვე გაბატონებული რეალიზმის წინააღმდეგ, რაც განხილული იქნება შემდეგ თავებში.

ბიჰეივიორალისტური რევოლუცია

მეორე დიდი დებატები საერთაშორისო ურთიერთობებში ეხება უფრო მეთოდოლოგიას, ვიდრე თავად თეორიებს. აქ მნიშვნელოვანია გავითავისოთ ის ფაქტი, რომ პირველი თაობის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები პროფესიით იყვნენ ისტორიკოსები, იურისტები, ყოფილი დიპლომატები, ან ჟურნალისტები. შესაბამისად, მათ ჰქონდათ უფრო ჰუმანიტარული, ისტორიაზე დაფუძნებული მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლისადმი. ეს მიდგომა კი ფესვგადგმული იყო ფილოსოფიაში, ისტორიაში და სამართალში და ახასიათებდა აზროვნებაზე და ანალიზზე (ჯუდგემენტ) დაყრდნობა. შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის ამ ნორმატიულ ფორმას ეწოდა ტრადიციული/კლასიკური მიდგომა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა გახდა ძალიან პოპულარული, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც სამთავრობო დაწესებულებები და კერძო ფონდები აფინანსებდნენ საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერულად შესწავლას, რასაც ისინი ამართლებდნენ ამერიკის ეროვნული ინტერესებით. ამ დახმარებამ წარმოშვა ახალი თაობა საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებისა, რომლებმაც შემოიღეს მკვეთრად მეთოდოლოგიური მიდგომა. ამ სპეციალისტებსაც განსხვავებული განათლება გააჩნდათ, ვიდრე ტრადიციონალისტებს. ისინი იყვნენ პოლიტოლოგები, ეკონომისტები ან სხვა სოციალური მეცნიერების წარმომადგენლები, და ზოგ შემთხვევებში, მათემატიკოსები და საბუნებისმეტყველო დისციპლინების წარმომადგენლებიც. ამ სპეციალისტებს ჰქონდათ სხვაგვარი მიდგომა საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლისადმი, და მათ ეწოდათ ბიჰეივიორალისტები, რადგან ემხრობოდნენ საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერულად შესწავლას, ამ ტერმინის პირდაპირი გაგებით. ბიჰეივიორალისტების ამბიცია იყო, რომ საერთაშორისო ურთიერთობებშიც აღმოეჩინათ შემოწმებადი და ობიექტური კანონზომიერებები, როგორც ეს ხდება სხვა მეცნიერებებში. ეს, რა თქმა უნდა,

მოითხოვს ფაქტების შეგროვებას, კლასიფიკაციას, განზოგადებას და წამოყენებული ჰიპოტეზის დამტკიცებას.

შესაბამისად, დაპირისპირება ორ მიდგომას შორის მოხდა მეთოდოლოგიის საფუძველზე. ტრადიციონალისტები ეყრდნობოდნენ ნორმებს და ფასეულობებს, ანალიზს და ისტორიულ ცოდნას და ცდილობდნენ წარმოედგინათ თავი შესასწავლი საგნის ადგილზე - მეცნიერი საგნის შიგნით. ამის საპირისპიროდ, ბიჰეივიორალისტები აყენებენ ჰიპოთეზას, აგროვებენ ფაქტებს, ეყრდნობიან მეცნიერულ ცოდნას და საგანს შეისწავლიან გარედან, დაკვირვებების მეშვეობით - მეცნიერი საგნის გარეთ.

ნეოლიბერალიზმი და ნეორეალიზმი

მიუხედავად იმისა, რომ პირველი დიდი დებატები რეალისტებმა მოიგეს აბსოლიტური უპირატესობით, ლიბერალური სკოლა არ ჩამკვდარა. 1950-იანი წლებიდან ეკონომიკის და ვაჭრობის ზრდასთან ერთად თავი წამოყო ლიბერალიზმმაც. აქ მცდელობა იყო რომ შექმნილიყო გაბატონებული რეალიზმის ალტერნატიული თეორიები, მაგრამ ამასთანავე ჩამოეცილებინათ მანამდე არსებული ჭარბი იდეალიზმი. მაშასადამე, ამ ლიბერალური სკოლის წარმომადგენლებს ეწოდებათ ნეოლიბერალისტები, რადგან მათაც, როგორც მათ წინამორბედებს სჯერათ პროგრესის და ცვლილებების, მაგრამ არ არიან იდეალისტები. ისინი ასევე ქმნიან თეორიებს მეცნიერულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით.

მსოფლიოში და განსაკუთრებით დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობის და ეკონომიკური აქტივობის ზრდამ წარმოშვა ბევრი ლიბერალი თეორია, რომელიც ყურადღებას აქცევდა ამ მოვლენებს და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მსოფლიოში არის თანამშრომლობა და რომ რეალისტების მიერ ნაწინასწარმეტყველები ბნელი მომავალით არ მთავრდება კაცობრიობის განვითარება. ისეთმა თეორიებმა, როგორიცაა სოციოლოგიური ლიბერალიზმი, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება, ინსტიტუციური ლიბერალიზმი და დემოკრატიული, ანუ რესპუბლიკური იდეალიზმი ყურადღება მიაქცია თანამშრომლობის და მშვიდობის ფორმებს მსოფლიოში და განავითარა მძლავრი თეორიები ემპირიულ მაგალითებზე დაყრდნობით. ამ თეორიებმა, რომლებიც დაწვრილებით ქვემოთ იქნება განხილული, მთლიანობაში შექმნა ახალი მძლავრი ტალღა ნეორეალიზმის წინააღმდეგ. მათი ამოსავალი წერტილი არის რწმენა იმისა, რომ

საერთაშორისო ურთიერთობები შეიძლება იყოს უფრო მშვიდობიანი და თანამშრომლობაზე აგებული. თუმცა, 80-იანი წლების დასაწყისში, კენეტ უოლცის მიერ რეალიზმის რეფორმულაციის შედეგად ბალანსი კიდევ ერთხელ გადაიწია რეალიზმის სასარგებლოდ. ამას ასევე ხელს უწყობდა ისტორიული მოვლენები, კერძოდ კი, მწვავე დაპირისპირებები დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რამაც თავისდათავად განაპირობა დებატების განგრძობადობა.

ნეორეალისტებმა კვლავაც შეძლეს ნეოლიბერალისტების თავდაცვით პოზიციაში გადაყვანა და თავად კვლავ გაბატონებული პოზიცია დაიკავეს. ნეორეალისტების სიძლიერე ის იყო, რომ მათ აღიარეს რომ ანარქია არ გამორიცხავს თანამშრომლობას, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც რეალიზმზე დაფუძნებით ახსნეს. მაგალითად, რეალისტები აღარ გამორიცხავენ თანამშრომლობას დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის, მაგრამ აღნიშნავენ, რომ თანამშრომლობის დროს სახელმწიფოები, უპირველეს ყოვლისა, ფიქრობენ ფარდობით მოგებაზე და ავტონომიის შენარჩუნებაზე. ისტორიულმა ფაქტებმაც ხელი შეუწყო ნეორეალიზმის კვლავ მოძლიერებას: 80-იან წლებში დაპირისპირებამ საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის პიკს მიაღწია. რეიგანმა საბჭოთა კავშირს ,,ბოროტი იმპერიაც" კი უწოდა, და ამ მტრულ გარემოში შეიარაღებაში შეჯიბრება კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. უთანხმოებები იყო ასევე დემოკრატიულ ბანაკში, სადაც, რა თქმა უნდა, ომი გამორიცხული იყო, მაგრამ სავაჭრო ომები ხშირად იმართებოდა. ამერიკა სულ უფრო გრძნობდა მზარდ კონკურენციას როგორც იაპონიის, ასევე ევროპის მხრიდან, რაც მწვავე სავაჭრო და სხვა ტიპის კონფლიქტების საფუძველი ხდებოდა. ეს კი წყალს ასხამდა ნეორეალისტების წისქვილზე, რომლებიც ამტკიცებდნენ რომ სახელმწიფოები არიან ეგოისტურები და რომ მათ ადარდებთ მხოლოდ საკუთარი ფარდობითი სიძლიერე და კეთილდღეობა სხვებთან შედარებით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1980-იან წლებში ბევრმა ნეოლიბერალმა აღიარა რეალიზმის ძირითადი მცნებები და გაიზიარა ამ თეორიის ფუნდამენტური მოსაზრებები იმის შესახებ, რომ სახელმწიფოები არიან მთავარი აქტორები ანარქიულ საზოგადოებაში, რომლებიც მუდმივად ცდილობენ თავიანთი ინტერესების განხორციელებას. მიუხედავად ამისა, ნეოლიბერალისტები ამბობენ, რომ საერთაშორისო სისტემა იძლევა უფრო

საფუძვლიანი თანამშრომლობის საშუალებას, ვიდრე ამას რეალისტები აღიარებენ და, რომ თანამშრომლობას ხელს უწყობს ინსტიტუტები, ურთიერთდამოკიდებულება და დემოკრატია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დებატების დროს მოხდა გარკვეული სინთეზი სკოლებს შორის, (მაგალითად, ბუზანმა და კიოჰეინმა გაითავისეს რეალიზმის ზოგიერთი ელემენტი), მთლიანი სინთეზი მაინც არ მომხდარა, რადგან არიან მკვეთრად დაპირისპირებული ავტორებიც, მაგალითად, მირშაიმერი (რეალიზმის სკოლის წარმომადგენელი) და რუზენაუ (ნეოლიბერალიზმის სკოლის წარმომადგენელი). შესაბამისად, ნეო-ნეო დებატები კვლავ გრძელდება.

საერთაშორისო საზოგადოება: ინგლისური სკოლა

ჩანასახიდანვე საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა დომინირებული იყო ამერიკელ მკვლევართა მიერ. სტენლი ჰოფმანმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, ,,საერთაშორისო ურთიერთობები დაიბადა და გაიზარდა ამერიკაში"[4] მან ასევე აღნიშნა, რომ ამერიკული სკოლა დომინირებდა საერთაშორისო ურთიერთობებს იმის მიუხედავად, რომ ამერიკული ჰეგემონია სუსტდებოდა. 1990-იანი წლებიდან, ცივი ომის დასრულებასთან ერთად, ამერიკული დომინანტობა ამ დისციპლინაში შერბილდა და მოძლიერდნენ ევროპელი და სხვა მკვლევარები, რომლებიც უკვე ნაკლებად ეგუებოდნენ ამერიკელი ავტორებისგან წამოსულ დიქტატს.

დიდ ბრიტანეთში მთელი ცივი ომის განმავლობაში არსებობდა სკოლა, რომელიც განსხვავებული იყო სხვა სკოლებისგან ორი გარემოებით: პირველი, ეს სკოლა არ აღიარებდა ბიჰეივიორალისტურ გამოწვევას და ხაზს უსვამდა ტრადიცულ მიდგომას და მეორე, ის უარყოფდა რაიმე მკვეთრ განსხვავებას მკაცრად რეალიზმისეულ მსოფლიო პოლიტიკის ხედვასა და მკაცრად ლიბერალურ ხედვას შორის. ამ სკოლას უწოდებენ საერთაშორისო საზოგადოებას ან ინგლისურ სკოლას.

ეს სკოლა საფუძველშივე აღიარებს ძალის მნიშვნელობას და სახელმწიფოთა სისტემას, მაგრამ მიიჩნევს, რომ ჰობსისეული ხედვა ძალიან ვიწროა. სახელმწიფოს განიხილავს როგორც კონსტიტუტციის და ძალის ერთობას. აღიარებს ინდივიდების მნიშვნელობას, ზოგჯერ სახელმწიფოზე წინაც კი აყენებს მას. ხაზს უსვამს

ტრანსნაციონალურ ურთიერთობებს. უარყოფს ბიჰეივიორისტულ მიდგომას, უპირატესობას ანიჭებს ადამიანურ ელემენტს, ანალიზს, ნორმებს და ისტორიას. უარყოფს მკაცრ დაყოფას რეალისტურ, თუ ლიბერალურ ხედვებს შორის. ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ მსოფლიო პოლიტიკა არის სახელმწიფოთა მსოფლიო, მაგრამ ამავე დროს ადამიანების მსოფლიო.

საერთაშორისო საზოგადოების მიდგომა გარკვეულწილად არის პირველი დებატების გაგრძელება და მეორე დებატების ტრიუმფის შერბილება. იგი ეფუძნება კლასიკურ იდეებს, მაგრამ ამავე დროს აგრძელებს მათ. უარყოფს მკვეთრ დაყოფას რეალიზმს და ლიბერალიზმს შორის იმ მოტივით, რომ ისტორიული სამყარო არ აკეთებს არჩევანს სიკეთეს და ბოროტებას, ძალას და კანონიერებას შორის. რეალურად არსებობს კონფლიქტი და თანამშრომლობა, არიან სახელმწიფოები და არიან ინდივიდები. შესაბამისად, არ შეიძლება მათი აბსტრაგირება და ერთ რომელიმე თეორიაში მოქცევა. ამ სკოლის ყველაზე თვლასაჩინო წარმომადგენლები არიან მარტინ უაიტი და ჰედლი ბული.

დამოკიდებულების თეორია არის მარქსიზმის ცენტრალური კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ჩრდილოეთი იმონებს სამხრეთს. სამხრეთი ღარიბია არა იმიტომ, რომ ჩამორჩენილია, არამედ იმიტომ, რომ ჩრდილოეთი მას უწევს ექსპლუატაციას.

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ლიბერალური ხედვა სრულიად განსხვავდება ზემოთ მოცემულისგან. ამ სკოლის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ადამიანური კეთილდღეობა მიიღწევა გლობალური თავისუფალი ბაზრის ექსპანსიით სუვერენული სახელმწიფოს საზღვრების გავლით და ამ საზღვრების მნიშვნელობის შესუსტებით. ლიბერალური პოლიტიკური ეკონომიკის ხედვის მიმდევრები იზიარებენ ადამ სმიტის თეორიას ბაზრის საყოველთაო სარგებლიანობის შესახებ და ამბობენ, რომ ვაჭრობა კარგია ყველასთვის. ანუ, ეს ხედვა თავისუფალ ვაჭრობას განიხილავს, როგორც პროგრესის მექანიზმს და არა ექსპლუატაციის მექანიზმს.

რეალიზმის გადასახედიდან ეს ყოველივე უფრო სხვაგვარად აღიქმება. რეალიზმის მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობა უნდა იყოს სახელმწიფოს გაძლიერების მექანიზმი და უნდა ემსახუროს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. შესაბამისად, სიმდიდრე უნდა ემსახუროს და კონტროლდებოდეს სახელმწიფოს მიერ. ამ დოქტრინას მერკანტილიზმი ან

ეკონომიკური ნაციონალიზმი ეწოდება. რეალიზმი დაფუძნებული პოლიტიკური ეკონომიკა ასევე ღაღადებს, რომ თავისუფალი, ლიბერალური ვაჭრობა შეუძლებელი იქნებოდა ჰეგემონის გარეშე. ჰეგემონური თეორიის ერთ-ერთი აპოლოგეტია რობერტ გილპინი. ამ ხედვის მიხედვით, მსოფლიო ლიბერალური ეკონომიკური სისტემა იყო მტკიცე და სტაბილური, რადგან პირველი მსოფლიო ომის დროიდან მოყოლებული ამერიკა იყო ჰეგემონი, მაგრამ 1970-იანი წლებიდან მისი ჰეგემონური ძლიერება შესუსტდა, რადგან მას კონკურენციას უწევენ იაპონია და ევროპა. ამ ხედვის მიხედვით, ამერიკის ლიდერობის შესუსტებასთან ერთად მსოფლიო ლიბერალური წესრიგიც შესუსტდა, რადგან სხვა არც-ერთ სახელმწიფოს არ შესწევს საკამარისი ძალა, რომ გლობალური ჰეგემონის როლი შეასრულოს.

პოლიტიკურ-ეკონომიკურმა დებატებმა გზა მისცა სამი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვას. პირველი საკითხი ეხება ეკონომიკურ გლობალიზაციას, მეორე იმას, თუ ვინ იგებს და ვინ აგებს ამ გლობალიზაციის პროცესში და მესამე, რა უფრო მნიშვნელოვანია: პოლიტიკა, თუ ეკონომიკა.

პოსტ პოზიტივისტური/ალტერნატიული მიდგომები

აქამდე განხილული დებატები ეხებოდა უკვე დამკვიდრებულ თეორიულ ტრადიციებს: რეალიზმს, ლიბერალიზმს, საერთაშორისო საზოგადოებას, და საერთაშორისო პოლიტიკურ ეკონომიკას. ამჟამად ადგილი აქვს მეოთხე დებატებს საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც მოიცავს დამკვიდრებული ტრადიციების კრიტიკას ალტერნატიული მიდგომების საშუალებით, რომლებსაც ზოგჯერ პოსტ პოზიტივისტებსაც უწოდებენ.

ამ თეორიებმა (კრიტიკული თეორია, ისტორიული სოციოლოგია, ფემინიზმი, კონსტრუქტივიზმი) წინ წამოსწიეს მეთოდოლოგიური საკითხები, ანუ როგორ უნდა ვისწავლოთ საერთაშორისო ურთიერთობები და ასევე ისეთი ძირეული საკითხები, რომლებიც შეეხება თვითონ დისციპლინის ფოკუსს, ანუ რა უნდა ისწავლოს საერთაშორისო ურთიერთობებმა, რა უფრო მნიშვნელოვანია და რა არა.

ლექცია 2. საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის ძირითადი კატეგორიები

საერთაშორისო–პოლიტიკურ მეცნიერებაში, როგორც სხვა სოციალურ დისციპლინებში, ჩამოყალიბდა რამოდენიმე ტერმინი იმ მოქმედ პირთა აღსანიშნავად, რომელთა ქვეშაც შეიძლება მოიაზრებოდეს ამათუიმ ობიექტის გამო ან ამ ობიექტის დახმარებით ურთიერთქმედებაში მყოფი ინდივიდი, ჯგუფი, კლასი, ადამიანთა ერთობა, ყველაზე უფრო ფართო მნიშვნელობის მატარებელია. „სუბიექტის“, როგორც ერთეულის გამოყოფის ერთ–ერთ ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს მისი მხრიდან „შეგნების“ და „მოქმედების უნარის“ ქონის თვისება. მაგრამ ეს, მეტისმეტად ზოგადი დახასიათება არ არის საკმარისი ამათუიმ სახის სოციალურ ურთიერთობათა შესასწავლად. ამიტომაც, მოტანილი ტერმინი საჭიროებს კონკრეტიზაციას, რის უშუალო შედეგსაც წარმოადგენს ისეთი კატეგორიები, როგორიცაა „სოციალური აგენტი“ და „სოციალური აქტორი“.

„სოციალური აგენტი“ ეს კრიტიკული სოციოლოგიის გაგებაა, რაც ახლოს დგას სოციალურ დეტერმინიზმთან. ის გამოხატავს სუბიექტის მოქმედებასა და მის გარემოს შორის თანაფარდობას. მაგრამ აღნიშნული გაგების მთავარ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სოციალური აგენტი გამოხატავს სუბიექტსა და გარემოს შორის არსებულ შუალედურ მოქმედებას. აგენტი ეს არის გამომხატველი, გამტარი (თავისუფალი თუ არათავისუფალი) იმ კონკრეტული სოციალური სისტემის ამათუიმ ნორმის და ფასეულობის, რომლის ლოგიკაც განსაზღვრას ამათუიმ სიტუაციაში მისი მოქმედების ლოგიკას. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, „სოციალური აგენტის“ გაგება ასახავს სისტემის სოციალურ და კულტურულ კონტროლს ინდივიდებსა და სოციალურ ერთობებზე, იმ როლს, რომლის შესრულებაც მათ სურთ (გააზრებულად თუ გაუზრებლად) გარშემო მყოფთა იმ მოლოდინების შესაბამისად, რაც სოციალური აგენტის სტატუსზეა დაფუძნებული. ამის უმარტივეს მაგალითს წარმოადგენს ოფიციალურ მიღებაზე ადამაინის ქცევასა და მის მდგომარეობას შორის კავშირი: სოციოლოგიური კვლევების მიხედვით ცნობილია, რომ „დაბალი კლასის“ წარმომადგენლები ოფიციალურ მიღებებზე სასმელზე არჩევანის გაკეთებისას „პრესტიჟულობის ლოგიკიდან“ გამოდიან, ანუ ირჩევენ იმ

სასმელებს, რაც მათი გაგებით გაცილებით მაღალ სოციალურ მდგომარეობას შეესაბამება. ამათუიმ ქვეყნის ლიდერთა ქცევა არც თუ ისე იშვიათად სუვერენულ სახელმწიფოს სტატუსზე არსებული მათეული წარმოდგენებით განისაზღვრება. კერძოდ, იმ მისწრაფებით, რომ დიდი სახელმწიფოს როლი ითამაშონ და ა. შ.

რაც შეეხება „სოციალურ აქტორს“, ამ შემთხვევაში საუბარია ისეთ სოციალურ სუბიექტზე, რომელსაც შეუძლია თავისი საქმიანობით გარემოში ამათუიმ სახის ცვლილებების შეტანა. ეს გაგება აქტიურად გამოიყენება მოქმედების სოციოლოგიაში. ფრანგი სოციოლოგი ა. ტურენი სოციალური აქტორის შემდეგ კრიტერიუმებს გამოყოფს: „მე“–ს თქმის უნარის ქონის, სხვისი ცნობის და კონკრეტულ ჯგუფზე კუთვნილების. შესაბამისად, აქტორის დამოკიდებულება გარემოს მიმართ შემდეგი ოთხი დონით განისაზღვრება: 1) საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების მისწრაფებით (“ინტერესთა დონე“); 2) პირობითი საქმიანობის გაუმჯობესებით ან გაუარესებით (მაგ: ინდივიდის შრომის გაერთიანებამ სხვა ინდივიდის შრომასთან შეიძლება გამოიწვიოს მათი გამომუშავების როგორც გაზრდა, ისე შემცირება („სტრატეგიის დონე“); 3) ინსტიტუციონალურ სისტემაზე ერთობის ზემოქმედებით (მაგ: წარმოების პროფესიულ კავშირს შრომის პირობებისა და ანაზღაურების შეცვლის მიზნით შეუძლია ზეწოლის მოხდენა ამ წარმოების ადმინისტრაციაზე („თამაშის წესების შეცვლის დონე“)) და 4) კულტურულ, ეთნიკურ, ფასეულობათა მოდელი, რომელიც ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფსონს წარმოადგენს („ისტორიულობის დონე“). საბოლოო ჯამში, ა. ტურენის თქმით, სოციალური სუბიექტი არის ის, ვისაც სურს გახდეს სოციალური აქტორი.

მსოფლიო არენაზე ურთიერთქმედების მონაწილეთა ყველაზე უფრო გავრცელებულ ტერმინს წარმოადგენს „აქტორი“. „აქტორი“ რუსულ „აქტიორად“ ანუ იგივე მსახიობად სეიძლება წარმოვიდგინოთ. მაგ. ბ. რასსეტი და ჰ. სტარტი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ შექსპირი მთელს მსოფლიოს წარმოიდგენდა დიდ სცენად, ადამიანებს კი მის მსახიობებად. მაგრამ , რადგანაც აქტიორი ანუ მსახიობი, მაინც ნიშნავს იმ ადამიანს, რომელიც წინასწარ დაწერილ როლს თამაშობს, საერთაშორისო ურთიერთობათა თეორის შესახებ არსებულ რუსულ ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინი „აქტორი“.

შესაბამისად აქტორი არის ნებისმიერი პირი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს და თამაშობს მნიშვნელოვან როლს. საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში კი ფ. ბრაიარისა და მ. რ. ჯალილის მტკიცებით, აქტორის ქვეშ შეიძლება ვიგულისხმოთ ნებისმიერი ავტორიტეტი, ორგანიზაცია, დაჯგუფება თუ ინდივიდი, რომელსაც ძალუძს განსაზღვრული როლის შესრულება და გავლენის მოხდენა. ბუნებრივია აქტორები განსხვავდებიან იმის მიხედვით, რა როლის შესრულებაც უხდებათ მათ, მაგრამ საბოლოო ჯამში თითოეულ მათგანს თავისი წვლილი შეაქვს არსებულ საქმეში.

სოციალური ერთობა იმ შემთხვევაში განიხილება საერთაშორისო აქტორად, თუ ის ახდენს განსაკუთრებულ გავლენას საერთაშორისო ურთიერთობებზე, აღიარებულია სახელმწიფოებისა და მათი ხელისუფლებების მხრიდან, ისევე როგორც გათვალისწინებულია მისი ადგილი საგარეო პოლიტიკის შემუშავებისას და გააჩნია რაღაც ხარისხის ავტონომია საკუთარი გადაწყვეტილებების მიღებისას. აქედან გამომდინარე, ყველა აქტორი არის საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილე, მაგრამ ყველა მათგანი ვერ იქნება საერთაშორისო (დონის) აქტორი. უცხოურ ორგანიზაციებთან, ჯგუფებთან თუ უცხოელ მოქალაქეებთან ინდივიდის, ორგანიზაციის თუ ჯგუფის ურთიერთობა, სულაც არ ნიშნავს, რომ ეს უკანასკნელნი საერთაშორისო აქტორები არიან. ასეთი როლის შესრულება შეუძლია როგორც ცალკეულ ინდივიდს – ცნობილ სახეს (თვალსაჩინო მაგალითია ადამიანის უფლებათა ცნობილი დამცველი, ა. დ. სახაროვი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა დასავლეთის დამოკიდებულებაზე საბჭოთა კავშირის მიმართ), ასევე რიგით მოქალაქეს, რომელსაც შეუძლია უფლებების დაცვის შესაძლებლობის ზრდის შემთხვევაში დახმარებისათვის მიმართოს სამთავრობოთშორისო ორგანიზაციებს (ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს) მისი ხელისუფლების მხრიდან საკუთარი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. რაც არ უნდა ითქვას ცალკეული ინდივიდების როლსა და მნიშვნელობაზე ბოლო ორი მაგალითიდან გამომდინარე, აშკარაა მათი მზარდი გავლენა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებზე.

თუმცა, ჩნდება ორი კითხვა: სოციალური ერთობის რომელი სახე შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო ურთიერთობათა აქტორად, ისევე, როგორც როგორია იერარქია საერთაშორისო ურთიერთობათა სხვადასხვა აქტორებს შორის (რომელი მათგანია უფრო

გავლენიანი და ა. შ.). აღნიშნული კითხვები მეცნიერთა შორის დისკუსიის მწვავე საგანს წარმოადგენს.

ბევრი თეორიული მიმართულებისა და სკოლის წარმომადგენელი თვლის, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა ტიპიურ აქტორს წარმოადგენს სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაციები და სისტემები. ასე მორტონ კაპლანი განასხვავებს სამი ტიპის საერთაშორისო აქტორს: ნაციონალურს (სახელმწიფო), ტრანსნაციონალურს (საერთაშორისო ორგანიზაციები, რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციები მაგ: ნატო) და უნივერსალურს (მსოფლიო დონის ორგანიზაციები: გაერო). ბრაიარი და ჯალილი კიდევ ერთ ტიპს გამოყოფენ: ე. წ. პოტენციალურ აქტორებისა (ეროვნულ–გამათავისუფლებელი მოძრაობა, რეგიონალური და ადგილობრივი ერთობები: კომუნის ევროპული საბჭო, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ევროპული კონფერენცია) და ა. შ.

საერთაშორისო ურთიერთობათა აქტორების ტიპებზე სხვადასხვა ავტორთა მიერ გამოთქმული მოსაზრებიდან ირკვევა, რომ ძირითად საერთაშორისო აქტორებს პირველ რიგში წარმოადგენს სახელმიფო და სახელმწიფოთშორის ორგანიზაციები.

პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენელთათვის სახელმწიფო მთავარი საერთაშორისო აქტორია, თუმცა თავიანთ არგუმენტაციაში ზოგიერთი მათგანი სახელმწიფოს ან პოლიტიკურ შესაძლებლობებს ეყრდნობა (გ. მორგენტაუ), ან სოციალურ სფეროს (რ. არონი), ან კიდევ მის ეკონომიკურ პოტენციალს (ჟ. ბერტენი).

1. სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილის არსი და როლი

სახელმწიფო წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობათა უდავო აქტორს და საერთაშორისო სამართლის ძირითად სუბიექტს. სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკა ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს ეპოქის საერთაშორისო ურთიერთობათა ხასიათს. საერთაშორისო ორგანიზაციათა არსებობა და საქმიანობა დამოკიდებულია იმაზე, როგორია მათდამი სახელმწიფოთა დამოკიდებულება. გარდა ამისა, სახელმწიფო წარმოადგენს კაცობრიობის ისტორიაში პოლიტიკური ორგანიზაციის უნივერსალურ ფორმას. დღესდღეობით კაცობრიობის დიდი ნაწილი გგაერთიანებულია სახელმწიფოებში, მაგრამ ახალი სახელმწიფოების წარმოქნის პროცესი ჯერ კიდევ გრძელდება: თუ მე15 საუკუნეში 5-

6 სახელმწიფო არსებობდა, 1900-იან წლებში 30 იყო, 1945 წელს გაეროს შემადგენლობაში 60 სახელმწიფო იყო, 1956 წლეს მათი რიცხვი 100-მდე გაიზარდა, 1990 წელს 160 აღწევდა, 1992 წელს 175-ს, 1996 წელს კი 185-ს. საერთაშორისო ურთიერთობათა სუბიექტი, რომ გახდეს სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს დამოუკიდებელი ხელისუფლება, ტერიტორია და მოსახლეობა.

სახელმწიფოს წარმოქმნა უკავშირდება მოსახლეობის დამჯდარ ცხოვრებაზე გადასვლას, შრომის დანაწილებას, მმართველობითი ფუნქციების განაწილებას, ძალაუფლების თავმოყრას კონკრეტული სოციალური ფენის ხელში, კონკრეტული მოსახლეობით და ტერიტორიით.

სახელმწიფოს ფუნქცია მდგომარეობს კონკრეტულ საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიაზე წესრიგის დამყარებასა და უსაფრთხოების შენერჩუნებაში, საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის პირობების შექმნაში, სიკეთისა და მომსახურების განაწილებაში, მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფაში და მათი ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილებაში.

ისტორიული განვითარების გზაზე, სახელმწიფო, როგორც ფორმა განვითარება-ცვლილებას განიცდიდა. მსოფლიო იმპერიები, ანტიკური ქალაქ-სახელმწიფოები, ევროპული მონარქიები და ეროვნული სახელმწიფოების წარმოქმნა მე-19 საუკუნეში. მაგრამ, მე-15-16 სს-მდე, მკაცრად გამიჯნული საზღვრების და ცენტრალიზებული ხელისუფლების არ არსებობის გამო, სახელმწიფოები არ წარმოადგენდნენ სახელმწიფოს ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

სახელმწიფოს თანამედროვე ფორმა დაკავშირებულია სუვერენიტეტის გაგებასთან. თავდაპირველად ეს გაგება ნიშნავდა მონარქის შეუზღუდავ ძალაუფლებას ემართა სახელმწიფო ქვეყნის შიგნით და წარედგინა სახელმწიფო ქვეყნის ფარგლებს გარეთ (სასიანო და საგარეო პოლიტიკა). 30 წლიანი ომის და 1848 წელს ვესტფალიის საზავო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, რითაც საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემას, ოფიციალურად გამოცხადდა თითოეული სახელმწიფოს იურიდიული თანასწორობა და დამოუკიდებლობა.

მე-18 საუკუნეში სახელმწიფოს განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო - საუბარია მონარქიის სუვერენიტეტიდან ეროვნულ სუვერენიტეტზე გადასვლაზე, რაც მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე გაგრძელდა ე. წ. მესამე სამყაროს სახელმწიფოების წარმოქმნის ჩათვლით.

ამრიგად, სახელმწიფოს თანამედროვე ფორმის გენეზისი და განვითარება ისეთ სოციალურ ერთობას უკავშირდება, როგორიცაა ნაცია. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ როგორც არ არსებობს „ბუნებრივი საზღვრები“ სახელმწიფოებს შორის (ყველა ეს საზღვარი პირველ რიგში ისტორიის, ძალათა თანაფარდობის ნაყოფია და ამიტომაც „ხელოვნურ“ ანუ პოლიტიკურ ხასიათს ატარებს), ისე არ არსებობს საფუძველი ნაციის ბიოლოგიური არსის შესახებ. ყველა ნაცია ანუ ეროვნება მრავალეთნიკურ წარმონაქმს წარმოადგენს, ყველა მათგანის ფორმირება და განმტკიცება ხდება პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში, რელიგიის გავრცელებასთან, სხვა კულტურულ ფასეულობათა შეძენასთან და პოლიტიკურ კონსოლიდაციასთან ერთად.

ამაზე მეტყველებს ის ფაქტორებიც, რომლებიც საფუძვლად უდევს ნაციის გენეზისს. პირველ რიგში საუბარია საერთო საცხოვრებელ ტერიტორიაზე, რაც ხელს უწყობს სიახლოვეს ბუნებრივი ფენომენების მიღებასა და სოციალური ერთობის კონსოლიდაციაში; ეს არის ეკონომიკური საქმიანობის ერთობა, განსაზღვრული ერთი და იმავე რესურსებით; კულტურული ერთობა, რაც გამოიხატება ერთი ენის, ერთი რელიგიის და ქცევის ერთიან სოციალური ნორმების არსებობაში; ეროვნების ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულოს ერთიანმა ეთნიკურმა წარმომავლობამაც, მაგრამ დღესდღეობით ის არ ითვლება წამყვან ფაქტორად და საერთო ისტორიული გამოცდა, ერთი წარსულით, აწმყოთი და მომავლით. იმავდროულად, მოყვანილი ფაქტორები არ წარმოადგენს საკმარისს, რომ კონკრეტული სოციალური ერთობა ეროვნებად-ნაციად განვიხილოთ. მაგალითად, ბევრი ეროვნებისათვის დამახასიათებელია რამოდენიმე ენის (შვეიცარია), რელიგიის (ჩინეთი), კულტურის (ინდოეთი)... არსებობა. ყველაზე მყარ ფაქტორად კი მიჩნეულია ეროვნული თვითშეგნება და ერთიანი ისტორიული ბედის შეგრძნება.

ინგლისელი მკვლევარი ე. სმიტი აღნიშნავს, რომ ეროვნული იდენტურობის ფორმირება გახდა საფუძველი სოციალური და პოლიტიკური წყობის ოპტიმიზაციისა.

ეროვნული იდეოლოგიის მნიშვნელობა კი ინდივიდებსა და სოციალურ კლასებს შორის სოლიდარობის ფორმირებაში და ერთიან ფასეულობათა და კულტურულ ტრადიციათა მობილიზაციაში მდგომარეობს. ეროვნული დოქტრინების საფუძველზე ხდება წარმოქმნა იმ მითების და სიმბოლოებისა, რომლებიც ამართლებენ სახელმწიფოს არსებობას და ხელს უწყობენ მათ განმტკიცებას. სწორედ ეს მითები და სიმბოლოები ინდივიდებს ანიჭებენ როგორც პირად, ისე სოციალურ იდენტურობას, რაც ანსხვავებს მათ დანარჩენი მსოფლიოსგან და სხვა კულტურებისგან.

ეროვნული იდეოლოგიის ფორმირებასა და განმტკიცებაში დიდ როლს თამაშობს პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტები. ეს დამახასიათებელია არაევროპული სახელმწიფოებისათვისაც, სადაც ეროვნებათა ფორმირება იმპერიალიზმის გავლენის ქვეშ მიმდინარეობს. კერძოდ, აღნიშნული რეგიონის პროფესიული ელიტები, რომლებიც ხელმძღვანელობენ გამათავისუფლებელ მოძრაობას კოლონიზატორთა წინააღმდეგ, ფაქტიურად ქმნიან მეტროპოლიის პოლიტიკურ მოდელს, რომელშიც ნაციის ფორმირება „პირიქით“ ხდება: ამ შემთხვევაში ნაციის - ეროვნების ფორმირება კი არ უსწრებს წინ სახელმწიფოს ფორმირებას, არამედ სახელმწიფოს ფორმირება უსწრებს წინ ეროვნების ფორმირებას. სწორედ ამით აიხსნება ის პარადოქსული ფაქტი, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე არსებობს სახელმწიფოები 9პოსტკოლონიური აფრიკა), რომელთაც არ გააჩნია ნაციები.

სახელმწიფოს მნიშვნელობისა და არსის გაგების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კატეგორიას წარმოადგენს „ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი“. მას ორი ძირითადი ასპექტი გააჩნია: საშინაო და საგარეო. ანუ, საუბარია ერთი მხრივ სახელმწიფოს თავისუფლებაზე ეკონომიკური განვითარების გზის, პოლიტიკური რეჟიმის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის არჩევასთან დაკავშირებით და მეორე მხრივ ამ სახელმწიფოს ჩაურევლობაზე სხვა სახელმწიფოს საშიანო საქმეებში, მათ თანასწორობაზე და დამოუკიდებლობაზე. თუმცა, ეროვნულ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პრინციპს საერთაშორისო ურთიერთობებში არაერთგვაროვან შედეგებამდე მივყავართ.

პირველი ის, რომ თითოეული სახელმწიფო ვალდებულია ასე თუ ისე თავის საგარეო პოლიტიკას შეუთავსოს საკმაოდ წინააღმდეგობრივი ხასიათის ფუნქციები. ამერიკელი

მკვლევარის ა. უოლფერსის განმარტებით, თითოეული სახელმწიფო შეიძლება მიისწრაფოდეს ეროვნული ექსპანსიისკენ ამ ტერმინის ფართო გაგებით: ტერიტორიის, გავლენის, რესურსების და მოკავშირეთა რაოდენობის ზრდის თვალსაზრისით. ის შეიძლება დაკავებული იყოს საკუთარი სივრცის და ეროვნული ინტერესის შენარჩუნების პრობლემით, ისევე როგორც მან შეიძლება უარი თქვას ამა თუ იმ სარგებელზე საერთაშორისო ურთიერთობებში სოლიდარობისა და მშვიდბის განმტკიცების მიზნით.

თითოეული სახელმწიფო მიისწრაფის საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ და ეს მოვლენა სუ-ში უსაფრთხოების დილემის სახელითაც არის ცნობილი. ის მდგომარეობს იმაში, რომ ერთი სახელმწიფოს უსაფრთხოების სისტემის გაძლიერებამ შეიძლება პრობლემები შეუქმნას სხვა სახელმწიფოების უსაფრთხოებას და რაც უქმნის საფუძველს, როგორც გამალებულ შეიარაღებას, ისე პრევენციულ ომს.

და ბოლოს, თუ ყველა სახელმწიფო თანასწორუფლებიანია, მაშინ ბ. რასეტის და ჰ. სტარრის მოსწრებული გამოთქმით „ზოგიერთი მათგანი უფრო თანასწორუფლებიანი არიან, ვიდრე სხვები“. მართლაც, სახელმწიფოთა ფორმალურ-იურიდიული თანასწორობა საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით არ ნიშნავს იმ ვითარების უგულვებელყოფას, რომ ეს სახელმწიფოები ერთმანეთისგან შეიძლება განსხვავდებოდნენ ტერიტორიის სიდიდით, ეკონომიკური პოტენციალით, რესურსებით, სოციალური სტაბილურობით, პოლიტიკური ავტორიტეტით, შეიარაღებით და ასაკით. ასეთი უთანასწორობის შედეგს საერთაშორისო სტრატიფიკაცია წარმოადგენს *(სტრატიფიკაცია [ლათ. stratum ფენა, შრე და facio ვაკეთებ] - 1. ატმოსფეროს (აგრეთვე ზღვისა და ტბის წყლის) ფენა-ფენა. შრეებრივი აღნაგობა; განპირობებულია ფენების ფიზიკურ თვისებათა (ტემპერატურის, სიმკვრივის და ა.შ.) სხვადასხვაობით. 2. თესლის თესვისწინა მომზადების წესი ერთგვარი-მისი გაღივების დასაჩქარებლად.)* მისთვის დამახასიათებელი ფაქტიური სახელწიფოებრივი იერარქიით საერთაშორისო არენაზე.

ისტორიული სოციოლოგიის პოზიციიდან გამომდინარე საერთაშორისო სტრატიფიკაციის კვლევისას, ინგლისელი სწავლული ე. ლუარდი ასკვნის, რომ თავისი არსებობის მანძილზე - დაწყებული რომის იმპერიიდან (სადაც გადასახადის გადამხდელი სახელმწიფოები დამოკიდებული იყვნენ ცენტრალურ ხელისუფლებაზე) და ჩინეთის

მრავალსახელმწიფოებრივი სისტემიდან (სადაც ხელისუფლება არათანაბრად იყო განაწილებული სახელმწიფოთა დიდ ჯგუფებს შორის) დღემდე - საერთაშორისო ურთიერთობები სტრატიფიცირებულ ხასიათს ატარებდა. საერთაშორისო ურთიერთობებში ამ ფენომენის განსაზღვრისას ორი ძირითადი მიმართულება გამოიყოფა: კონსერვატორული და რადიკალური.

კონსერვატორული მიმართულება სტრატიფიკაციას განიხილავს, როგორც შედეგს ფუნქციონალური სპეციალიზაციისა: საზოგადოება განიცდის სტრატიფიკაციას იმიტომ, რომ პოზიციები, რომელთაც მიეწერებათ დიდი ფასი (მნიშვნელობა), ამ პოზიციის მფლობელთ აძლევს ძალაუფლებას, ანიჭებს პრივილეგიებს ან პრესტიჟს. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, საზოგადოების ინტეგრაცია და სოციალური წყობა წარმოადგენს სტრატიფიკაციის პროდუქტს და საზოგადოების სტაბილურობის ხარისხში აისახება მის წევრებს შორის კონსენსუსის *([ლათ.consensus თანხმობა, ერთსულოვნება]- 1.სადავო საკითხებზე ზოგადი თანხმობა, რომელსაც მიაღწიეს საერთაშორისო მოლაპარაკების, კონფერენციის მონაწილეებმა (კ.-ისათვის საჭიროა უკლებლივ ყველა მონაწილის თანხმობა); შემდგომში იგი შეიძლება გახდეს საფუძველი საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოსაწერად. 2.საფრანგეთში აღნიშნავს სოციალურ და ეროვნულ ერთიანობას, ერთსულოვნებას.)* ხარისხი.

რადიკალური მიმართულების წარმომადგენლები თვლიან, რომ საზოგადოებრივი წყობა ყოველთვის დამოკიდებულია იძულებაზე. საზოგადოების სტრატიფიკაციას კი ყოველთვის თან ახლავს პროცესი, რომლის დროსაც კონკრეტული სოციალური ფენის განკარგულებაში არსებული ძალაუფლება, პრივილეგიები და პრესტიჟი მიიღწევა და ნარჩუნდება სხვა ფენათა სისტემატური ექსპლუატაციის ხარჯზე.

საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში კი სტრატიფიკაციის საკითხთან დაკავშირებით ორი მიმართულება გამოიყოფა - „ინტერაქციონიზმის“ და „“სტრუქტურალიზმის“. პირველი მიმართულება ურთიერთქმედებაში მყოფ სახელმწიფოებს განიხილავს საერთაშორისო ურთიერთობათა სტრატიფიცირებული სისტემის ავტონომიურ ელემენტებად და ამ სისტემაში მათი მდგომარეობით ხსნის მათ მოქმედებს (მ. კაპლანი, ა. ორგანსკი, რ. როუზკრანსი, დ.

სინგერი, კ. დოიჩი, კ. უოლცი და სხვ.). მეორე მიმართულების წარ მომადგენლები კი თვლიან, რომ მე-20 საუკუნეში სახელმწიფო არარ წარმოადგენს ავტონომიურს და ის სხვადასხვა როლს თამაშობს მოსფლიო კაპიტალისტურ სისტემაში და ეს ეს როლი დიდად არის დამოკიდებული იმაზე სახელმწიფოს რა ადგილი უჭირავს ამ სისტემაში - ცენტრალური თუ პერიფერიული (რ. პრებიში, ბ. ბრაუნი, პ. სუიზი, ა. ფრანკი, ი. გალტუნგი, ს. ამინი, ი. ვალერსტაინი). ამრიგად, თუ ინტერაქციონისტებისათვის სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი აქტორი, ანალიზის მთავარ საგანს წარმოადგენს, სტრუქტურალისტები, რომლებიც მსოფლიო სისტემაში ცენტრსა და პერიფერიებს შორს ურთიერთობებს განიხილავენ, სახელმწიფოს არ მიიჩნევენ ანალიზის ერთეულად.

საერთაშორისო სტრატიფიკაციის ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ სახეობად ითვლება სახელმწიფოთა არათანაბარი შესაძლებლობები, გამომდინარე მათი არათანაბარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სიძლიერიდან, დაიცვან თავისი სუვერენიტეტი. ამ თვალსაზრისით განასხვავებენ ზესახელმწიფოებს, დიდ სახელწმიფოებს, პატარა სახელმწიფოებს და მიკროსახელმწიფოებს.

ზესახელმწიფოებისათვის შემდეგი ნიშნებია დამახასიათებელი: ა) ბირთვული იარაღის წყალობით პლანეტის მასშტაბით მასობრივი განადგურების უნარი; ბ) მთელი კაცობრიობის არსებობის პირობებზე გავლენის მოხდენის უნარი; გ) ნებისმიერ სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოთა კოალიციასთან, რომელშიც არ შედის მეორე ზესახელმწიფო დაუმარცხებლობის უნარი.

ზესახელმწიფოებისგან განსხვავებით, დიდ სახელმწიფოებს შეუძლიათ გავლენის მოხდენა მსოფლიო განვიტარებაზე, მაგრამ მათ არ უჭირავთ გაბატონებული მდგომარეობა საერთაშორისო ურთიერთობებში. ისინი არცთუ ისე იშვიათად ცდილობენ მსოფლიო როლის შესრულებას, მაგრამ შეზღუდული შესაძლებლობების გამო ისინი განსაზღვრული რეგიონით ან რეგიონის დონეზე სახელმწიფოთშორის ურთიერთობათა ცალკეული სფეროთი შემოიფარგლებიან.

საშუალო სიძლიერის სახელმწიფოებს გააჩნიათ მყარი გავლენა მათ ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე. სწორედ ეს განასხვავებს მათ პატარა სახელმწიფოებისგან. თუმცა, პატარა სახელმწიფოებსაც გააჩნია საკმარისი ტერიტორია და საშუალებები თავიანთი

დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. მიკროსახელმწიფოები კი უუნარონი არიან დაიცვან თავიანთი დამოუკიდებლობა.

მეცნიერებს შორის არ არსებობს ერთიანი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომელი სახელმწიფო შეიძლება ჩაითვალოს მიკრო სახელმწიფოდ და რომელი პატარა სახელმწიფოდ. მეცნიერთა ერთი ნაწილის მოსაზრების თანახმად, მოსახლეობის რაოდენობა შეიძლება იყოს კრიტერიუმი სახელმწიფოს სტატუსის განსაზღვრისათვის. ზოგიერთი მათგანი მიკრო სახელმწიფოდ მიიჩნევს იმ სახელმწიფოს, რომლის მოსახლეობაც 1 მლნ-ზე მეტია, ზოგიერთი კი 2 მლნ-ს ასახელებს. სხვა ავტორები დამატებით კრიტერიუმებსაც გამოყოფენ: სამხედრო პოტენციალის, მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობას, ბავშვთა სიკვდილიანობის პროცენტული მაჩვენებლის, ექიმთა რაოდენობას.

საერთაშორისო არენაზე სახელმწიფო საკუთარი თავის დემონსტრირებას ორი ფორმით ახდენს: დიპლომატიის და სტრატეგიის. ორთავე მათგანის მიზანი სახელმწიფო ინტერესების რეალიზაცია, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაა.

მაგრამ დღესდღეობით, საგარეო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების ასეთი გაგება აშკარად მაჩვენებელია მისი ვიწრო მნიშვნელობისა. კერძოდ, ეს გაგება არ შეიძლება მოიაზრებდეს ეკოლოგიურ პრობლემებს და სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს, ეკონომიკასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, კომუნიკაციასა და კულტურულ ფასეულობებს. მაგრამ ის ფაქტი, რომ ბოლო დროს აშკარა ამ ფაქტორთა მზარდი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე, ამი უარყოფა ძნელია.

2. საერთაშორისო ურთიერთობათა არასახელმწიფოებრივი მონაწილეები

სუ-თა არასახელმწიფოებრივ მონაწილეებს შორის გამოყოფენ ხელისუფლებათშორის ორგანიზაციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ტრანსნაციონალურ კორპორაციებს და მსოფლიო არენაზე მოქმედ სხვა საზოგადოებრივ ძალებს და მოძრაოებებს. მათი როლის და გავლენის ზრდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომდროინდელ პერიოდს უკავშირდება, მაგრამ მათი მნიშვნელობა ჯერ კიდევ სუსტად არის შესწავლილი მეცნიერებაში, რაც

გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ მათი რეალური მნიშვნელობა, რომელიც გამოხატულია ისეთ ტერმინებში, როგორიცაა „არახილული კონტინენტი“ (ი. გალტუნგი), „მეორე მსოფლიო“ (ჯ. როზენაუ) არა აშკარაა (არ არის ცხადი).

ფრანგი სპეციალისტი შ. ზორგბიბი საერთაშორისო ორგანიზაციათა სამ ნიშანს გამოყოფს: 1) დამფუძნებელ დოკუმენტებში დაფიქსირებულ პოლიტიკურ თანამშრომლობის ნებას; 2) მუდმივი აპარატის არსებობას, რაც უზრუნველყოფს მემკვიდრეობითობის არსებობას ორგანიზაციის განვიტარებაში; 3) კომპეტენციისა და გადაწყვეტილებათა ავტონომიას.

ეს ნიშნები თავისუფლად შეიძლება მივაკუთნოთ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და მუდმივ ორგანოებზე დაფუძნებულ სახელმწიფოთა იმ სტაბილურ გაერთიანებას, რომელიც საერთაშორისო ხელისუფლებათშორისო ორგანიზაციებს წარმოადგენენ.

ხელისუფლებათშორისო ორგანიზაციების ძირითადი მახასიათებლები და ტიპოლოგია

1815 წელს ვენის კონგრესზე გაკეთდა განცხადება არა მხოლოდ ნაპოლეონის წინააღმდეგ ომების დასრულების და საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი ეპოქის დაწყების შესახებ, არამედ ამ უკანასკნელში ახალ მონაწილეთა გამოჩენის შესახებაც. კონკრესის დამაგვირგვინებელ აქტს კი წარმოადგენდა პირველი ხელისუფლებათშორისო ორგანიზაციის - რეინზე ნაოსნობის მუდმივი კომისიის შექმნა. მე-19 საუკუნის ბოლოს მსოფლიოში 10-ით ასეთი ორგანიზაცია არსებობდა, რომელთა წარმოქმნის მთავარი მიზეზი მაინც ინდუსტრიული რევოლუცია იყო, ისევე როგორც სახელმწიფოებს შორის მეცნიერების, ტექნიკის, კომუნიკაციის დარგში ფუნქციონალური თანამშრომლობის მოთხოვნილების გაჩენა (საერთაშორისო სანიტარული კონვენცია (1853 წ.), საერთაშორისო სატელეგრაფო კავშირი (1865 წ.), ზომისა და წონის საერთაშორისო ბიურო (1875 წ.), მსოფლიო საფოსტო კავშირი (1878 წ.), სამრეწველო საკუთრების დაცვის კავშირი (1883 წ.), სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ინტერპოლი, 1923 წ.), სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ინსტიტუტი და სხვ.

პოლიტიკური ხასიათის ხელისუფლებათშორისი ორგანიზაციების წარმოქმნა დაიწყო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ (ერთა ლიგა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია) და მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის პერიოდში, როდესაც 1945 წელს სან-ფრანცისკოში შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ეს უკანასკნელი კოლექტიური უსაფრთხოების გარანტად და პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროში წევრი ქვეყნების თანამშრომლობის გარანტად გამოდიოდა. სპეციალიზირებული ორგანოების და ინსტიტუტების პარალელურად შეიქმნა რეგიონათშორისი ხელისუფლებათშორისი ორგანიზაციები ეკონომიკური თანამშრომლობის თვალსაზრისით: ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს 24 უფრო განვითარებულ სახელმწიფოს აერთიანებს (1960 წ.), ევროპის საბჭო (1949 წ.), ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება (1951 წ.), ევროპის ეკონომიკური საზოგადოება (საერთო ბაზარი, 1957 წ.), ევროპის საზოგადოება ატომური ენერგიის საკითხში (ევრატომი, 1957 წ.), თავისუფალი ვაჭრობის ევროპის ასოციაცია (1960 წ.), არაბულ სახელმწიფოთა ლიგა (1945 წ.), აამერიკული სახელმწიფოების ორგანიზაცია (1948 წ.), აფრიკული ერთიანობის ორგანიზაცია (1963 წ.) და სხვ. 1970 წლის დასაწყისისათვის ხელისუფლებათშორისო ორგანიზაციების რიცხვმა 260-ს მიაღწია, დღესდღეობით კი 400-მდეა.

ორგანიზაციათა გამართული ფუნქციონირებისათვის და გადაწყვეტილებათა მიღებისათვის დროდადრო ხდება კონფერენციათა მოწვევა, რაც თავის მხრივ მოითხოვს ორგანიზაციის გამართული აპარატის არსებობას. გარდა ამისა, თუ თავდაპირველად ამ ორგანიზაციათა აპარატის შემადგენლობა მცირერიცხოვანი იყო (მაგ: მსოფლიოს საფოსტო კავშირი წარმოდგენილი იყო ხელმძღვანელით და 6 მუდმივი ფუნქციონარით), დღესდღეობით გაეროში 50 ათასზე მეტი ადამიანია დაკავებული.

ხელისუფლებათშორის ორგანიზაციების სხვადასხვა ტიპოლოგია არსებობს. ორგანიზაციების დაყოფა ხდება ძირითადად მათი საქმიანობის მიმართულების და „გეოპოლიტიკური“ კრიტერიუმების მიხედვით. როდესაც საუბარია გეოპოლიტიკურ კრიტერიუმზე, შემდეგი სახის ორგანიზაციებს განასხვავებენ: უნივერსალურს (ერთა ლიგა და გაერო); რეგიონთშორისო (ისლამის კონფერენციის ორგანიზაცია); რეგიონალურს

(ლათინოამერიკული ეკონომიკური სისტემა); სუბრეგიონალურს (ბენილუკსი). რაც შეეხება პირველ კრიტერიუმს, განასხვავებენ: საერთომიზნურ (გაერო); ეკონომიკურს (თავისუაფლი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია); სამხედრო-პოლიტიკურს (ნატო); ფინანსურს (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი); სამეცნიეროს (ევრიკა); ტექნიკურს (ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირს) და უფრო სპეციალიზირებულს (ზომის და წონის საერთაშორისო ბიურო). ამავდროულად, მოტანილი კრიტერიუმები უფრო პირობითი ხასიათის არის, რადგანაც ერთი და იგივე ორგანიზაცია შეიძლება ორთავე კრიტერიუმს აკმაყოფილებდეს. უფრო მეტიც, რიგ შემთხვევაში ესა თუ ის ორგანიზაცია ვერ ან არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ ფუნქციებს. მაგ: საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების მიზნით შექმნილი გაერო ცივი ომის პერიოდში არაერთხელ გამხდარა დაძაბული პროპაგანდისტული ბრძოლის ასპარეზი და აშკარად პოლიტიზირებული დაწესებულება, არ შეესაბამებოდა რა თანამედროვეობის მოთხოვნებს და იყო უუნარო ეფეტქურად გადაეჭრა მასზე დაკისრებული ამოცანები.

ცივი ომის დასრულების შემდეგ შეიქმნა ნოყიერი ნიადაგი გაეროს განმტკიცებისათვის, მისი პოტენციალის და ეფექტურობის გაზრდისათვის. მაგრამ ისტორიულად არაერთგზის დაფიქსირდა, რომ არ შეიძლება გაეროს როლის აბსოლუტიზირება (ფორმალურ-იურიდიულად სახელმწიფოები თანასწორი არიან, მაგრამ ფაქტიურად უთანასწორობის ბევრი მაგალითი არსებობს).

სოციოლოგიის სფეროში ჩატარებულმა საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევამ აჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში ადამიანთა ინტერესები და „პატრიოტიზმი“ დაკავშირებული არის არა სახელმწიფოსთან, არამედ სხვა ფასეულობებთან, რასაც ისინი უფრო მაღლა აყენებენ (პოლიტიკური, კულტურული მაგ: პანისლამიზმის ფასეულობა, რომელიც სახელმწიფოებრივ საზღვრებს სცილდება), ისევე როგორც სუბსახელმწიფოებრივ ფასეულობასთან (ქურთები, ბერბერები). ამ თვალსაზრისით, დღესდღეობით უფრო და უფრო საგრძნობია საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მზარდი როლი.

ლექცია 3. მსოფლიო ეკონომიკა და საერთაშორისო ურთიერთობები

მსოფლიო ეკონომიკა იმ რთულ სისტემათა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც განსაკუთრებული მრავალფეროვნებით და მის შემადგენელ ელემენტებს შორის იერარქიულობით ხასიათდებიან. თანამედროვე მეცნიერებაში ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი ტერმინი მსოფლიო ეკონომიკის (მსოფლიო მეურნეობის) განმარტებასთან დაკავშირებით. ხშირ შემთხვევაში მსოფლიო ეკონომიკის ანუ მსოფლიო მეურნეობის ქვეშ ნაციონალურ მეურნეობათა ერთობლიობა მოიაზრება, რომლებიც ერთმანეთთან შრომის საერთაშორისო განაწილების სისტემით არიან დაკავშირებული. ნაციონალური ეკონომიკის, ისევე როგორც მსოფლიო ეკონომიკის მიზანი კაცობრიობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში მდგომარეობს, მაგრამ მისი მიღწევის საშუალებები დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის სოციალ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებზე, ისევე როგორც ამ ქვეყნის მდგომარეობაზე საერთაშორისო არენაზე.

ეკონომიკური ფაქტორი ყოველთვის ფიგურირებდა მსოფლიო პოლიტიკაში. დღეს არავინ დაობს იმაზე, რომ ქვეყნის სამრეწველო პოტენციალი, ტექნიკის განვითარების მაღალი დონე, ტრანსპორტი, ნედლეულის ბაზა და ა. შ. მძლავრი სახელმწიფოს დახასიათების მატერიალურ კომპონენტს წარმოადგენს, ისევე როგორც დიდ სახელმწიფოთა მისწრაფება მოეპოვებინათ გარკვეული ეკონომიკური პრივილეგიები საგარეო ბაზარზე, არაერთგზის გამხდარა საფუძველი მათი საგარეო ეკონომიკური აქტივობის ამაღლებისა და მსხვილი სამხედრო კონფლიქტების გაჩაღებისა. აქედან გამომდინარე, მსოფლიო ეკონომიკა ორი ჭრილიდან შეიძლება განვიხილოთ: 1) როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა ცალკე სფეროდ და 2) საერთაშორისო ურთიერთობებთან სტრუქტურულად ახლოს მდგარ პარალელურ სისტემად.

კონიუნქტურის დიდი ციკლები და ლიდერობის გრძელი ციკლები

საერთაშორისო ურთიერთობებსა და მსოფლიო ეკონომიკას შორის არსებულ ურთიერთობათა ახსნის ერთ–ერთ მცდელობას წარმოადგენდა 80-იან წლებში ამერიკელი მკვლევარების ჯ. მოდელსკის, უილიამ ტომპსონის, ჩარლზ კრაუტხამერის და სხვათა კონცეფციები „სმოფლიო ლიდერობის ხანგრძლივი ციკლის“ შესახებ. მისი არის

მდგომარეობს იმაში, რომ მოყოლებული მე–15 საუკუნიდან მსოფლიოში ყოველთვის არსებობდა სახელმწიფო, რომელსაც დომინირებული მდგოამრეობა ეჭირა სამეურნეო ურთიერთობების სისტემაში ვიდრე სხვა სახელწიფოებს და დიდ გავლენას ახდენდა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაზე.100-120 წლის შემდეგ კი ქვეყანა–ლიდერი კარგავდა თავის უპირატესობას და ადგილს სხვა სახელმწიფოს უთმობდა. ლიდერობის ციკლები კი ფაქტიურად იყო ამსახველი მსოფლიო პოლიტიკურ სტრუქტურებში დაფიქსირებული ცვლილელებისა.

თუ იმ მოსაზრებიდან გამოვალთ, რომ ლიდერობის ხანგრძლივი ციკლები ემთხვევა დიდი სახელწმიფოების ეკონომიკის აღმსვლას და დაცემას, მოდელსკიმ და ტომპსონმა გააკეთეს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ სტრუქტურულ ცვლილებათა ორ პარალელურ პროცესზე უნდა იყოს საუბარი. გარდა ამისა, ორთავე პროცესი მიმდინარეობს ერთიდაიმავე რეგიონში, ხოლო მსოფლიო ომთა წარმოქნის რიტმი, რაც არის განმსაზღვრელი ლიდერობისა, ხანგრძლივი ტალღების დასაწყისის ან დადასრულის ამსახველია. ეკონომიკური კონიუნქტურის ხანგრძლივ ტალღებსა და ლიდერ–სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების არსებობაზე მე–20 საუკუნის 10-20-იან წლებში თავისი მოსაზრებები გამოთქვა რუსმა მეცნიერმა ნ. დ. კონდრატიევმა. შეზღუდული სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, კონდრატიევმა დიდი ციკლების კვლევა მე–18 საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც ინგლისში .ე წ. სამრეწველო გადატრიალება განხორციელდა (მანუფაქტურული წარმოება მანქანური წარმოებით შეიცვალა). ზოგიერთი მკვლევარი კი მიიჩნევს, რომ თუ კაპიტალიზმთან მიმართებასი ბიზნესის ორგანიზების პრინციპს გამოვიყენებთ, კაპიტალიზმის ინოვაციურ პარადიგმას უნდა უკავშირდებოდეს დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, რამაც რადიკალურად შეცვალა მსოფლიო და საფუძველი დაუდო მძლავრი კოლონიური სახელმწიფოების ჩამოყალიბებას. ეს კი გახდა საფუძველი საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისა და თავის მხრივ პირველად ევროპაში კაპიტალის პირველადი დაგროვებისა. ანუ ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარება და მსოფლიო ეკონომიკის ჩასახვა პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა, რაც თავის მხრივ დაემთხვა საერთაშორისო ურთიერთობებში სისტემური საწყისების დამკვიდრებასაც.

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები: შედეგები ეკონომიკისა და პოლიტიკისათვის

დიდი გეორგრაფიული აღმოჩენები გახდა საფუძველი ესპანეთის პოლიტიკური გაძლიერებისა, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა უნივერსალურ პრინციპებზე დაფუძნებული მსოფლიო დონიის მონარქიის შექმნაზე. მაგრამ კათოლიკური ესპანეთის შეუფერებელმა ამბიციებმა ბიძგი მისცა სამხედრო–პოლიტიკურ დაპირისპირებას ევროპაში, არც 30 წლიან ომში და ვესტფალიი ზავის გაფომებაში გამოიხატა, ეს უკანასკნელი კი საერთაშორისო ურთიერთობათა პირველი სისტემის საფუძველი გახდა. მეორე მხრივ კი ეესპნაეთის შიგა მეურნეობის დაცემამ და შემოტანილ საქონელზე დამოკიდებულების ზრდამ სერიოზული ცვლილებები შეიტანა ევროპის სამეურნეო ცხოვრებაში.

ახალი სამყაროდან ძვირფასი მეტალების შემოტანა კი გახდა საფუძველი ევროპაში სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო პროდუქციაზე ფასების რადიკალური ზრდისა. დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის არსებული პასიური სავაჭრო ბალანსი ძირეულად შეიცვალა. ესპანეთის ოქრო სამი მიმართულებით გაედინებოდა: 1) ლევანტი–ირანი–ჩინეთი, საიდანაც ბამბა და აბრეშუმი მოდიოდა; 2) კეთილი იმედის კონცხზე შემოვლით ინდოეთის ოკეანის ქვეყნები, საიდანაც სანელებლებს და წიწაკას ეზიდებოდნენ; ჩრდილოეთ ზღვისა და ბალტიისპირეთის გავლით პოლონეთი და ბალტიისპირეთი, საიდანაც პური შემოდიოდა, ნორვეგიია და დანია ხორცი, ჰოლანდია, ფლანდრია და ჩრდილოეთ გერმანია მაუდი და ტილო.

ძველსა და ახალ სამყაროს შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებამ დააკნინა იტალიური ქალაქების მანამ არსებული როლი საღვაო ვაჭრობაში და მე–16 საუკუნიდან კაპიტალისტური „პოლუსის“ – ინგლისისა და ჰოლანდიის მნიშვნელობის გაძლიერბა გამოიწვია. პატარა ქვეყნის ნიდრელანდების წამყვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრად გადაქცევა, რომლის მიწებიც მხოლოდ საძოვრებად თუ ვარგოდა, გამოწვეული იყო მსოფლიო ბაზრის ფორმირებით. ცნობილია, რომ ანტვერპენს, იმ დროის მნიშვნელოვან სავაჭრო–ეკონომიკურ ცენტრს არ გააჩნდა არც საკუთარი ფლოტი, არ ჰყავდა არც პროფესიონალი ვაჭრები, არ ჰქონდა არც თავისი კაპიტალი და არანაირი გამოცდილება ამ

მიმართულებით. მისი წინსვლა კი დიდად იყო განპირობებული იმით, რომ მე–15-16 სს ის პორტუგალიური წიწაკის უზარმაზარ საწყობად გადაიქცა.

ნიდერლანდების რევოლუციის შემდეგ ამსტერდამის როლი თანდათანობით იზრდებოდა.

მაგრამ თვით ჰოლანდიის „ოქროს საუკუნე“ დიდხანს არ გაგრძელებულა. ფეოდალურ შეზღუდულობათა არ არსებობის და ბურჟუაზიის და მონეტარული პოლიტიკის გაბატონებული მდგომარეობისდა მიუხედავად, მან ვერ შეძლო ახალ ფორმაციაზე გადასვლა, რის მნიშვნელოვანი მიზეზებიც არსებობდა. სავაჭრო-ფინანსური და შუამავლური საქმიანობისათვის უპირატესი მდგომარეობის მინიჭებამ მწარმოებლურ საქმიანობაზე, ასევე უთანასწორო სამხედრო მდგომარეობამ ფრანგებთან და ინგლისელებთან, კაპიტალის და მუშახელის გადენამ, ჰოლანდიის ეკონომიკური განვითარების სტაგნაცია გამოიწვია. მე-17 საუკუნის დასაწყისისათვის უკვე მან გზა ინგლისს დაუთმო. „ჰოლანდიის, როგორც ვაჭარი ნაციის ისტორია დაკავშირებულია სავაჭრო კაპიტალის დაქვემდებარებასთან სამრეწველო კაპიტალთან“ - წერდა მარქსი.

ინგლისის აღმასვლის მიზეზები

მე-16 საუკუნეში, ისე რომ ეს მას პირადად არ უგრძვნია, როგორც მკვლევარები წერენ, ინგლისი კონტინენტისგან დამოუკიდებელ, ავტონომიურ ეკონომიკურ-პოლიტიკური მნიშვნელობის მატარებელ „კუნძულად“ გადაიქცა. მისთვის აშკარა იყო საფრთხე, რომელიც პოლიტიკურად და სულიერად საშიში საფრანგეთისგან, ამბიციური ესპანეთისგან და ვაჭრებითა და ბანკირებით წარმოდგენილი ჰოლანდიისგან მოდიოდა. იმ ფაქტმა, რომ ინგლისელები ფაქტიურად იზოლირებული აღმოჩნდნენ თავიანთ კუნძულზე, საშუალება მისცა მათ დაფიქრებულიყვნენ საკუთარი ტერიტორიის მნიშვნელობაზე მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით, ისევე როგორც შიგა ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნის აუცილებლობაზე. საერთაშორისო ვაჭრობამ დროთა განმავლობაში უფრო ორგანიზებული სახე შეიძინა, როდესაც ისევ ხელისუფლების ინიციატივით მონოპოლიური კომპანიები (აღმოსავლეთის, ლევანტიის და ოსტ-ინდოეთის) შეიქმნა. ამ კომპანიებმა მოახრეხეს საზღვაო-სავაჭრო გზებზე ესპნალების და ჰოლანდილების გაბატონებული მდგომარეობის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის წარმოება. ინგლისში პირველადი კაპიტალის დაგროვებას

დიდად შეუწყო ხელი კოლონიების დაარსებამაც ჩრდილოეთ ამერიკაში, გუანჯოუს დაპყრობამ ჩინეთში. 1680-1780 წწ, რომელიც ევროპაში მანუფაქტურის პერიოდად არის მიჩნეული, ინგლისის ლიდერობა ევროპაში მისი პოლიტიკური სტრუქტურითაც იყო გამოწვეული. 1688 წელს, ცნობილი რევოლუციის შემდეგ სტიუარტთა დინასტიის რესტავრაცია, ნიშნავდა არა მხოლოდ მეფის ხელისუფლების აღდგენას და ძალაუფლების განაწილებას მეფესა და პარლამენტს შორის, არამედ ახალი ფენის - ბურჟუაზიის უფლებათა დაკანონებას, მათი ინტერესების გათვალისწინებას სახელმწიფო პოლიტიკაში და მერკანტელისტური პოლიტიკის წახალისებას, რაც გულისხმობდა ეროვნული წარმოების მფარველობას სახელწმიფო დონეზე (რუსეთშიც იყო მსგავსი ფაქტი). ბუნებრივია, პირველ რიგში საუბარი იყო საგარეო ვაჭრობის გააქტიურებაზე და ინგლისელი ვაჭრების უფლებების დაცვაზე. ესპანეთთან მიმართებაში სეიქმნა სააქციო კომპანიები და წახალისება ხდებოდა პირატული რეიდებისა (ფრენსის დრეიკი - ხაზინის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო და ესპანელთა პოზიციების შესუსტება). ჰოლანდიის წინააღმდეგ 1651 წელს ხელი მოეწერა ე. წ. ნავიგაციის ატქ, რომლის ლოგიკურ შედეგსაც ინგლის-ჰოლანდიის ომები წარმოადგენდა. ბუნებრივია, არანაკლებ დაძაბული იყო ურთიერთობები საფრანგეთთან მთელი მე-17-18 სს განმავლობაში.

რუსეთ, ავსტრია, პრუსიას შორის ინგლისისათვის მთავარ მოწინააღმდეგედ მაინც საფრანგეთი რჩებოდა, რომელიც მას ტერიტორიულად, მოსახლეობით, მრეწველობით და სავაჭრო ბრუნვით მკვეთრად აღემატებოდა. უფრო მეტიც, ლუი მე-14-ის დროს ფინანსთა მინისტრი კოლბერი უკვე თანმიმდევრულად ატარებდა მერკანტელისტურ პოლიტიკას, მაგრამ მეფის გადაწყვეტილებამ საფრანგეთის ჰეგემონობისათვის ევროპაში მიეღწია არა ეკონომიკური გზით, არამედ სამხედრო (მმართველობის 54 წლის განმავლობაში 32 წელი ომებში გაატარა), ამ უკანასკნელის უკუსვლა და წარუმატებლობა გამოიწვია. ბუნებრივია, განუწყვეტელი ომები სერიოზულ ასახვას პოულობდა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და შესაბამისად საზოგადოებაზე. უკმაყოფილება საფრანგეტის ხელისუფლებით მოსახლეობაში თანდათან იზრდებოდა, რამაც არსებული ხელისუფლების ლიკვიდაციის საკითხი დღის წესრიგში დასვა. ეს კი ინგლისის წისქვილზე წყლის დასხმის ტოლფასი იყო. მე-18 საუკუნის მეორე ნახევრაში კი ინგლისში განხორციელებულმა

სამრეწველო გადატრიალებამ - წარმოების ინსტრუმენტალური სტადიიდან მანქანურ სტადიაზე გადასვლა, ინგლისის ეკონომიკის მკვეთრი განვითარება გამოიწვია.

მაშინ როდესაც, ნაპოლეონის ომების დასრულების შემდეგ, ევროპის წამყვანი სახელმწიფოები იწყებდნენ ეკონომიკურ განვითარებას, ინგლისი უკვე დიდად იყო წინ წასული. საქარხნო-საფაბრიკო წარმოებაზე გადასვლამ, ის მსოფლიო სახელოსნოდ გადააქცია და მე-19 საუკუნის შუა ხანებისათვის მსოფლიო წარმოებაში ლიდერის ადგილი დაისაკუთრა. მისი ფინანსური სისტემა აშკარა სტაბილურობით გამოირჩეოდა. ამავე პერიოდში ის მსოფლიო ფინანსურ ცენტრადაც გადაიქცა, რაც ნიშნავდა იამს, რომ ინგლისი სხვა სახელწმიფოებზე სესხების გაცემას ახდენდა. თუმცა, ინგლისის ეს წარმატება პირველ რიგში გამოწვეული იყო, მისი როგორც კოლონიური იმპერიის ზრდით. ბრიტანეთის იმპერია სახეზე იყო (ლორდ პალმერსტონი). აფრიკა, ავტრალია, შუა და მახლობელი აღმოსავლეთი, ეს ის ტერიტორიებია, რომელზეც ბრიტანეთ ხელი მიუწვდებოდა. ის იყო ფაბრიკანტიც, ტექნოლოგიის მომწოდებელიც, ფინანსისტიც, ვაჭარიც, გადამტანიც (რამდენი ფუქნცია აქვს შეთავსებული).

აღნიშნული პერიოდიდან, ბრიტანეთი ცვლის ტაქტიკას სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებში. ის აუქმებს ყველა გადასახადს უცხოეთიდან შემოსულ საქონელზე, რაც ნიშნავდა იმას, რომ ანალოგიური შეღავათები უნდა მიეღო მას სხვებისგანაც. მის ვაჭრებს ის ახალისებდა სხვა ქვეყნებში საქონლის გატანასთან დაკავშირებით, ისევე როგორც აინტერესებდა მათ ამ ქვეყნებიდან ნედლეულის გამოტანით დაინტერსებულიყვნენ (რუსეთი სხვას არც არაფერს აკეთებდა, როგორც დღეს). ეს კი სახელმწიფოებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას უწყობდა ხელს, რაც მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბების საფუძველი ხდებოდა. მართალია, ნაპოლეონის ომების დასრულების და ვენის სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ შინაგანი უთანხმოების არსებობის მიუხედავად, დიდმა სახელმწიფოებმა საერთაშორისო არენაზე ძალათა ბალანსი შეინარჩუნეს, რაც იქნებოდა საწინდა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემის ჩამოყალიბება-განვითარებისა, მაგრამ ინგლისი აშკარად ცდილობდა არბიტრის როლის შენარჩუნებას ამ მიმართულებით და კიდევაც მოახერხა, თუმცა მცირე დროით. საუბარია, 1870 წლის საფრანგეთ-პრუსიის ომზე, რის შედეგად ევროპის პოლიტიკურ რუკაზე ახალი

სახელმწიფო გაჩნდა, დიდი სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ამბიციებით. ძალათა ბალანსის მოქნილმა სისტემამ კი რღვევა დაიწყო.

ერთიანი მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ჩამოყალიბება

მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში დესტაბილიზაციის მნიშვნელოვან ფაქტორად „თავისუფალი კონკურენციის“ კაპიტალიზმიდან „მონოპოლისტურ“ კაპიტალიზმზე გადასვლა წარმოადგენდა. ტექნოლოგიის სწრაფმა განვითარებამ, საწარმოო ძალების გაზრდამ რიცხობრივი თვალსაზრისით, კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაციამ ხელი შეუწყო მონოპოლისტური კაპიტალიზმის ჩამოყალიბებას. განვიტარებული ქვეყნები კი ტრადიციული (აგრარული) საზოგადოებიდან „ინდუსტრიულ საზოგადოებაზე“ გადავიდნენ. გაჩნდა ტერმინები: „ცენტრი“ ანუ „შუაგული“ და „პერიფერია“.

ლექცია 4. დასავლეთევროპული ინტეგრაცია: ისტორია და თანამედროვეობა

ინტეგრაციის გაგება. დასავლეთევროპული იტეგრაცია ომების შემდგომდროინდელ ურთიერთობებში.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობები სერიოზული ცვლილებებით აღინიშნა. განსაკუთრებულ, მაგრამ არაერთმნიშვნელოვან როლს თამაშობს ინტეგრაცია, რომელიც მართალია გლლობალური მნიშვნელობის მოვლენაა, მაგრამ წინააღმდგობრივ ხასიათს ატარებს. ამერიკელი პოლიტოლოგის კ. დოიჩის მოსაზრებით, ინტეგრაცია ეს არის პროცესი, რომელიც დაფუძნებულია რომელიმე ინტეგრირებული სისტემის შემადგენელი ნაწილების ურთიერთზემოქმედების შესაძლებლობებზე და რომლებიც გაერთიანების საუძველზე ახალ თვისებებს იძენენ. ფრანგი პოლიტოლოგები ინტეგრაციაში ხედავენ არა მხოლოდ პროცესს, არამედ მდგომარეობასაც, რომელიც ხასიათდება დაქუცმაცებული საერთაშორისო ურთიერთობების შეცვლის ტენდენციით.

დასავლეთ–ევროპული ინტეგრაცია შეიძლება დახასიათდეს სახელმწიფოების გაერთიანების კონფლიქტურ–კომპრომისულ პროცესად ჯერ ეკონომიკის სფეროში, ხოლო შემდეგ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა დარგებში. ის ეფუძნება გადაწყვეტილებათა მიღების და რეალიზების უნიკალურ მექანიზმს, რომელიც სახელმწიფოთშორის თანამშრომლობის და ზენაციონალურობის პრინციპების მოქნილ შეთანხმებას წარმოადგენს. დასავლეთ ევროპაში ეკონომიკის სფეროში ჩასახული ინტეგრაციული პროცესები ინტერნაციონალური წარმოების და შრომის გაძლიერებული საერთაშორისო განაწილების ტენდენციის გამოხატულება იყო. ინტეგრაციის საფუძველს კი წარმოადგენდა ეროვნულ სამეურნეო სისტემათა ურთიერთდამოკიდებულების, ეროვნული ბაზრების ზრდა და რეგიონალური სამეურნეო კომპლექსების ჩამოყალიბება. იმავდროულად ინტეგრაცია აღნიშნულ სფეროში ნიშნავდა სახელმწიფოთა მიერ ეკონომიკური ურთიერთობების ერთობლივ შეგნებულ რეგულირებას და ზენაციონალური სტრუქტურების შექმნას ინტეგრაციული პროცესების მართვის მიზნით.

საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლისას საუბარია რეგიონალურ ინტეგრაციაზე, რომელშიც კონკრეტული რეგიონის სახელმწიფოები ღებულობენ მონაწილეობას. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ რამოდენიმე ასეთმა ინტეგრაციულმა პროცესმა იჩინა თავი: დასავლეთ ერვოპულმა, აღმოსაველთ ევროპულმა, ჩრდილოეთ ამერიკულმა. მათი საზღვრები მოძრავია. კერძოდ, სსრკ–ის დანგრევის და ვარშავის ბლოკის დაშლის შემდეგ, დასავლეთ ევროპულმა ინტეგრაციამ აღმოსავლეთით გადაინაცვლა.

თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში დას. ევროპული ინტეგრაცია „ავტონომიის“ სახით არსებობდა, რაც ნიშნავდა იმას, რომ ის არსებული იდეოლოგიის და საერთაშორისო ურთიერთობათა ბიპოლარული სისტემის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. ბუნებრივია, ყოველივე ამან განაპირობა კიდევც დას. ევროპული ინტეგრაციის თავისებურებები. აღნიშნული პროცესის ინსტიტუციონალურ ფორმებს წარმოადგენდა: ევროსაბჭო, დასავლეთ ევროპული კავშირი, ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული ორგანიზაცია, ევროპის ეკონომიკური კავშირი და 1992 წლეს გაფორმებული მაასტრიხტის ხელშეკრულებით გამოცხადებული ევროკავშირი . ლიტერატურაში ევროპის ეკონომიკურ კავშირს და ევროკავშირს ხშირად ევროპულ თანამეგობრობასაც უწოდებენ.

როგორც ისტორიულმა პროცესმა, ინტეგრაციამ ზოგადად განვითარების რამოდენიმე ეტაპი გაიარა. ინტეგრაციის უმარტივეს ფორმას წარმოადგენს – თავისუფალი ვაჭრობის ზონა და შემდეგ საბაჟო კავშირი, რომელიც აწესებდა არა ავტონომიურ, არამედ საბაჟო–სავაჭრო პოლიტიკას მონაწილე ქვეყნებისათვის მესამე ქვეყნებთან მიმართებაში. მომდევნო საფეხური მონაწილე ქვეყნების ერთიანი შიგა ბაზრის ჩამოყალიბება იყო, როდესაც ამ სახელმწიფოებს შორის საქონლის, კაპიტალის, ყველა სახის მომსახურების და სამუშაო ძალის გადაადგილება თავისუფლად ხდებოდა. რადგანაც ერთიანი ბაზრის ფუნქციონირებისათვის საჭირო იყო ერთიანი სახელწმიფო და ეკონომიკური პოლიტიკა, დღის წესრიგში დაისვა ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნა. ინტეგრაციის პროცესის დასასრულს კი წარმოადგენდა მონაწილე სახელმწიფოების მხრიდან პოლიტიკური კავშირის ფორმირებას და სამხედრო ინტეგრაციას.

როგორც წესი, ინტერგრაციის განვითარებაში რამოდენიმე ძირითადი ეტაპი გაიარა. თითოეული მათგანი ინტეგრაციის პროცესში სირთულეთა საკვანძო მომეტებს ემთხვევა:

1. 1951-1957 წწ - ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული ორგანიზაციის ფარგლებში სექტორული ინტეგრაცია, რაც ევროპული სახელწმიფოების მიერ სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნის მცდელობას წარმოადგენდა.

2. 50-იანი წლების ბოლო და 70-იანი წლების დასაწყისი - „ოქროს ხანა“. 1957 წლის რომის ხელშეკრულებათა ამოქმედება, საბაჟო კავშირის ვადამდელი შექმნა, ერთიანი აგრარული ბაზრის ფორმირება, ინგლისის, დანიის და ირლანდიის გაერთიანება ევროპის ეკონომიკურ კავშირში;

3. 70-იანი წლების შუა ხანები -80-იანი წლების შუა ხანები - „განუვითარებლობის პერიოდი“ ევროპის ეკონომიკურ კავშირში (ევროსკლეროზი). ეს ის პერიოდია, როდესაც თანამეგობრობამ დიდი კრიზისის გადატანის შემდეგ დაიწყო ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნა და სამხედრო-პოლიტიკური კონსულტაციებისათვის მექანიზმების გამომუშავება;

4. 80-იანი წლების შუა ხანები - 1992 წელი. ინტეგრაციული პროცესების გამოცოცხლების პერიოდი: ერთიანი ევროპული აქტის მიღება, ერთიანი შიგა ბაზრის ჩამოყალიბება, ევროპული კავშირის სემდგომი გაფართოება.

ბოლო ეტაპი - 1993-2002 წწ. ერთიანი სავალუტო კავშირის გაფორმება და პოლიტიკური კავშირის საფუძვლების ჩამოყალიბება.

ინტეგრაციას რამოდენიმე პარამეტრი გააჩნია. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნებაყოფლობის პრინციპია, რაც მკვეთრად განსხვავდება ნაცისტური და საბჭოური გამოცდილებისგან. მეორე ნიშანი ეს მისი მრავალმხრივობაა, რადგანაც ინტეგრაცია, როგორც ისტორიული პროცესი მოიცავს ეკონომიკას, სოციალურ სფეროს, კულტურას, პოლიტიკას, უსაფრთხოებას. მესამე ეს სუბსიდიარულობაა, როდესაც ტანამეგობრობას ენიჭება კომპეტენციები, რომელთა რეალიზება თანამეგობრობის დონეზე უფრო ეფექტური, ვიდრე ცალკეული სახელმწიფოს. გარდა ზემოთ დასახელებული პრინციპებისა შეიძლება გამოიყოს სხვა პარამეტრებიც: კონვერგერციის (წევრი ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური გათანაბრების პრინციპი), ჰარმონიზაციის (დაახლოების), სოლიდარობის, რაც

გულისხმობს თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოებს შორის ინტეგრაციის ყველა სიკეთის თანაბარ გადანაწილებას და გაერთიანების-თავმოყრის პრინციპი, რაც გულისხმობს ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოს აქაჩვას ეკონომიკური განვიტარების უფრო მაღალ ეტაპზე.

ინტეგრაციის განვითარების დონე სამი ინდიკატორით განისაზღვრება: „პოლიტიკური მინდვრებით“ (საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროებით), საერთო ორგანოებზე კომპეტენციათა გადაცემის მოცულობით და ინტეგრაციის პროცესში ჩართული ოლქების გეოგრაფიული მოცულობით.

თანამეგობრობაში ინტეგრაციის ხარისხი მით უფრო მაღალია, თუ წევრი ქვეყნები ერთმანეთთან ახლოს არიან განლაგებული, თუ საზოგადოებრივი ცხოვრების რაც შეიძლება მეტი სფეროა ჩართული და რაც უფრო მეტი კომპეტენციებია გადაცემული საერთო ორგანოებზე.

ბუნებრივია, ინტეგრაციის განვითარებისათვის აუცილებელია საერთო ფასეულობების არსებობა, ურთიერთანამშრომლობის სურვილი, ურთიერთდამოკიდებულების ზრდა. ინტეგრაციის წამყვან გაგებას ტრანსაკცია წარმოადგენს (ურთიერთქმედება). ინტეგრაციის მთავარ მოქმედ პირად კი, ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების მიუხედავდ, რჩება სახელმწიფო.

საინტერესოა, რომ მისი წინააღმდეგობრიც\ვი ხასიათიდან გამომდინარე, ინტეგრაციას „გაერთიანების სინდრომის“ გარდა, „დაშლის სინდრომიც“ შეიძლება ახასიათებდეს.

გარდა ამისა, ინტეგრაციის ევროპული კომპლექსის შექმნისას გამოიკვეთა რიგი სირთულეები: ენის, კულტურის, ეთნიკური სპეციფიკის, სახელმწიფო-სამართლებრივი და ადმინისტრაციული სისტემების თავისებურებების. ევროპელებმა უნდა მიაღწიონ კომპრომისს ეკონომიკურ ზრდასა და სოციალურ თანასწორობას, საერთო გეოპოლიტიკურ ინტერსებსა და ნაციონალური სახელმწიფოების მისწრაფებებს შორის. საზღვრების გააფრთოება აღმოსავლეთის მიმართულებით შეიძლება სერიოზულ პრობლემად გადაიქცეს ინტეგრაციის პროცესისათვის, საუბარია მეტისმეტად დიდ ევროპაზე. ბუნებრივია, ის უუნარი იქნება კონკურენცია გაუწიოს ისეთ სახელწმიფოებს, როგორიცაა აშშ და იაპონია.

ევროპული იდეის განვითარება და ინტეგრაციის წანამძღვრები

ევროპული იდეის განვიტარებას სერიოზული ისტორიული საფუძვლები გააჩნია. თავდაპირველად ერთიანი ევროპის შექმნა კონტინენტზე მშვიდობის შებნარჩუნებით იყო გამოწვეული. ამის შესახებ წერდნენ ცნობილი ფილოსფოსები შუა საკუნეებსა და ახალ დროში 9პ. დიუბუა, ჰერცოგი დე სიული, ერაზმ როტერდამელი, უ. პენი, ი. კანტი...).

მე-19 საუკუნეში ევროპული ერთიანობის იდეამ ცვლილებები განიცადა. თუ განმანათლებლები სამართლიანი და მარადიული მშვიდობის იდეიდან გამოდიოდნენ, მე-18 საუკუნის ბოლოს და მე-19 საუკუნის დასაწყისში „ევროპული იდეა“ ნაციონალურ ელფერს ატარებდა (ჟ. დ. მესტრი, ი. გერრესი, ტ. ჟოფრუა, დ. ლამარტინი).

ეროვნულ–გამათავისუფლებელ და სოციალურ მოძრაობაში ახალმა აღმავლობამ მე–19 საუკუნის 20–იან წლებში შეუწყო დემოკრატიული ტენდენციების დამკვიდრებას ევროპეიზმის განვითარებაში (ჯ. მაძინი და მისი ორგანიზაცია „ახალგაზრდა იტალია“).

შემდეგ ადგილი ჰქონდა პაციფისტური განწყობილების გაძლიერებას, რაც გერმანიის გაერთიანების, პარიზის კომუნის დამარცხების და მილიტარისტული განწყობილების ზრდის შედეგად წერტილი დაესვა. პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებამ კი ევროპული იდეის განხორციელების საკითხი ამ ეტაპზე დღის წესრიგიდან მოხსნა.

როდესაც სამხედრო ეპოქაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ითქვას ევროპული გაერთიანების იმპერიულ იდეაზე, რომლის სემუშავებაც გერმანელ საზოგადოებრივ მოღვაწეს ფ. ნაუმანს უკავშირდება. საუბარია „შუა ევროპის გეგმაზე“, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო ცენტრალურევროპული სახელმწიფოების გაერთიანება (ბელგია ჰოლანდიის ჩათვლით) ოღონდ გერმანელთა ჰეგემონობის ქვეშ. საუაბრი იყო სამხედრო და ეკონომიკურ ერთობაზე. ბუნებრივია, ამ გეგმამ ანტანტის წევრი ქვეყნების მკვეტღი კრიტიკა გამოიწვია.

1923 წესლ ევროპის გაერთიანების ახალი გეგმა გაჩნდა, რომელიც ავსტრიელ გრაფს კუდენხოვ–კალერგის უკავშირდებოდა. საუბარია წიგნზე ‘პანევროპა“, რომლის თანახმადაც უნდა მომხდარიყო ევროპის დემოკრატიული სახელწმიფოების გაერთიანება მომავალი დაპირისპირების და კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით. სულ სხვა მოვლენა იყო პანთურქიზმი. 1927 წელს ვენაში პირველი პანევროპული კონგრესი ჩატარდა, რომლის

საპატიო თავმჯდომარედ ცნობილი ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე ა. ბრიანი აირჩიეს. 1930 წლის სექტემბერში მან ერთა ლიგაში წარადგინა მემორანდუმი „ევროპის ფედერალური კავშირის ორგანიზების“ შესახებ, მაგრამ საზოგადოება ცივად შეხვდა ამ იდეას.

საინტერესოა იყო 30–იანი წლების შუა ხანებსა და მეორე ნახევარში უსაფრთხოების პრობლემით გამოწვეული აღმოსავლეთ ევროპის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნა, რაც სხვა გარემოებებით უფრო იყო განპირობებული. გერმანიის გააქტიურებამ და მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებამ, აშკარად აჩვენა ჰიტლერის მისწრაფება ერთიანი ევროაზიური სივრცის შექმნის მცდელობა, რაც მარცხისთის იყო განწირული, რადგანაც ის გერმანიის ჰეგემონობას გულისხმობდა. ევროპის პროგრესული საზოგადოება ბუნებრივია ამის წინაარმდეგ გამოვიდა (ე. კოლომბო „ევროპული წინააღმდეგობის მანიფესტი“). მე–20 საუკუნის შუა ხანებისათვის აშკაარ იყო ევროპული იდეის ლიბერალურ–დემოკრატიული და ინტეგრაციონისტული განმარტება.

კერძოდ, მეორე მსოფლიო ომის შედეგებმა რადიკალური ცვლილებები გამოიწვია საერთაშორისო ურთიერთობებში. ევროცენტრიზმა, რაც გულისხმობდა იმას, რომ მსოფლიოს ცენტრი იყო ევროპა და იმავდროულად ის ხვადასხვა იდეათა და პროექტთა ლაბორატორიას წამოადგენდა, კრახი განიცადა. ორპოლუსიანი სისტემის წარმოქნის შემდეგ ევროპა ორნაწილად გაიხლიჩა. ამჯერად ისინი მიისწრაფოდნენ ჩაკეტილი ეკონომიკური სისტემების შექმნისაკენ. მაგრამ ვითარებას ის კიდევ უფრო ართულებდა, რომ საომარი მოქმედებები ევროპის ტერ–ზე მიმდინარეობდა და სახელმწიფოთა ეკონომიკა ფაქტიურად განადგურებული იყო. აღმოსაველთ ერვოპული სახელმწიფოების მოქცევამ სსრკ გავლენის ქვეშ, დასავლეთ ევროპის წამყვან სახელწმიფოებს იაფი ბაზარი გამოაცალ ხელიდან, მითუმეტეს რომ თითოეული სახელმწიფო საბაზრო–ეკონომიკური ურთიერთობებიდან ცენტრალური დაგეგმარების პოლიტიკაზე გადავიდა. ანუ გაჩნდა საფუძველი ევროპული სახელმწიფოების ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანებისა, რომ ეფექტურად დაპირისპირებოდნენ სოციალისტურ ბლოკს. უფრო მეტიც, ომის შემდეგ კოლონიური იმპერიების ნგრევა გახდა საფუძველი იმისა, რომ დიდ ევროპულ სახელწმიფოებს გადაეხედათ საგარეო სავაჭრო–ეკონომიკური ურთიერთობების სტრატეგიისათვის.

კოლონიების ნაცვლად ურთიერთობებს სხცა დასავლეთ ევროპულ სახელმწიფოებთან ამყარებენ.

აღნიშნულ პერიოდში ევროპული ინტეგრაციის პროცესში გადამწყვეტ მნიშვნელობას თამაშობდა კონკურენციის გაწევის სურვილი არა მხოლოდ სოციალისტურ სისტემასთან, არამედ აშშ–თანაც, რომელიც მძლავ სახელმწიფოდ გადაიქცა (ატლანტური სოლიდარობა და დე გოლის ევროპა).

ბევრი უცხოელი ავტორი თვლის, რომ სწორედ პოლიტიკურმა ფაქტორმა (ორ გოლიათზე დაპირისპირების სურვილმა) განაპირობა და ხელი შეუწყო ვეროპული ინტეგრაციის პროცესს. მეორე ფაქტორი, რამაც ხელი შეუწყო ევროპულ იტეგრაციას მდგომარეობდა იმაში, რომ დასავლეტ ევროპულ სახელმწიფოებს გააჩნდა საერთო ისტორიული, კულტურული ფასეულობები, რომელთა დაცვამ „ცივი ომის“ მიმდინარეობის პერიოდში სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა. ერთიანი ევროპის იდეის მამამთავრების – რ. შუამნის, ჟ. მონეს, ა. გასპერის, კ. ადენაუერის აზროვნებაში თვით გაგება „ევროპა“ უკვე ფასეულობა იყო, რომელთანაც ასოცირდებოდა უკვე დემოკრატია, ადამიანის უფლებები...

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომისშემდგომდროინდელმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კონიუნქტურამ შექმნა საფუძველი ერთიანი ევროპული ინტეგრაციის დასაწყისისა.

ლექცია 5. სივრცისა და დროის კატეგორიები საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში და თეორიაში

საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიისა და თეორიის შესწავლა მოითხოვს მათ შესაბამისობაში მოყვანას სივრცისა და დროის კატეგორიებთან. სივრცე ეს მატერიის ყოფის ფორმაა, ახასიათებს რა მატერიის განფენილობას, სტრუქტურას და ყველა მატერიალურ სისტემაში ელემენტთა თანაარსებობას და მათ ურთიერთქმედებას. დრო კი მატერიის ყოფის ის ფორმაა, რომელიც გამოხატავს მატერიის არსებობის ხანრგძლივობას, ყველა მატერიალური სისტემის ცვლილებებსა და განვითარებაში მდგომარეობის ცვლათა თანმიმდევრობას.

შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემების მოდელთა აღმოცენების, ჩამოყალიბების, აყვავების და დაცემის აღწერა სივრცისა და დროის კატეგორიათა პოზიციიდან არის შესაძლებელი. ამასთან, დროისა და სივრცის კატეგორიათა ორ ჯგუფზეა საუბარი - „გარე“ და „შიგა“. საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის აღწერა სივრცისა და დროის გარე კატეგორიებიდან გამომდინარე იძლევა საერთაშორისო ურთიერთობათა ადგილის დახასიათების შესაძლებლობას სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემათა კომპლექსების რიგში და მათ ურთიერთქმედებას. აუცილებელია გავჩერდეთ საერთაშორისო ურთიერთობათა „შიგა“ სივრცესა და „შიგა“ დროზე, რომლებიც მნიშვნელოვანწილად ახასიათებენ საერთაშორისო ურთიერთობათა შემადგენელ ელემენტების სტრუქტურას, თანაფარდობას და განვითარების დინამიკას.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ სივრცისა და დროის კატეგორიები ამ შემთხვევაში განიხილება ახალი დროის ეპოქასთან მიმართებაში და იმ კონტექსტში, რომელიც მათ ევრო-ამერიკული ცივილიზაციის განვითარების პროცესში შეიძინეს, საუბარია მე-15-16 საუკუნიდან მე-17-18 საუკუნეებამდე პერიოდზე, როდესაც მათ დასრულებული სახე მიიღეს ე. წ. „ნიუტონის რევოლუციაში“.

Ньютоновская научная революция

Классическое [естествознание]

Период: XVI-XVIII века

Исходный пункт: переход от геоцентрической модели мира к гелиоцентрической.

Обусловленность:

Отражение в трудах:

• Открытия: Н. Коперника, Г. Галилея, И. Кеплера, Р. Декарта. И. Ньютон подвел итог их исследованиям, сформулировал базовые принципы новой научной картины мира в общем виде.

Основные изменения:

• Язык математики, выделение строго объективных количественных характеристик земных тел (форма величина, масса, движение), выражение их в строгих математических закономерностях

• Методы экспериментального исследования. Исследуемые явления - в строго контролируемых условиях

• Отказ от концепции гармоничного, завершенного, целесообразно организованного космоса.

• Представления: Вселенная бесконечна и объединена только действием идентичных законов

• Доминанта: механика, все соображения, основанные на понятиях ценности, совершенства, целеполагания, были исключены из сферы научного поиска.

• Познавательная деятельность: чёткая оппозиция субъекта и объекта исследования.

Итог: появление механистической научной картины мира на базе экспериментально математического естествознания.

ტრადიციულ საზოგადოებაში ზუსტად არ იყო გამიჯნული დროის და სივრცის კატეგორიები. ბუნებრივია, ეს ეხებოდა იმ ურთიერთობებსაც, რომელსაც პირობითად საერთაშორისო ურთიერთობები ეწოდებოდა. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს შემდეგი: „ვინც უცხო იყო“ ის ითვლებოდა „პოტენციურ მტრად“: „უცხო მიწელი- არის ის უცხოელი, ვინც სამი (ან ხუთი) დღის სავალზე ცხოვრობს“. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა უბრალოდ არევასთან, არამედ სივრცისა და დროის ფიზიკურად არ დანაწილებასთან. თუმცა, ამავდროულად, ეს მაგალითი აშკარად მეტყველებს სივრცობრივ შეზღუდულობაზე, რაც დამახასიათებელი იყო ტრადიციული საზოგადოებისათვის.

„ნიუტონის რევოლუცია“, რომელსაც საფუძველად რეფორმაციული მოძრაობა დაედო (Реформа́ция (лат. *reformatio* — исправление, восстановление) — массовое религиозное и общественно-политическое движение в Западной и Центральной Европе XVI — начала XVII веков, направленное на реформирование католического христианства в соответствии с Библией.

Её началом принято считать выступление доктора богословия Виттенбергского университета Мартина Лютера: 31 октября 1517 года он прибил к дверям виттенбергской Замковой церкви свои «95 тезисов», в которых выступал против существующих злоупотреблений католической церкви, в частности против продажи индульгенций. Концом Реформации можно считать подписание Вестфальского мира в 1648 году[1], по итогам которого религиозный фактор перестал играть существенную роль в европейской политике.

Основными причинами Реформации являлись преодоление феодальной раздробленности и возникновение централизованных государств, экономический кризис после появления огромного количества американского золота и изобретения метода амальгамирования, разорение банков, недовольство различных слоёв населения Европы моральным разложением католической церкви, которое сопровождалось экономической и политической монополизацией.

Одним из основных последствий реформационного движения стало появление протестантизма, который получил распространение во всей Европе в вероучениях последователей Лютера (лютеранство), Жана Кальвина (кальвинизм), «цвиккауских пророков» (анабаптизм), Ульриха Цвингли (цвинглианство), а также возникшего особым путём англиканства).

Комплекс мер, предпринятый католической церковью и иезуитами для борьбы с Реформацией, получили название Контрреформации) რწმენის და შემეცნების გაყოფის საფუძველი გახდა. ამ დებულების თანახმად მსოფლიო რამოდენიმე კანონის შესაბამისად ვითარდება და ისინი ჩაწვდომადია. უფრო მეტიც, საკმაოდ გასაგებია და შესაძლებელია მათი მათემატიკურად ფორმულირება და ადამიანების მიერ მათი პრაქტიკაში გამოყენება.

ჯერ კიდევ მე–15 ს–ში მსოფლმხედველობაში დაფიქსირებული ამ სახის ძვრები საერთაშორისო ურთიერთბათა განვითარებისათვის ნიშნავდა ის გარემოზე წარმოდგენათა ძირეულ ცვლილებას, რომელშიც ხდებოდა ამ ურთიერთობათა განვითარება. სულ მალე პრაქტიკაში დამკვიდრდა შუა საუკუნეებისგან სრულიად განსხვავებული მსოფლიოს რუკა, რომლის აუცილებელ ატრიბუტად გეოგრაფიული რუკა გადაიქცა. 1492 წელს ამერიკის აღმოჩენა, 1498 წელს ინდოეთისაკენ მიმავალი საზღვაო გზის დადგენა, 1519-1522 წლებში მსოფლიო ირგვლივ მოგზაურობა გახდა საფუძველი იმისა,რომ დას. ევროპის მოსახლეობისათვის მსოფლიო 10-ჯერ მაინც გაიზარდა. ძველი შეხედულებები დედამიწის ფორმასა და ზომებზე უმალ დაიმსხვრა. სწორედ, ამ დროს პირველად დაიწყო სამფლობელოებს შორის ტერიტორიული გამიჯვნა (1491 წლის პაპის ბულებით და 1494 წლის ტორდესილიასის ხელშეკრულებით განისაზღვარა ესპანეთისა და პორტუგალიის საზღვრები). თუმცა, საზღვრების დადგენისათვის სხვა წანამძღვრები არსებობდა.

სუვერენული სახელმწიფოები და მათი საზღვრები

საერთაშორისო ურთიერთობათა სივრცესა და მის სტრუქტურაზე მსჯელობისას პირველხარისხოვანი ადგილი იმ მატერიის პრობლემას უჭირავს, რომლისგანაც ის იქმნება, რომელიც ამ ურთიერთობათა სივრცეს ავსებს. უეჭველია, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა უცილობო ელემენტებს სახელმწიფოები წარმოადგენენ, რომლებიც თავიანთ ტერიტორიაზე რეალიზებას უკეთებენ საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას და ახორციელებენ ამ ტერიტორიის სრულ კონტროლს.

ამ უფლებათა ნებისმიერი სახით შეზღუდვა ნიშნავს სახელწმიფოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა სრულფასოვანი სუბიექტის სუვერენიტეტის შეზღუდვას (გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ეს შეზღუდვა არ არის განპირობებული რაიმე ერთობლივი შეთანხმებთ). მოგვიანებით ეს წამყვანი როლი ე. წ. ნაციონალურმა სახელმწიფოებმა დაიკავეს. nation კი, როგორც ასეთი გაიგივებული იყო ხალხთან, ეროვნებასთან, სახელმწიფოსთან.

ნაციონალურ სახელმწიფოთა ჩამოყალიბებაზე მსჯელობა არ იქნება მართებული რეფრომაციის შედეგთა გაუთვალისწინებლად. ეთნობის ერთობის (ერთიანობის)

განმტკიცების საფუძველი საერთო ენა იყო. საერთო (ერთ) ენაზე ხდებოდა წირვა–ლოცვა, განათლების მიღება, რომელიც თანდათანობით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენდა.

მე–16-მე-19 სს შორის ხანგრძლივი პერიოდის კიდევ ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენდა ევროპულ სახელმწიფოთა ბატონობის გავრცელება–გაფართოების უწყვეტი პროცესი დანარჩენ მსოფლიოზე. უცხოელთა დამორჩილება საუკეთესო შემთხვევაში ხდებოდა სისასტიკით, ხოლო უარესს შემთხვევაში მათ ფიზიკურ განადგურებაზე იყო საუბარი.

შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობათა მოდელი, რომელიც უფრო და უფრო დიდ მასშტაბებს იძენდა, აშკარად ევროპაცენტრისტული ხასიათის მატარებელი იყო. მოგვიანებით ამერიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნამ და იაპონიის გამოჩენამ საერთაშორისო ასპარეზზე მაინც ვერ შეცვალა საერთაშორისო ურთიერთობათა არსებული მოდელი, რადგანაც ახლად აღმოცენებული ან გაძლიერების გზაზე დამდგარი სახელმწიფოები იძულებულნი იყვნენ იმ წესებით ეცხოვრათ, რაც მანამ არსებული სისტემისათვის იყო დამახასიათებელი. მაშინ როდესაც მსოფლიოს პირველ დანაწილებაზე მიდგა საქმე, მართალია, ცენტრალიზებული სახელწმიფოების ფორმირების პროცესი ევროპაში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, მაგრამ ეს სახელმიფოები საკმაოდ ეფექტურად ახორციელებდნენ თავიანთი საზღვრების კონტროლს. საერთაშორისო ხელშეკრულებები შესაბამისად საზღვრების მეტნაკლები გამოყოფა, იმ დროისათვის საკმაოდ ძლიერი სამხედრო–პოლიტიკური აპარატის ქონა დაახლოებით მე–17 საუკუნისთვის გახდა საფუძველი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ფორმირებისა. მე–17-19 სს კი ევროპა ამ სიტემის ბირთვის როლში გამოდიოდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში სერიოზული ტერიტორიული ცვლილებები, საერთაშორისო ურთიერთობათა პარამეტრების რადიკალურ ცვლილებას იწვევდა.

საზღვართა განაწილების პრინციპები

მსოფლიოს პირველი განაწილება მე–15 საუკუნის ბოლოს უკავშირდება. 1493 წელს პაპმა ალექსანდრე VI ჩრდილოეთ პოლუსიდან სამხრეთით აზორის კუნძულების და მწვანე კონცხის მერიდიანიდან დასავლეთით დაახლოებით 600 კმ–ში მოახდინა გამყოფი ხაზის

გავლება. საინტერესოა, რომ დედამიწის ფორმასთან დაკავშირებით პაპს რაიმე დოქტრინალური ეჭვები არ აწუხებდა, რადგანაც ის უფრო სერიოზული პრობლემით იყო დაკავებული: საუბარია პორტუგალიის და ესპანეთის მორიგებაზე. 1494 წელს საზღვართა ახალ გამიჯვნაზე იყო საუბარი. კასტილიას (ესპანეთს) და პორტუგალიას შორის გაფორმებული ტორდესილიის ხელშეკრულების თანახმად საზღვარი დაახლოებით ატლანტის დაახლოებით ცენტრზე გადიოდა. იმ დროის დიდი სახელწმიფოები – ესპანეთი და პორტუგალია შეთანხმდენ, რომ სადემარკაციო ხაზის დასავლეთით აღმოჩენილი მიწები ესპანეთის დაქვემდებარებაში მოექცეოდა, აღმოსავლეთი აღმოჩენილი მიწები კი პორტუგალიის.

ეს შეთანხმება და საზღვრების ასეთი პირობითი გამიჯვნა ფაქტიურად გახდა საფუძველი გვიანდელი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის რიგი პოსტულატების ჩამოყალიბებისა. საუბარია, მანამ არსებულ წინააღმდეგობათა მოხსნასა და მომავალში შესაძლებელი დაპირისპირების თავიდან აცილების მექანიზმებზე. სივრცის გაკონტროლების უნარი გახდა საფუძველი საერთაშორისო ურთიერთობათა „შიგა სივრცის“ პრინციპთა ჩამოყალიბებისა. ის ტერიტორია, რომელიც არც ერთი სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არ იყო მოქცეული, წარმოადგენდა ადგილს, რომელის დაუფლებაც ნებისმიერ მსურველს ძალუძდა, ოღონდ საუბარია ევროპულ სახელმწიფოებზე.

კოლონიურ სახელმწიფოთა სივრცობრივი ორგანიზება ხშირ შემთხვევაში განპირობებული იყო ევროპულ მეტროპოლიათა სოციალ–ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონით. მაგ: ესპანეთის სამფლობელოები ამერიკაში 4 ვიცე–სამეფოდ, 4 გენერალ–საკაპიტნოდ და ერთ ცალკეულ ოლქად იყო წარმოდგენილი, რომელთა შორის არ არსებობდა მჭიდრო კავშირ–ურთიერთობები და თითოეული მათგანი მხოლოდ ესპანეთის მეფის ხელისუფლებაზე დამორჩილებისაკენ მიისწრაფოდა. ინგლისის კოლონიებმა კი, მმართველობის განსხვავებული სისტემის მიუხედავად, მალე შეძლეს მჭიდრო კავშირ–ურთიერთობების დამყარება და ისე ეკონომიკის ფორმირება, რომლის უზრუნველყოფა მათ ხელეწიფებოდათ. ფრანგული სამფლოებელოები კი, ინგლისურისგან განსხვავებით, არ გამოირჩეოდა ასეთი ორგანიზებულობით და ინდილებთან ბეწვიტ ვაჭრობის ცენრებს

წარმოადგენდნენ. აღნიშნულ გარემოებათა არსებობამ დიდად განსაზღვრა მოგვიანო პერიოდში მოვლენათა იმ სახით განვითარება,როგორადაც ეს მოხდა.

რაც შეეხება აფრიკულ სამფლობელოებს, ევროპელები აქ შემოიფარგლებდნენ რამოდენიმე სანაპირო პუნქტით, რაც საჭირო იყო ვაჭრობისათვის და ინდოეთისაკენ მიმავალი გზის უზრუნველსაყოფად.

მე–17-18 სს განმავლობაში, ევროპაში განსაკუთრებით პოპულარული იყო საზღვრების დადგენის დინასტიური პრინციპი. ამ პრინციპმა დიდი როლი ითამაშა ცენტრალიზებული სახელწმიფოების შექმნის პროცესში ევროპაში, როდესაც უზარმაზარი არასტაბილური და არასიცოხლისუნარიანი წარმონაქმნების ჩამოყალიბება მიმდინარეობდა. ცენტრსა და პერიფერიებს შორის არ არსებობდა მჭიდრო კავშირ–ურთიერთობები, რაც ხელს უშლიდა თითოეული პერიფერიის თუ რეგიონის სოციალ–ეკონომიკურ განვითარებას. ჰაბსბურგთა იმპერია, თავისი უნივერასლური ტენდენციებით, ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა ნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბებისათვის, მაშინ როდესაც 30 წლიანმა ომმა აჩვენა, რომ საერთასორისო ურთიერთობებში წამყვან როლს უფრო და უფრო ასეთი ტიპის სახელმწიფოები თამაშობდა (საფრანგეთი, ჰოლანდია, შვეცია). მზად იყო ამ უკანასკნელთა რიგს მიერთებოდა რუსეთი, პრუსია, ინგლისი. შუასაუკუნეების კონგლომერატები რომის საღვთო იმპერიის და ოსმალეთის იმპერიის მსგავსი, იძულებულნი ხდებოდნენ ნაბიჯ–ნაბიჯ უკან დაეხიათ მზარდი მეზობლების წინაშე.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დინასტიური პრინციპი ჯერ კიდევ მძლავრი იყო და სერიოზული დაპირისპირების საფუძველი ხდებოდა დროდადრო. საუბარია, 1701-17014 წლების ომზე ესპანეთის მემკვიდრეობისათვის, 1735 წლის ომზე პოლონეთის მემკვიდრეობისათის, 1740-1748 წლების ომზე ავსტრიის მემკვიდრეობისათვის. დინასტიურმა პრინციპმა თავი იჩინა შვიდწლიანი ომის დროსაც (1756-1763 წწ). მისი საბოლოო განდევნა–ამოძირკვა მოხდა საფრანგეთის რევოლუციით და მის შემდგომ განხორციელებული ომების შედეგად, რომლებმაც ევროპის პოლიტიკური რუკის ძირეული შეცვლა გამოიწვია.

წინა პლანზე წამოიწია ნაციონალურ სახელმწიფოთა და „ბუნებრივ საზღვართა“ პრინციპი, რომლის არსიც სახელწმიფოებს შორის არაცვალებად ბუნებრივ ობიექტებზე

(მთაგრეხილებზე, დიდ მდინარეებზე, ზღვათა და ოკეანეთა სანაპიორებზე) მყარი საზღვრების გავლებაში გამოიხატებოდა.

აღნიშნული პრინციპის წარმოქმნა მე–17 საუკუნეს უკავშირდება და მისი გაფორმება კი განმანათლებლობის იდეოლოგიის ფარგლებში მოხდა. მე–19 საუკუნის დასაწყისისათვის ნაციონალური სახელმწიფოები საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა.

საერთასორისო ურთიერთობათა სივრცის ორგანიზაციის ახალ პრინციპთა ჩამოყალიბებას დიდად შეუწყო ხელი სახელმწიფოების შექმნამ ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში. ახალი პრინციპები კი ხშირად წინააღმდეგობრივი ხასიათის მატარებელი იყო. ნაციონალური სახელწმიფოების წარმოქმნის ტენდენცია ერთი მხრივ გერმანიის და მეორე მხრივ იტალიის გაერთიანებისათვის, ისევე როგორც ოსმალეთის იმპერიაში სხვადასხვა ხალხთა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საფუძველი გახდა. ამან კი ავსტრიის იმპერიის პერმანენტულ კრიზისს შეუქმნა ნიადაგი. ნაციონალური სახლემწიფების შემქნისაკენ მისწრაფებას შეეძლო სერიოზული გარღვევა მოეხდინა საერთაშორისო ურთიერთობათა არსებულ სისტემაში და ბუნებრივია ამან თავი გავლენა იქონია ვენის სისტემის სივრცობრივი ბირთვის განსაზღვრაზე. კერძოდ, საზღვრების დადგენისას მონარქთა ლეგიტიმური უფლებების პრინციპი გამოცხადდა. შედეგად კი ისეთი არასიცოცხლისუნარიანი სახელწმიფოები შეიქმნა, რომლებიც თავიდანვე განწირული იყო დაშლისაკენ: ნიდერლანდების სამეფო (1815-1830 წწ) აერთიანებდა ბელგიას, ჰოლანდიას და სხვა მიწებს. უფრო მსხვილმა სახელმწიფოებმა მათ შემადგენლობაში ის ტერიტორიები მოაქცია, რომელთა მოსახლეობა განსხვავებული ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ნიშნების მატარებელი იყო. მაგ: ავსტრიის შემადგენლობაში მოექცა იტალიური მიწები და სლავებით დასახლებული ოლქები. შედეგად კი ავსტრია გადაიქცა თუ არა ევროპის ავადმყოფ, ევროპის დაავადებულ ადამიანად მაინც. რუსეთის შემადგენლობაში მოექცა პოლონეთის სამეფო , რომელიც მთელიმე–19 საუკუნის განმავლობაში სერიოზულ პრობელემბს ქმნიდა ქვეყნის განვითარებისათვის. გერმანია კი იმ სახით შენარჩუნდა, როგორიც იყო ნაპოლეონის დროს, რადგანაც არავის აწყობდა მისი ხელახალი იმ

რაოდენობით დაქუცმაცება წინათ, რომ არსებობდა. ვენის სისტემის ეს სუსტი მხარეები, ბუნებრივია მომავში იჩენდა თავს.

თუმცა, ვენის კონგრესიდან დაახლოებით 15-20 წლის შემდეგ ევროპაში დაიწყო ნაციონალური სახელმწიფოს პრინციპის რეალიზება პრაქტიკაში. ნიდერლანდების დაშლა, საბერძნეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება, სერბეთის, ვლახეთის და მოლდავეთის ავტონომიის დაფუძნება ამ პროცესის პირველ გამოვლენას წარმოადგენდა.

საერთაშორისო ურთიერთობათა სივრცის ფორმირების ტრადიციული პრინციპები თანდათანობით ადგილს უთმობდა ნაციონალური სახელმწიფოს პრინციპს, რაც ხშირ შემთხვევაში სოციალ–ეკონომიკურ განვითარებაში რადიკალური ხასიათის ცვლილებებითაც იყო გამოწვეული. სწორედ ნაციონალური პრინციპის ჩარჩოებში მიმდინარეობდა ერთი მხრივ გერმანიის და მეორე მხრივ იტალიის გაერთიანებისათვის ბრძოლა, ავსტრიის გადაქცევა ავსტრია–უნგრეთად, ნორვეგიის გამოყოფა შვეციისგან და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დამოუკიდებელი სახელწმიფოების შექმნა. მე–19-20 სს მიჯნაზე ნაციონალური სახელმწიფოს პრინციპმა თავისი გამოხატულება უკვე „თვითგამორკვევის“ და „თვითგამორკვევიდან გამოყოფამდე“ პრინციპში ჰპოვა.

საინტერესოა, რომ ამავე პერიოდში განვითარებას განიცდის იმპერიის პრინციპიც, რომელიც უკვე რაღაც ამორფულ დინასტიურ კონგლომერატად კი არ აღიქმებოდა, არამედ სხვადასხვა ეთნოსთა ერთობლივ განვითარებად, რომელიც დაფუძნებული იყო რაღაც ზენაციონალურ იდეაზე (რელიგიურ, მოგვიანებით სოციალურ).

ამ სახით იმპერია ფედალიზმის რაღაც გადმონაშთს კი არ წარმოადგენდა, არამედ იმ სხვადასხვა ეთნოსთა თანაცხოვრების, ეკონომიკური და კულტურული განვითარების ოპტიმალურ ფორმას, რომელთაც შენარჩუნებული ჰქონდათ თავიანთი კულტურული და ისტორიული თავისებურებები. მიუხედავად ასეთი ცვლილებისა, აშკარა იყო ტენდენცია იმისა, რომ იმპერიას ადგილი უნდა დაეთმო ნაციონალური სახელმწიფოებისათვის და თვითგამორკვევისათვის.

თუმცა, ახალ პრინციპზე ბრმად მიყოლა, რომ ვერ გახდებოდა საფუძველი სტაბილური საერთაშორისო ურთიერთობათს სისტემის შექმნისა, ამაზე მეტყველებს ვერსალის კონფერენციის მესვეურთა უშედეგოდ დასრულებული მცდელობა ამ მიმართულებით.

საუბარია პოლონეთის დერეფანზე, სუდეთის ოლქზ და სხვა პრობლემეზე, რომლებიც გახდა საფუძველი ახალი დიდი ომის გაჩაღებისა.

ბიპოლარულ სისტემაში სუ სისტემის სივრცობრივი ორგანიზაციის ყველა ნაკლი, რაც მანამ არსებობდა, თითქოსდა ამოიძირკვა, რაც სისტემას უფრო სტაბილურს ხდიდა, მაგრამ გერმანიის ორ ნაწილად გაყოფამ ვითარება სერიოზულად დაამძიმა.

თუ მეორე მსოფლიო ომის შემდგომდროინდელი სისტემის შენარჩუნება რაღაც სახით მოხერხდა, ეს დამსახურება იყო ბლოკური დისციპლინისა და საერთაშორისო ურთიერთობათა მზარდი გლობალური ხასიათისა. ვიცით, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპის როლი სუ რაღაც სახით შემცირდა. ხოლო ბიპოლარული სისტემის ლიკვიდაციის პირველ გამოხატულებად კი ევროპაში საზღვრების შეცვლა გადაიქცა. საუბარია გერმანიის გაერთიანებაზე, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, სსრკ ნგრევაზე, რაც სუ სივრობრივ ოირგანიზაციის ცვლილებასაც ნიშნავდა.

ამრიგად, ნაციონალური სახელმწიფოს პრინციპი გახდა საფუძველი ფეოდალურ–დინასტიური პრინციპების გაუქმებისა. მაგრამ, არ არის გამორიცხული რომ დღეისათვის ტენდენციად გადაქცეული ინტეგრაციის პროცესი (ეკონომიკური, დემოგრაფიული, სამხედრო) სუ სისტემის თუგინდ რამოდენიმე სუბიექტს შორის, შეიძლება გახდეს რომელიმე მათგანის ჰეგემონობის საფუძველი.

რაც შეეხება „ბუნებრივი საზღვრების“ პრინციპს, ის იყო დანამატი ნაციონალური სახელმწიფოს კონცეფციისა. მაგრამ ეს პრინციპი განამტკიცებდა რა ეროვნული სახელმწიფოს საზღვრებს, შეიძლება გამხდარიყო პირდაპირი აგრესიის საფუძველი. მაგ: საფრანგეთი მიიჩნევდა, რიმ მდ. რეინი მისი ბუნებრივი საზღვარი იყო აღმოსავლეთით, მაშინ როდესაც ის სულაც არ იყო დაინტერსებული იმით, თუ რას ფიქრობდა ამის შესახებ გერმანია.

უფრო მეტიც, დიდ მდინარეებთან ხშირად სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მოსახლეობა იყო განსახლებული, ამიტომაც ისინი სადემარკაციო ხაზის როლში შეიძლება უფრო გამოსულიყვენ კონფლიქტების ბოლოს (ჯარების განლაგება), ვიდრე ბუნებრივი საზღვრების. მაგ: მდ. ელბა არამხოლოდ ორი გერმანული სახელმწიფოს გამყოფი იყო,არამედორი დაპირისპირებული ბლოკისა მსფლიოში. აშშ–ს შემთხვევაში ბუნებრივი

საზღვრების პრინციპის გამოყენების უშაულო შედეგს წარმოადგენდა მექსიკის ნახევარი ტერიტორიის მოქცევა მის შემადგენლობაში და კანადასთან მიმართებაში საზღვრის გამიჯვნა უშუალოდ ბრიტანულ სამფლობელოებთან.

საზღვრების ტიპები

პრაქტიკაში საზღვრების გამოყოფის რამოდენიმე ფორმალური ტიპი არსებობს: ოროგრაფიული, გეომეტრიული და გეოგრაფიული. სახელმწიფოს ოროგრაფიული საზღვრის გავლება ხდება ადგილის რელიეფის გათვალისწინებით, ძირითადად მთაგრეხილებზე და მდინარეების კალაპოტების გათვალისწინებით. რიგ შემთხვევაში ის შეიძლება დაემთხვეს ე. წ. :ბუნებრივ საზღვრებს“. გეომეტრიული საზღვრის გავლა ხდება დასახლებულ პუნქტებზე გვერდზე ავლით, ორ წერტილს შორის სწორი ხაზის გავლებით, ბუნებრივია რელიეფის თავისებურებათა გაუთვალისწინებლად. გეოგრაფიულსაზღვარს კი ადგენენ კონკრეტული გეოგრაფიული კოორდინატების გათვალისწინებით, რომელიც არჩ თუ იშვიათ შემთხვევაში მერიდიანს ან პარალელს ემთხვევა. აფრიკის და ამერიკის სახელმწიფოები ამის თვალსაჩინო ნიმუშია.

აფრიკული სახელმწიფოების შემთხვევაში, როდესაც ჯერ სახელმწიფოტა ჩამოყალიბება მოხდა, ხოლო შემდეგ დაიწყო ერების, სერიოზული პრობელემები შეიქმნა. რიგ შემთხვევაში ერთიდაიგივე ხალხი სხვადასხვა სახელმწიფოში აღმოჩნდა, ან ერთ სახელმწიფოში აღმოჩნდა ხალხები, რომელთა თანაცხოვრება შეუძლებელია.

საერთაშორისო ურთიერთობათა სივრცობრივ ორგანიზებაზე მსჯელობისას აუცილებელია „გავლენის სფეროთა“ და „სასიცოხლო ინტერესთა“ ტერმინების გააზრებაც. როდესაც დიდი სახელმწიფოები რომელიმე ქვეყანას იყოფდნენ, თავიანთ სამფლობელოებს შორის ბუფერულ ზონას ამ უკანასკნლებზე დაყრდნობით ქმნიდნენ. ამ ქვეყნაში მართალია ადგილობრივი ხელისუფლება რჩებოდა, მაგრამ რეალურად ის რომელიმე დიდ დამპყრობელს ექვემდებარებოდა (გერმანია–სსრკ–ბალტიისპირეთი–პოლონეთი). „სასიცოხლო ინტერესები“ კი „გავლენის სფეროების“უფრო მკაცრი ფორმაა, იმიტომ რომ ის გულისხმობს დიდი სახელმწიფოს იმ სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმეებში ჩარევას, რომელიც მის სასიცოხლო ინტერესს წარმოადგენს.

ცივი ომის დროს არსებობდა დასავლეთ–აღმოსავლეთ პოლუსები, ახლა კვლავ ძველია ჩრდილოეთი–სამხრეთი (განვითარებული და განვითარებადი სახელწმიფოები (პირველებს რესურსები ჭირდებათ, მეორეებს კი დამოუკიდებლობა და თვითგანვითარება).

ლექცია 6. რეჟიმები როგორც შუალედური ცვლადები საერთაშორისო ურთიერთობებში

საერთაშორისო რეჟიმების ყველაზე ფართო განსაზღვრებას გვაძლევს სტივენ კრაზნერი, რომელიც რეჟიმებს შემდეგნაირად აღწერს ,,იმ პრინციპების, ნორმების, წესებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების ერთობლიობა, რომელთა თაობაზეც თანხვდება მოქმედ პირთა მოლოდინები ამა თუ იმ სფეროში.” იგი ასევე იძლევა თითოეული ტერმინის განმარტებას, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია. პრინციპები - ესაა წარმოდგენები ფაქტზე, მიზეზობრიობასა და სისწორეზე. ნორმები - უფლებებისა და მოვალეობების საფუძველზე განსაზღვრული ქცევის სტანდარტები, წესები - ქცევის გარკვეული დირექტივები ან აკრძალვები, გადაწყვეტილების მიღების პროცედურები კი - კოლექტიური არჩევნის გაკეთებისა და განხორციელების გაბატონებული მეთოდებია.

განასხვავებენ რეჟიმებსა და შეთანხმებებს. რეჟიმები უფრო მეტია ვიდრე დროებითი შეთანხმებები. შეთანხმებები საგანგებო და ხშირად ერთჯერადი ხასიათისაა, ხოლო რეჟიმების მიზანია შეთანხმებების ხელშეწყობა. კრაზნერის მიერ ზემოთ მოცემული რეჟიმების განმარტება ყველაზე გავრცელებული და პარსიმონიულია და სხვა ბევრ დანარჩენ განსაზღვრებასთან მოდის შესაბამისობაში. რეჟიმებზე საუბრისას აუცილებელია განვსაზღვროთ ერთის მხრივ პრინციპები და ნორმები და მეორეს მხრივ, წესები და პროცედურები. პრინციპები და ნორმები რეჟიმის ძირითადი განმსაზღვრელი

მახასიათებლებია. მრავალი წესი და პროცედურა შეიძლება შეესაბამებოდეს ერთსა და იმავე პრინციპებსა და ნორმებს. წესებსა და პროცედურებში მომხდარი ცვლილებები რეჟიმების შიდა ცვლილებებია იმ პირობით, რომ პრინციპები და ნორმები უცვლელია. პრინციპებსა და ნორმებში მომხდარი ცვლილებები თავად რეჟიმის ცვლილებას ნიშნავს. როდესაც არსებულ პრინციპებს და ნორმებს უგულებელყოფენ ან ახალი რეჟიმი იქმნება, ან არსებული რეჟიმი მოცემული სფეროდან ქრება. აქვე უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ფუნდამენტური პოლიტიკური დავები უფრო ნორმებსა და პრინციპებს შეეხება, ვიდრე წესებსა და პროცედურებს. როდესაც რეჟიმის პრინციპები, ნორმები, წესები და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები ნაკლებად შეთანხმებული ხდება ან თუ არსებული პრაქტიკა სულ უფრო მეტად აღარ შეესაბამება პრინციპებს, ნორმებსა და

პროცედურებს, მაშინ რეჟიმი დასუსტებულია. მაგალითად, განვითარებული ქვეყნებისადმი განსაკუთრებული და დიფერენცირებული დამოკიდებულება იმის მაუწყებელია, რომ ლიბერალური რეჟიმი დასუსტდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ჩანაცვლება არ მომხდარა.

ამრიგად, კრაზნერი ასკვნის, რომ რეჟიმის შიდა ცვლილება გულისხმობს წესებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების, და არა ნორმებისა და პრინციპების შეცვლას; საკუთრივ რეჟიმების ცვლილება კი ნორმებისა და პრინციპების შეცვლას ნიშნავს, ხოლო რეჟიმის დასუსტება - რეჟიმის კომპონენტებს შორის შეთანხმებულობის დარღვევას ან რეჟიმისა და შესაბამისი ქცევის შეუთავსებლობას.

არსებობს დიდი დებატები იმასთან დაკავშირებით, თუ რა როლს ასრულებენ რეჟიმები საერთაშორისო პოლიტიკაში და აქვთ თუ არა მათ დამოუკიდებელი ზეგავლენა სახელმწიფოთა საქციელზე. კრაზნერი თავის სტატიაში გამოყოფს სამ მიდგომას რეჟიმებისადმი.

პირველი მიდგომის წარმომადგენელია სუზან სტრანჟი. მას რეჟიმების ცნების ღირებულების თაობაზე სერიოზული ეჭვები გააჩნია. მისი აზრით, აღნიშნული კონცეფცია დამღუპველია, ვინაიდან ის ბუნდოვანს და გაურკვეველს ხდის ინტერესებისა და ძალის ურთიერთმიმართებას, რომელიც საერთაშორისო სისტემაში ქცევის უშუალო და უპირველეს მიზეზად გვევლინება. სტრანჟის აზრით რეჟიმებს, თუ საერთოდ შესაძლებელია მათ არსებობაზე საუბარი, მხოლოდ უმნიშვნელო გავლენა აქვს ან საერთოდ არავითარი. ისინი თანამდევი მოვლენა უფროა. სტრანჟის პოზიცია ემთხვევა სტრუქტურულ მიდგომებს, რომლებიც პირად სარგებელზეა ორიენტირებული და ყურადღებას ამახვილებს რაციონალური მოქმედი პირებისაგან შემდგარ მსოფლიოზე.

რეჟიმებისადმი მეორე, მოდიფიცირებული სტრუქტურული მიდგომა ყველაზე ნათლად კიოჰეინისა და სტაინის ნაშრომებშია მოცემული. ეს ორივე ავტორი ტრადიციული სტრუქტურული რეალიზმის ხედვიდან გამოდის (მსოფლიო შედგება სუვერენული სახელმწიფოებისგან, რომლებიც საკუთარი ინტერესებისა და ძალის მაქსიმიზაციას ესწრაფიან). სუვერენული სახელმწიფოებისგან შემდგარ მსოფლიოში რეჟიმების ძირითადი ფუნქციაა სახელმწიფოთა ქცევის კოორდინაცია, გარკვეულ სფეროში სასურველი

შედეგების მისაღწევად. სტაინი და კიოჰეინის აზრით, რეჟიმებს შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა მაშინ, როდესაც პირადი ინტერესის ინდივიდუალური, არაკოორდინირებული გათვლებით პარეტო-ოპტიმალური შედეგები ვერ მიიღწევა. პატიმრის დილემა არის ამის კლასიკური მაგალითი. რეჟიმებისადმი მესამე მიდგომა გროციუსისეულ ტრადიციას ეფუძნება, რომელიც რეჟიმებს ყველა პოლიტიკური სისტემისათვის დამახასიათებელ ფენომენად მიიჩნევს. ამ მიდგომის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან რეიმონდ ჰოპკინსი, დონალდ პუჩალა და ორან იანგი. მათი აზრით, სახელმწიფო მოღვაწეები თითქმის ყოველთვის შეზღუდულად გრძნობენ თავს იმ პრინციპებით, ნორმებითა და წესებით, რომლებიც განსაზღვრავს ან კრძალავს სხვადასხვაგვარ ქცევას. მათი მოსაზრება სცდება რეალისტურ თვალთახედვას. პუჩალა და ჰოპკინსი თავიანთ არგუმენტს არა მხოლოდ იმ სფეროებს უკავშირებენ სადაც ხდება ინტერესთა თანხვედრა (სურსათი) არამედ იმ სფეროსაც, რომელიც, ზოგადად, ბევრად უფრო კონფლიქტურად ითვლება (კოლონიალიზმი). იანგი ასევე ამტკიცებს, რომ განმეორებადი ქცევა გარდაუვლად იწვევს შესაბამის მოლოდინს. ინტერესის გათვლების ამსახველი განმეორებადი ქცევა კი რეჟიმების შექმნას უწყობს ხელს, რომლებიც განმეორებად ქცევას აძლიერებენ.

ჰოპკინი და პუჩალა ფიქრობენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების რეალური მოქმედი პირები ელიტები არიან. სახლემწიფოები მხოლოდ იშვიათი აბსტრაქციაა. ელიტებს როგორც ნაციონალური, ისე ტრანსნაციონალური კავშირები აქვთ. სუვერენიტეტი ქცევითი ცვლადია და არა ანალიტიკური ვარაუდი. სახელმწიფოთა უნარი, გააკონტროლონ საზღვართამკვეთი გადაადგილებანი და შეინარჩუნონ გავლენა საერთაშორისო სისტემის ყველა ასპექტზე, შეზღუდულია. უსაფრთხოება და სახელმწიფოს გადარჩენა ერთადერთ მიზანს არ წარმოადგენს. საერთაშორისო პოლიტიკაში არა მარტო ძალას უკავია მნიშვნელოვანი ადგილი. ელიტები მოქმედებენ კომუნიკაციათა ქსელის ფარგლებში, რომლებიც წესებს, ნორმებსა და პრინციპებს მოიცავს და ეროვნულ საზღვრებს სცდება.

გროციუსისეული ხედვის მიმდევრები რეჟიმებს საერთაშორისო სისტემის ფართოდ გავრცელებულ და მნიშვნელოვან მოვლენად აღიარებენ. სტრუქტურული რეალიზმის მიმდევრები, კი რეჟიმებს განიხილავენ ფენომენად, რომლის შესახებაც ვარაუდების გამოთქმა შეუძლებელია და რომლის არსებობაც საფუძვლიან ახსნას მოითხოვს.

საბოლოოდ, კრაზნერი მოკლედ და შინაარსიანად აჯამებს რეჟიმებისადმი ამ სამი მიდგომის დედააზრს. ტრადიციული სტრუქტურული მიდგომა რეჟიმებს სერიოზულად არ აღიქვამს: თუ ძირითადი მიზეზობრივი ცვლადები შეიცვლება, რეჟიმებიც ცვლილებას განიცდის. რეჟიმები დამოუკიდებლად ვერ ახდენენ გავლენას ქცევაზე. მოდიფიცირებული სტრუქტურული მიდგომის თანახმად, რომელსაც რეალისტები გვთავაზობენ, რეჟიმები მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებამ არასასურველი შედეგები შეიძლება გამოიღოს. და ბოლოს, გროციუსისეული მიდგომა რეჟიმებს ადამიანთა განმეორებადი ურთიერთქმედების, მათ შორის საერთაშორისო სისტემაში, ქცევის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს.

რეჟიმების განვითარებას კრაზნერი ხსნის შემდეგი ძირითადი მიზეზობრივი ცვლადების მეშვეობით: ეგოისტური პირადი ინტერესი, პოლიტიკური ძალა, ნორმები და პრინციპები, პრაქტიკა და ჩვეულება, და ცოდნა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რეჟიმები უფრო ფართო მცნებაა, ვიდრე ინსტიტუტები. ანუ, არსებობოს ისეთი რეჟიმები, რომლებიც ფორმალური ორგანიზაციული ხასიათით არ არის გამოხატული, მაგალითად, კონფერენციებს საზღვაო კანონების შესახებ, (the law of the sea conferences), რომლებიც გაეროს ეგიდით მოეწყო, არ აქვთ ფორმალური საერთაშორისო ორგანიზაცა, მაგრამ ამ კონფერენციის ფარგლებში არსებობს გარკვეული მოლოდინები მასში გაერთიანებული წევრი სახლემწიფოებისა, რომლებიც ეფუძნება ნორმებს, წესებს და პრინციპებს და გადაწყვეტილების მიღების განსაკუთრებულ პროცედურებს.

ინსტიტუციური ლიბერალები ამბობენ, რომ საერთაშორისო ინსტიტუტებს შესწევთ ძალა ხელი შეუწყონ თანამშრომლობას და უფრო სათუო გახადონ იგი, თუმცა ისინი შორს არიან იმ აზრისგან, რომ ინსტიტუტებს შეუძლიათ გარდაქმნან საერთაშორისო ურთიერთობები, ანუ ჩაანაცვლონ ანარქია სხვა ტიპის წესრიგით (გადააქციონ ჯუნგლები ზოოპარკად).[1] ეს იმაზე მიუთითებს, რომ ინსტიტუციური ლიბერალები იზიარებენ და სრულად ითავისებენ რეალიზმის პოსტულატებს საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ, მაგრამ საბოლოო ჯამში ცოტა უფრო ოპტიმისტურად უყურებენ მომავალს, იმის საფუძველზე, რომ ინსტიტუტები და რეჟიმები ხელს უწყობენ თანამშრომლობას.

ლოგიკურად ისმება კითხვა, თუ რა არის ინსტიტუტები. ინსტიტუტები იგივე რეჟიმებია, რომლის განმარტება ზემოთ იყო მოხსენებული, მაგრამ ინსტიტუტებს აქვთ უფრო ფორმალური ხასიათი. მაგალითად ინსტიტუტებია ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები როგორიცაა გაერო, ეუთო, ნატო, ევრო კავშირი და ასე შემდეგ. ინსიტიტუტია ასევე იმ წესების ერთობლიობა, რომლებიც მართავენ სახელმწიფოთა საქციელს გარკვეულ სფეროში, როგორიცაა ავიაცია, ან ნაოსნობა. ეს წესები, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ასევე მოიხსენიებიან როგორც რეჟიმები. ხშირად ინსიტიტუტები და რეჟიმები თანაარსებობენ. მაგალითად, გვაქვს სავაჭრო რეჟიმი, მაგრამ იგი ამავდროულად ფორმალური ინსტიტუტით არის გამოხატული, რომლიც არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია.

ინსტიტუციური ლიბერალები ამტკიცებენ, რომ საერთაშორისო ინსტიტუტები ხელს უწყობენ თანამშრომლობას. ამ საკითხს ისინი ბიჰეივიორისტულად, ანუ მეცნიერულად უდგებიან. პირველ რიგში შეისწავლიან თანამშრომლობის დონის ინსტიტუციონალიზაციას ქვეყნებს შორის და თუ რამდენად შეუწყვეს ხელი ინსტიტუტებმა ამ თუ იმ სფეროში თანამშრომლობას. ინსტიტუციონალიზაციის დონე შეიძლება განისაზღვროს ორ განზომილებად: სიღრმისეულად და ფოკუსის მიხედვით. ფოკუსი შეეხება იმ საკითხებს, რომლებსაც ინისტიტუტი ეხება. სიღრმე იზომება სამი კომპონენტის მეშვეობით: *ერთგვაროვნება, კონკრეტულობა და ავტონომია.* არის კონკრეტული ფოკუსის მქონე ინსტიტუტები, როგორიცაა ნატო ან ფართო ფოკუსის მქონე, როგორიცაა გაერო და ნაწილობრივ ევროკავშირი. ასევე, არის რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციები. თვისობრივად ისინი შეიძლება იყოს სამთავრობოთაშორისო (გაერო) ზესახელმწიფოებრივი (ევრო კავშირი) ან ტრანსნაციონალური (საერთაშორისო ამინისტია).

ინსტიტუციური ლიბერალების მტკიცებით ინსტიტუტები ნოყიერ ნიადაგს ქმნიან თანამშრომლობისათვის, რადგან ისინი ხელს უწყობენ სახელმწიფოთა შორის ნდობას ინფორმაციის მიწოდების და მოლაპარაკების ფორუმის შექმნის გზით. ინსტიტუტები ასევე ამცირებენ ტრანსაქციის დანახარჯებს ქვეყნებისათვის.

ინსტიტუტების ეს პოზიტიური ზეგავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე მუდმივი კრიტიკის საგანი ხდება რეალისტების მხრიდან, რომლებიც სასტიკად

ეწინააღმდეგებიან იდეას, რომ ინსტიტუტები არიან დამოუკიდებელი აქტორები, რომლებთაც შესწევთ უნარი გავლენა იქონიონ საერთაშორისო ურთიერთობებზე და წარმოქმნან თანამშრომლობა.

ყველაზე ცნობილი კრიტიკა ინსტიტუციური ლიბერალიზმისა მოცემულია ჯონ მირშაიმერის სტატიაში ,,ინსტიტუტების ცრუ დაპირება," რომელიც გამოიცა 1994 წელს აკადემიურ ჟურნალ*საერთაშორისო უსაფრთხოებაში.* ამ სტატიამ გამოიწვია დიდი ვნებათაღელვა საერთაშორისო ურთიერთოებების თოერიის სპეციალისტებს შორის. მასზე ერთობლივი საპასუხო სტატია გამოსცეს ინსტიტუციონალისტებმა - რობერტ კიოჰეინმა და ლიზა მარტინმა იმავე ჟურნალის შემდგომ ნომერში, ხოლო ამ კონტრ სტატიას მოჰყვა საპასუხო სტატია მირშაიმერისგან. ეს თეორიული კამათი ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ მეორე დებატები საერთაშორისო ურთიერთობებში ჯერ კიდევ მიმდინარეობს და თუ ვის მხარეს გადაიხრება სასწორი დამოკიდებულია თანამედროვე მოვლენების მიმდინარე და შემდგომ განვითარებაზე.

ლექცია 7. იდეოლოგიის როლი სახელმწიფოს პოლიტიკაში

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაზე იდეოლოგიის გავლენის პრობლემა დიდი ხანია კვლევის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. პირველ რიგში გასარკვევია თუ რა არის იდეოლოგია და რაში მდგომარეობს მისი როლი საგარეო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში. არსებობს სხვადასხვა გზა ამის ახსნისა. იდეოლოგიის განმარტების მცდელობას ადგილი უკვე მე–18 საუკუნის ბოლოდან ჰქონდა, როდესაც ფრანგმა განმანათლებელმა დესტუტ დე ტრესიმ პირველად გამოიყენა ეს ტერმინი წიგნში „იდეოლოგიის ელემენტები“. მისი მოსაზრებით იდელოგია ეს იყო იდეათა ერთობლიობა, რომელთა წარმოშობა ხდება ერთ ადამიანთან ან ადამიანთა ჯგუფში მათ ირგვლივ არსებული ცხოვრების ფენომენთა მიმართ. ლ. ფეირბახი, კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ო. კონტი, ვ. ლენინი, ზ. ფრეიდი და სხვა მსხვილი მოზაროვნეები სეეცადნენ იდეოლოგიის საკუთარი ინტერპრეტაცია მოეხდინათ.

საბოლოო ჯამში იდეოლოგია დღეისათვის იგიევ საკამათო საკითხს წარმოადგენს, როგორაცაა ომი, მშვიდობა, კონფლიქტი, კრიზისი დ სხვ. საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში. ერთადერთი, რაზეც მკვლევარები თანხმდებიან არის ის, რომ იდეოლოგიას ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა საზოგადოების და სახელწმიფოს ცხოვრებაში.

როგორც წესი იდეოლოგიის ქვეშ მოიაზრება ცალკეული ადამიანების თუ კონკრეტული სოციალური ჯგუფების ფილოსოფიური, პოლიტიკური, სამართლებრივი, რელიგიური და სხვა მსოფლმხედველობები, რომელთა მიზანს შეადგენს იმ გარემოს (სამყაროს) ახსნა, რომელშიც ამ ადამაინებს უხდებათ ცხოვრება. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ იდეოლოგია გავლენას ახდენს ადამიანის, საზოგადოების, სახელწმიფო ცხოვრებაზე. მაგრამ პირდაპირი კავშირის არსებობის წარმოდგენა იდეოლოგიასა და საგარეო პოლიტიკას შორის რთულია. შესაძლებელია მხოლოდ ვისაუბროთ მიზეზ–შედეგობრივ კავშირებზე ოფიციალურ სახელმწიფო იდეოლოგიასა და მსოფლიო არენაზე სახელმწიფოს ქმედებებს შორის.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ცნობილი სწავლულების მოსაზრებები. ჰანს მორგენტაუ თავის კასიკურ ნაშრომში „სახელმწიფოებს შორის პოლიტიკა“ წერს, რომ იდეოლოგია საერთაშორისო ურთიერთობების ორგანული ელემენტია და ქვეყნის პრაგმატული საგარეო პოლიტიკის ხელოვნურად მოფიქრებულ საფარველს წარმოადგენს, რომლის არსი ქვეყნის ძლიერების და გავლენის გაზრდასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მდგომარეობს. ა. შლეზინგერ-მლი კი ფიქრობს, რომ იდეოლოგია, როგორც მასების რწმენათა სისტემა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის გატარებისათვის არაერთ წინადადებას იძლევა. მ. ბრიჩერი, ჰ. კისინჯერი, ს. ხოფმანი და ბ. ფარელი კი ფიქრობენ, რომ იდეოლოგია პირდაპირ კავშირშია სახელწმიფოს არსთან და მისი საგარეო პოლიტიკის განხორციელების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.

იდეოლოგიის გავლენის ზრდა საერთაშორისო ურთიერთობებზე განსაკუთრებით საგრძნობი ახალი დროიდან ჩნდება, როდესაც იდეუ-პოლიტიკურ მომენტებს განსაკუთრებული დატვირთვა მიენიჭა ამათუიმ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში. საუბარია ომების რიგზე და სხვადასხვა კოალიციებზე, რომლებსაც ქმნიდნენ ფეოდალური სახელმწიფოები რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ, თუმცა ისიც საგულისხმოა, რომ ამ კოალიციებში არაფეოდალური ინგლისიც ღებულობდა მონაწილეობას. თავის მხრივ ფრანგული რესპუბლიკანიზმი წარმოადგენდა ქვეყნის თავდაცვის იდეურ დასაბუთებას, ისევე როგორც მოგვიანებით მისი ექსპანსიისა. ნაციონალიზმიც, როგორც იდეოლოგიის ფორმა მე-19 საუკუნეში გახდა საფუძველი სახელმწიფოს გაერთიანებისათვის ომის დაწყებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბებისა.

თუმცა, საერთაშორისო ურთიერთობებში იდეოლოგიის თვალსაჩინო მაგალითებს უფრო მე-20 საუკუნე იძლევა, რადგანაც აღნიშნული პერიოდიდან იდეოლოგიურ ფორმათა საფუძველს წარმოადგენდა არა იმდენად რელიგიური და ნაციონალური ფაქტორები, რამდენადაც ვიქრო სტრუქტურირებული პოლიტიკური და ფილოსოფიური წარმოდგენები. ასეთი ტიპის იდეოლოგიები უფრო მასობრივი იყო, რის გამოც მე-20 საუკუნეს „მასების საუკუნესაც“ უწოდებენ.

ბუნებრივია, ამას მისი საფუძველი გააჩნდა. წინა საუკუნეებისგან განსხვავებით, მე-20 საუკუნეში განათლების ხელმისაწვდომობა, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა განვითარება გახდა მიზეზი იმისა, რომ იდეოლოგიის ფორმირებაში მასებს განსაკუთრებული წვლილი შეეტანა. რადიოს და ტელევიზიის მეშვეობით ინფორმაცია მოსახლეობაში დიდი სისწრაფით ვრცელდებოდა, ისევე როგორც სხვადასხვა იდეოლოგიური მოსაზრებებიც. მეორე მხრივ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ადამიანებს მისცა შესაძლებლობა აქტიურად ჩართულიყვნენ თითონ იდეოლოგიატა ფორმირების პროცესში და გავლენა მოეხდინათ მათზე. ბუნებრივია, იგივე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უმნიშვნელოვანეს იარაღს წარმოადგენს ხელისუფლებათა ხელში მოსახლეობაში ფართოდ მოახდინონ მათთვის მისაღები მოსაზრებების დანერგვა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით. მე-20 საუკუნის პირველ მესამედში განხორციელებულმა დემოკრატიულმა პროცესებმა ამერიკაში, ინგლისსა და საფრანგეთში, გაზარდა შუამავალთა რიცხვი საზოგადოებრივ აზრსა და ქვეყნის რეალურ საგარეო პოლიტიკას შორის (საპარლამენტო ინსტიტუტები, პოლიტიკური პარტიები, სხვა საზოგდაოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებები). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მაინც პოლიტიკური პარტიები იყო, რადგანაც ისინი ყველაზე მეტად წარმოადგენდნენ მასობრივს და კონკრეტული იდეოლოგიის მატარებლები იყვნენ, რომელიც საგარეო პოლიტიკის კომპონენტებსაც შეიცვდა. საბოლოოდ ცაბარდა წარსულ ის პერიოდი, როდესაც მონარქი, მისი გარემოცვა ე. წ. ელიტა, წარმოადგენდა გარემოს, სადაც მიმდინარეობდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პოსტულატების ფორმირება.

საინტერესოა, რომ ახალი ტიპის მასობრივი იდეოლოგია არა მხოლოდ იმის გამოხატულებას ახდენდა თუ როგორი უნდა ყოფილიყო იდეალური მსოფლიო, არამედ არსებული წესრიგის და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ლიკვიდაციის აუცილებლობასაც შეიცავდა, რაც თავისთავად გულისხმობდა კონკრეტული საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირებას.

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები.

იდეოლოგიის როლი საბჭოთა პოლიტიკაში

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის უმნიშვნელოვანეს შედეგს წარმოადგენდა დეკრეტი ზავის შესახებ, რაც ახალი ხელისუფლების მხრიდან სრულიდა განსხვავებული ტიპის მიდგომას გულისხმობდა საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებში. საუბარი იყო სრულიად ახალ პრინციპებზე: საიდუმლო დიპლომატიაზე უარის თქმაზე, ომიდან არატრადიციულ გამოსვლაზე, ანექსიის და კონტრიბუციის გარეშე ზავზე, რაც თავისთავად ნიშნავდა იმას, რომ ახალი რუსეთი უარს ამბობდა იმ ვალდებულებეს შესრულებაზე, რაც მეფის რუსეთს მოკავშირეების მიმართ გააჩნდა. ბუნებრივია ყველაზე მთავარი მაინც მსოფლიო რევოლუციის იდეა იყო, რასაც მთელი მსოფლიოს სახე უნდა შეეცვალა. მსოფლიო რევოლუციის ეიფორიულ იდეას საფუძვლად დაედო მძიმე სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა პირველი მსოფლიო ომის დასასრულს. რევოლუციები ავსტრიაში, გერმანიაში, ფინეთში, უნგრეთში. გართულებული ვითარება ინგლისში, ესპანეთში, იტალიაში, საბერძნეთში; რევოლუციური აღმავლობა თურქეთში, ჩინეთში, ირანში, მონღოლეთში. ყოველივე ამან მისცა საბაბი ბოლშევიზმის მესვეურთ ეფიქრათ იმის შესახებ, რომ დადგა დრო, რის შესახებაც საუბარი იყო მარქსიზმის მოძღვრებაში მსოფლიო რევოლუციის განხორციელებასთან დაკავშირებით. მაგრამ აღნიშნულ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუცია არ მომხდარა, უფრო მეტიც რუსეთის უშუალო მეზობლებშიც კი (პოლონეთი, უნგრეთი), ავტორიტატულ-კონსერვატორული და კომუნისტური რეჟიმები რჩებოდა ძალაში. შესაბამისად, საბჭოთა სახელმწიფო იძულებული გახდა უარი ეთქვა მსოფლიო რევოლუციის იდეაზე და პირიქით მისი საგარეო პოლიტიკური კურსის არსებულ საერთაშორისო სისტემასთან (ვერსალ-ვაშინგტონის) ადაპტაციაზე დაეწყო ფიქრი. პირველ რიგში ეს გამოწვეული იყო ბოლშევიკთა მისწრაფებით შეენარჩუნებინათ ერთიანობა კომუნისტურ მოძრაობაში მსოფლიო დონეზე, რომელმაც 1919 წლის მარტში კომინტერნის სახით ჰპოვა გაფორმება. მიზანი კვლავ მსოფლიო რევოლუციის განხორციელბა და საერთაშორისო იმპერიალიზმის დამხობა იყო. კომინტერნმა 1943 წლამდე იარსება და მისი მიზანი ცალკეულ ქვეყნებში კაპიტალიზმის დამხობისათვის პირობების მომზადებაში მდგომარეობდა. იმავდროულად, „მშვდობიანი თანაარსებობის“ იდეის ფორმირება გულისხმობდა იმას, რომ სირთულეს არ წარმოადგენდა განსხვავებული იდეოლოგიის მატარებელი სახელწმიფოების თანაარსებობა. ანუ, საბჭოთა

რუსეთმა უარი თქვა მეფისდროინდელი რუსეთის მემკვიდრედ გამოცხადებაზე, მაგრამ არსებულ საერთაშორისო ვითარებაში იმავე რლის შესრულებაზე აკეთებდა გათვალს, რასაც თავისდროზე პირველი ასრულებდა.

20-იანი წლების დასაწყისისათვის მეტნაკლებად მოწესრიგდა ურთიერთობები სსრკ-სა და მეზობელ სახელმწიფოებს შორის. ირანთან და ავღანეთთან მიმართებაში კი რუსეთმა იმასც კი მიაღწია, რომ საჭიროების შემთხვევაში მას შეეძლო ჯარების შეყვანა ამ უკანასკნელთა ტერიტორიაზე. 1924 წელს სსრკ არსებობა აღიარა ბრიტანეთმა და საფრანგეთმაც, რაც დიდი ნაბიჯის გადადგმის ტოლფასი იყო. იმავდროულად საბჭოთა ხელმძღვანელობა ახერხებს ვერსალის მეორე გარიყულ პარტნიორთან ურთიერთობების მოწესრიგებას. საუბარია გერმანიაზე, რომელიც საბჭოთა კავშირისათვის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში უმსხვილეს პარტნიორად გადაიქცა და ორი სახელმწიფო იმავდროულად თანამშრომლობდა სახედრო-ტექნიკურ განვითარების სფეროში.

საბჭოთა სახელმწიფო გადაიქცა უნიტარულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა (რომელიც ცალკეული ადმინსტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისგან შედგებოდა, მაგრამ არცერთი მათგანი არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს. იყო მმართველობის ერთი ორგანი, ერთიანი სამართლებრივი სისტემა და ა. შ.), მაგრამ საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით ის მკაცრად ცენტრალიზებული იყო. ამ დროისათვის საბჭოთა ხელისუფლება დიდად აპელირებდა „ერთა თვითგამორკვევის იდეით“, რომელიც მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში წარმოადგენდა სატყუარას და რეალურად სსრკ ამ თვალსაზრისით არც არაფერს აკეთებდა. პირიქით, მას შემდეგ რაც უცხოეთის ინტერვენცია დასრულდა, საბჭოთა ხელისუფლებამ მოიცალა მეზობელი სახელმწიფოების გასასაბჭოებლად. ინდუსტრიალიზაციამ კი საშუალება მისცა მას საკმაოდ თანამედროვე არმიის და ფლოტის ჩამოყალიბებისა, რაც უკვე ნიშნავდა იმას, რომ ის ადრინდელ სტატუს იბრუნებდა. ამ მიმართულებით წარმატებული საქმიანობის გვირგვინს კი 1934 წელს მისი ერთა ლიგაში გაერთიანება იყო. ქვეყანას უკვე გააჩნდა დიპლომატიური სამსახური, დაზვერვა და კონტრდაზვერვა. სწორედ აღნიშნული პერიოდიდან იწყება ურთიერთობების გააქტიურება მეზობლებთან, საუბარია ჩეხოსლოვაკიაზე და საფრნანგეთზე, კოლექტიური

უსაფრთხოების სიტემის შექმნაზე, ურთიერთდახმარების ხელშეკრულების გაფორმებაზე. შესაბამისად, ასეთი პოლიტიკური კურსის გატარება ნიშნავდა იმას, რომ სსრკ-ს უარი უნდა ეთქვა მსოფლიო რევოლუციის იდეაზე, რადგანაც ეს უკანასკნელი გამორიცხავდა არათუ მოკავშირეობას, არამედ თანაარსებობას კაპიტალისტური სახელმწიფოების გარემოცვაში. შედეგი კი იყო ის, რომ საბჭოთა საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიამ ძირეული ცვლილება განიცადა. 30-იანი წლებიდან მშვიდობიანი თანაარსებობის იდეაც ნელ-ნელა ქრება და თანდათანობით სოც. ქვეყანა დიდ სახელმწიფოდ ყალიბდება. აღნიშნულ პერიოდში თვალში საცემია ერთგვარი ზიგზაგები ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში, ხან გერმანიასთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა, ხან კიდევ საფრანგერთ-ჩეხოსლოვაკიასთან დაახლოება, ხან ინგლის-საფრანგეთთან ურთიერთობების გააქტიურება, ომის წინ კი ფაშისტურ გერმანიასთან შეთანხმებაზე წასვლა. ანუ სსრკ ლავირებას და არსებულ სისტემაში ცხოვრებას დიდი სახელმწიფოებისათვის მისაღები წესებით ახდენდა. რადგანაც გერმანულმა ფაშიზმმა თავი კომუნიზმის დაუძინებელ მტრად გამოაცხადა, ეს ნიშნავდა იმას, რომ ორ სახელმწიფოს შორის ნორმალური ურთიერთობები გამორიცხული უნდა ყოფილიყო. თუმცა, მიუნხენის შეთანხმება და 1939 წლის გაზაფხულ-ზაფხულში მიმდინარე მოლაპარაკება გახდა საბაბი შემობრუნებისა გერმანია-სსრკ-ს ურთიერთობებში, რაც 1939 წლის აგვისტოში ორი, სრულიად განსხვავებული იედოლოგიის მატარებელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთთავდაუსხმელობის ხელშეკრულების და საიდუმლო ოქმის ხელმოწერით დასრულდა. (შესაძლებელი იყო თუ არა იმის გათვლა რაც მოხდა და რა რეაცია ჰქონდა ყოველივე ამას ევროპაში).

მესამე რეიხის იდეოლოგია საგარეო პოლიტიკაში

როდესაც საუბარია კიდევ სხვა მასობრივი ხასიათის ოფიციალურ-სახელწმიფოებრივი ტიპის იდეოლოგიაზე, რომლებიც გავლენას ახდენდნენ საგარეო პოლიტიკაზე მე-20 საუკუნეში, ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს გერმანული ფაშიზმი წარმოადგენს.

ნაციზმმა (ნაციონალ-სოციალიზმმა), როგორც იდეოლოგიურმა კონცეფციამ განვითარების სხვადასხვა სტადია გაიარა. მე-19-20 სს მიჯნაზე ჩამოყალიბებული ავსტრიული და გერმანული „არიოსოფიის“ ფსევდოისტორიზმი ნაციზმისათვის გახდა

საფუძველი დაესაბუთებინა გერმანელთა განსაკუთრებული უფლება, როგორც არიელებისა ან არიო-გერმანელებისა ენერგიულ საგარეო პოლიტიკურ ექსპანსიაზე და ევროპაში ახალი წესრიგის დამყარებაზე. ჯერ კიდევ 1880 წელს არიოსოფები დიდ პროპაგანდას უწევდნენ ე. წ. პანგერმანიზმს, რაც გულისხმობდა გერმანელთა, როგორც ეთნოსის განსაკუთრებულობას და ექსპანსიის პროპაგანდას ეწეოდნენ. ავსტრიელი გვიდო ფონ ლისტის და მისი მიმდევრების (ფლიტჩი, გორსლებენი) მტკიცება იმაში მდგომარეობდა, რომ თანამედროვე გერმანელებს და ავსტრიელებს ისინი იმ ძველი რასის (არიელების) შთამომავლობად თვლიდნენ, რომლებიც ფლობდნენ მთელს ოიკუმენს და კაცობრიობას ბრჭყინვალე მაგალითი მისცეს „ძველი გერმანელების“ იდეალური წყობისა. თითქოსდა ეს წყობა ჩვენს წ. აღ. 10-12 ათასი წლის წინ არსებობდა , რომელიც იერარქიულ სტრუქტურას წარმოადგენდა და 10 საფეხუსრგან შედგებოდა. ბოლო ორი ეჭირა ადამიანს და მის ოჯახს, მომდევნო ღმერთს, მეფეს და მის გარემოცვას. აღნიშნული მითი საფუძვლად დაედო სს-ის (ნაცისტური პარტიის სამხედრო ორგანიზაციის) სტრუქტურას.

აღმოსავლური სიმბოლოებიდან ისინი დაესესხენ სვასტიკას (ბორჯღალო), რაც მუდმივი ცეცხლის განსახიერებას წარმოადგენს და რომელიც არიულ რასას უნდა ჰქონოდა შექმნილი. მას არწივიც დაემატა, რაც გერმანული იმპერიის სიმბოლოს წარმოადგენდა. შეიქმნა საზოგადოება ტულე, რომელშიც შედიოდნენ გ. ფედერი, არქიტეტორი ა. როზენბერგი, ლიტერატურული კრიტიკოსი და პოეტი დ. ეკკარტი, პროფესორი კ. ხაუსხოფერი და მისი ასისტენტი მიუნხენის უნივერსიტეტში რ.ჰესსი. ეს ხალხი ჰიტლერთან ერთად იყვენ წარმოამდგენლები ნაციზმის ადრეული იდეოლოგიისა. 1920 წელს ტულეს წარმოამდგენლებს (დ. ეკარტი, როზენბერგი) ეცნობა ჰიტლერი, რომელიც გერმანიის მუშათა პარტიაში იყო გაწევრიანებული.მაგრამ მკვლევარები თვლიან, რომ არიოსოფიული მისტიკის უფრო მნიშვნელოვანი მიმდევარი ჰ. ჰიმლერი იყო.

ჩვენთვის კი ფაშიტური ანუ ნაცისტური იდეოლოგია იმ თვალსაზრისით არის საინტერესო, რა გავლენაც ჰქონდა მას გერმანიის საგარეო პოლიტიკურ კურსზე და რამდენად ოსტატურად შეძლო ამ იარაღის გამოყენება ჰიტლერმა.

1933 წელს ფაშისტთა ხელისუფლებაში მოსვლაც შემთხვევითი მოვლენა არ იყო (ვინ და რატომ მოიყვანა ჰიტლერი ხელისუფლებაში?). ვერსალ-ვაშინგტონის სისტემა და გერმანია, რევანშიზმი და მისი შედეგები., გერმანელი ხალხის კავშირის შექმნის და ექსპანსიის განხორციელების აუცილებლობა. ფაშისტები გერმანულ რასასთან ყველაზე უფრო ახლოს მდგომად მიიჩნევდნენ უნგრელებს, შვეიცარელებს, დანიელებს და ჰოლანდიელებს და მათთან ერთად საბაჟო კავშირის შექმნას გეგმავდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ფაშისტები 20-იანი წლების ბოლოს დიდად მანიპულირებდნენ პანევროპეიზმის იდეით, საბოლოო ჯამში მათ მთავარ მიზანს გერმანიის იმპერიის შექმნა წარმოადგენდა. 1934 წლიდან აშკაარ შეიქმნა გერმანიის მისწრაფება ვერსალის სისტემის განადგურებისაკენ (რა გააკეთეს?). მტრობის მიუხედავად ჰიტლერი ინგლისშიც კი შორეულ რასობროვ ნათესავს ხედავდა. პოპულარული იყო თეზა იმის შესახებ, რომ ინგლისი უნდა ყოფილიყო განმკარგულებელი ზღვებისა, გერმანია კი ევროპის კონტინენტისა. სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში გერმანიას სხვა გეგმები გააჩნდა (როგორ ახალისებდა პატარა სახელმწიფოებს: რუმინეთს - სსრკ-ს ხარჯზე). დანარჩენი ხალხი კი ან მონებად უნდა გადაქცეულიყვენ, ან მათი სრული განადგურება უნდა მომხდარიყო. ამრიგად ნაცისტური რასობრივი თეორიის განვიტარება გახდა იდეოლოგიური საფუძველი გერმანიის საგარეო პოლიტიკური კურსის დასაბუთებისა. (რა მოუვიდა სსრკ-ში მცხოვრებ გერმანელებს, მას შემდეგ რაც პაქტი გაფორმდა; დიდი სახელმწიფოები სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ყოველთვის უკეთებენ კორექტირებას თავიანთ იდეოლოგიურ პოსტულატებს). 1939 წლის პირველ სექტემბერს კი, როდესაც ომი დაიწყო, ამერიკის მხრიდან დაფიქსირებული რეაცია იყო საინტერესო. ისევე როგორც დანარჩენი სახელმწიფოების მხრიდან.

იაპონური მოდელი: 1867-1868 წლების მედიზის რევოლუცია, სინტოიზმი და მისი მნიშვნელობა იდეოლოგიის თვალსაზრისით და იაპონია, როგორც წმინდა მიწა (რას გულისხმობდა). მესიანისტური კომპონენტის გაჩენა სინტოიზმში და იაპონია, როგორც აზიის ლიდერი. ვერსალის კონფერენცია და იაპონიის პოზიცია (პრინც კონოე ფუმიმაროს განცხადება). 20-იანი წლებიდან აგრესიული იდეების განვიტარება იწყება სამხედროებში, ჩინოვნიკებში სინტოიზმის იდეების პარალელურად. მთავარ მტდა რუსეთი და დიდი ბრიტანეთის გამოცხადდა (გენერალ ტანაკას მემორანდუმი და სტალინი). დიდი

ბრიტანეთი მისთვის მსოფლიო მილიონერი იყო, რუსეთი ყველაზე დიდი მიწათმფლოებელი და თითონ პროლეტარი (ანუ სახელწმიფო რესურსების გარეშე).

ლექცია 8. სამხედრო ძალის ფაქტორი საგარეო პოლიტიკაში

სამხედრო ძალის გამოყენების პრობლემა საერთაშორისო ურთიერთობებში ერთ–ერთი ყველაზე რთული პრობლემაა.პოლიტიკურ პროცესში კომპრომისის ძიება და ურთიერთდათმობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ძალისმიერი მეთოდების გამოყენებასთან, ისევე როგორც ორთავე მათგანი იმავდროულად ავსებს კიდეც ერთმანეთს. შესაბამისად, მსჯელობა ძალისა და საფრთხის გამოყენებაზე, ისევე როგორც მათ არ გამოყენებაზე, შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ტაქტიკურ მიდგომად, ისე იმ უტოპიურ შეგნების ფორმის ჩამოყალიბებად, რომ ამ მოვლენათა გაგება არასწორად ხდება. უეჭველია, რომ ძალის გამოყენების ყველაზე სუფთა სახედ სახელმწიფო ინსტიტუტების, დაწესებულებების ფარგლებში მიჩნეულია ომი. ომი, როგორც სპეციფიკური საზოგადოებრივ–პოლიტიკური მოვლენა მოითხოვს, რომ სამხედრო ძლიერების ფაქტორს განსაკუთრებული ადგილი მიენიჭოს საერთაშორისო ურთიერთობებბში.

საერთაშორისო ურთიერთობებში სამხედრო ფატქორის განხილვისას აღნიშნული საკითხის მინიმუმ ორი მხარე უნდა გამოიკვეთოს. პირველი, ეს არის ომისა და პოლიტიკის თანაფარდობის პრობლემა, რისი ანალიზიც ავლენს არა მხოლოდ მათ ურთიერთქმედებას, არამედ ადგენს ადგილს, რომელიც ძალის აშკარა გამოყენებას უჭირავს საერთაშორისო ურთიერთობებში. მეორედ, ფაქტორთა აღნიშნული პრობლემა გავლენას ახდენს რა სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებაზე, იმავდროულად ამ ძლიერების შემდაგენელი ნაწილია. პირველი მხარე უფრო სტაბილურია და ის დაკავშირებულია ისეთ ზოგად მცნებებთან, როგორიცაა სახელმწიფო, სახელმწიფოთშორისი ურთიერთობები, საგარეო პოლიტიკა. მეორე უფრო დინამიურია, რადგანაც აქ მოქმედებაში ჩართულია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა საზოგადოების საზოგადოებრივ–პოლიტიკური ორგანიზაციის დონე, საწარმოო ძალების განვითარება.

ომი და პოლიტიკა

საერთაშორისო ურთიერთობებში სამხედრო ძალის როლზე მსჯელობისას აუცილებელია ზოგიერთი იმ დებულების გახსნებეა, რომელიც ასე დამახასიათებელია ომისა და პოლიტიკის თანაფარდობისათვის და დიდიხანია უკვე კლასიკურს წარმოადგენს.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს, რასაც არ დაუკარგავს თავისი აზრი ყველაფრის მიუხედავად, წარმოადგენს კ. კლაუზევიცის მოსაზრება ომის შესახებ: „ომი წარმოადგენს პოლიტიკურ აქტს. ომი არის არა მხოლოდ პოლიტიკური აქტი, არამედ პოლიტიკის ჭეშმარიტი იარაღი, პოლიტიკურ ურთიერთობათა გაგრძელება, მისი გატარება სხვა საშუალებებით. რაც მასში თავისებურად რჩება, დაკავშირებული ა საშუალებათა თავისებურებასთან. პოლიტიკური განზრახვა ეს არის მხოლოდ მიზანი, ომი კი მხოლოდ საშუალება და არასოდეს არ შეიძლება გააზრება საშუალებისა მიზნის გარეშე“. მართალია ისევე როგორც დაუშვებელია ომისა და პოლიტიკის გახლეჩა, დაუშვებელია მათი დაპირისპირება. მაგრამ რადგანაც ომი პოლიტიკის სპეციფიკურ სახეს წარმოადგენს, მას შესწევს უნარი განვითარდეს მისი კანონების შესაბამისად.

სახელმწიფოებს და სახელმწიფოთა ჯგუფებს შორის ურთიერთობები რთულ სისტემას შეადგენს და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი დაყვანა ძალისმიერ მეთოდებზე. თუმცა, ასევე შეუძლებელია მისი წარმოადგენა ძალის გამოეყენების გარეშე ან რაც უფრო ხშირად ხდება ძალის გამოყენების საფრთხის გარეშე. ომი არის შედეგეი იმიას, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოქნილი პრობლემის გადაჭრა არ ხერხდება სხვა გზით, ისევე როგორც სიტუაციის გამწვავება აუცილებლად არ შეიძლება იწვევდეს ომის გაჩაღებას. როდესაც დაძაბული ურთიერთობების გადაზრდა არ ხდება ომში, ეს თავის მხრივ ხდება შედეგი ან არსებული საერთაშორისო ურთიერთობების მოდელის განმტკიცებისა, ან კიდევ ახალი მოდელის წარმოქმნისა, რაც დაფუძნებულია ძალათა ბალანსის სრულიად ახალ პრინციპზე. სამხედრო ძალის გამოყენება, რაც გულისხმობს პრობლემის გადაჭრის უკიდურესს ფორმას და დანაკარგებით და სერიოზული ძვრებით, შეუძლებელია იყოს ნაწინასწარმეტყველები, ანუ წინასწარ გათვლილი კონფლიქტის ყველა მონაწილე მხარისათვის.

პოლიტიკურ და სამხედრო მეთოდთა თანაფარდობის პრობლემა

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას პირველ რიგში უნდა გამოიკვეთოს პოლიტიკის, სახელმწიფოს ხემძღვანელობის და სტრატეგიის, როგორც სამხედრო ხელოვნების სფეროს მიმართულებები, რაც შეიძლება იყოს უშუალო დამოკიდებულებაში მოსალოდნელ ომთან.

პრობლემის სირთულიდან გამომდინარე მართალია რთულია ცალკეული ასპექტების გამოყოფა, მაგრამ ამ მიმართულებათა მოკლე ფორმულირება მაინც შესაძლებელია.

პირველი. პოლიტიკის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს რაციონალური იდეა, რაც შესაბამისობაში იქნება სახელმწიფოს ძირეულ ინტერესებთან და ამ იდეიდან გამომდინარე უნდა მოხდეს მომავალი მოკავშირეების და პოტენციური მტრების გამოკვეთა.

მეორე. ომის საფრთხის წარმოქნის შემთხვევაში პოლიტიკამ უნდა მოახდინოს ომის მიზნის განსაზღვრა, სტრატეგიისათვის მოქმედების სრული თავისუფლების მინიჭება და აუცილებლობის არ არსებობის შემთხვევაში მისი დამაბრკოლებელი ფაქტორების ლიკვიდაცია.

მესამე. პოლიტიკამ თავიდანვე უნდა მოამზადოს საფუძველი სტრატეგიის რეალიზაციისათვის.

მეოთხე. პოლიტიკამ უნდა შეარჩიოს განსაკუთრებით ხელსაყრელი ვიტარება ძალისმიერი მეთოდების განხორციელებისათვის.

მეხუთე. პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს სტრატეგიის განხორციელებისათვის საკმარისი მატერიალური რესურსები.

მეექვსე. პოლიტიკამ მოხერხებულად უნდა მაოიყენოს ძალისმიერი მეთოდებით მიღწეული შედეგებისა.

პოლიტიკისა და სტრატეგიის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტი, არის ურთიერთდაკავშირებული რგოლი სისტემისა, რაც ახასიათბე სომისათვის ქვეყნის მზადების ცალკეულ ფაზებს, ამ ომის წარმოებას და დასრულებას.

საჭიროა ყურადღება გამახვილდეს თითოეულ მათგანზე.

პირველი გულისხმობს სახელმწიფო ხელმძღვანელობის მიერ სახელმწიფოს წინაშე არსებული ყველა ამოცანის გააზრებას. ქვეყნის განვითარებასთან ერთად ბუნებრივია ამოცანებიც იცვლება და ხშირად მათი რეალიზაცია საუკუნეების განმავლობაში შეიძლება გაგრძელდეს, რაც რამოდენიმე თაობის მონაწილეობას ნიშნავს.

ახალი და უახლესი პერიოდის ამ ტიპის ამოცანათა შორის შეიძლება გამოიკვეთოს დამოკიდებულების ამათუიმ ფორმიდან განთავისუფლების, დაკარგული მიწების დაბრუნების, მსოფლიო სავაჭრო გზებზე გასვლის, ეკონომიკის განვიტარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის რესურსების ხელში ჩაგდების, უსაფრთხო განვითარებისათვის საზღრების დადგენის პრობლემა.

ბუნებრივია, სახელმწიფოს წინაშე არსებული ამოცანების ხასიათს ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს ის, თუ ამ ამოცანათა რეალიზაციის პროცეში როგორი სახელმწიფო შეიძლება იყოს მისი პარტნიორი, ან პირიქით მოწინააღმდეგე. ამოცანის აქტუალობიდან გამომდინარე უნდა მოხდეს ძალის აუცილებლად გამოყენების დასაბუთება. საკითხის სწორად დასმა და სწორი პასუხის მოძიება ფაქტიურად განსაზღვრავს მოვლენათა შემდგომ განვითარებას. ინტერესები, რომელთა რეალიზაცია შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში განხორციელებას გულისხმობდეს, არ არის გამორიცხული ომების რამოდენიმე ციკლს მოიცავდეს. ამ ციკლის არსებობის მთელ მანძილზე მოწინააღმდეგებისა და მოკავშირეთა არჩევის შეიძლება ერთიდაიგივე კრიტერიუმები არსებობდეს. ციკლის დასრულებასთან ერთად საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები გადასინჯვა იწყება. ბუნებრივია, ყოველივე ამაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალ–ეკონომიკური განვითარება, დემოგრაფიული პროცესები, გეოპოლიტიკური და პოლიტიკური ფაქტორები. აქედან გამომდინარე კი შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს გააჩნია არა მუდმივი მოკავშირეები ან მტრები, არამედ მუდმივი სახელმწიფო ინტერსები (ინგლისი–ლორდი პალმერსტონი).

ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს რუსეთი, რომელმაც მე–17 საუკუნის დასაწისში დაკარგა დასავლეთით მდებარე მნიშვნელოვანი მიწები. მაგ: სმოლენსკი აკონტროლებდა მოსკოვისაკენ მიმავალ გზას, რაც ნიშნავდა იმას, რომ რუსეთს მთელი ყურადღების გადატანა მის დაბრუნებაზე უნდა მოეხდინა, მაშინ როდესაც ყველას სხვა მოსაზრება უკანა პლანზე გადაიწია შავ და ბალტიის ზღვაზე გასასვლელების მოპოვების ჩათვლით. ამ მიწების დაბრუნებისათვის ბრძოლა დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა. გამოიკვეთა სერიოზული მოწინააღმდეგები შვედეთისა და რეჩ

პოსპოლიტას სახით. მე–17 საუკუნის ბოლოს მიწები მიუერთდა რუსეთს და რეჩ პოსპოლიტაც უკვე აღარ წარმოადგენდა მისთვის სერიოზულ საფრთხეს. სწორედ აღნიშნული პერიოდიდან რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო ფიქრი საგარეო პოლიტიკური კურსის პრიორიტეტების შეცვლაზე და პოლონეთი ამ კურსის სამიზნედ გადაიქცა. შვეცია კი ყველაზე დიდ მტრად გადაიქცა, რომელთან წარმოებულმა ომმა გაჭიანურებული ხასიათი მიიღო. საინტერესოა, რომ ამ ომში პოლონეთი რუსეთის პარტნიორს წარმოადგენდა. კონფლიქტის შემდგომ ციკლს რუსეთ–თურქეთის ომების სერია წარმოადგენს. ევროპაში გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებული ომების ციკლის შემადგენელი ნაწილი იყო 1864, 1866 და 1870-1871 წლების ომები. პრუსია ეტაპობრივად ახდენდა მის წინაშე დასახული მიზნის განხორციელბას, ერთ ერთ ომში ავსტრია მისი მოკავშირე იყო, მეორე ომში მისი მოწინააღნდეგე და მესამე ომში ამ უკანასკნელმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავა.

რიგ შემთხვევებში ომების ციკლში ამათუიმ სახელმწიფოს ჩართვა, ამ სახელმწიფოს ხანგრძლივ დროზე გათვლილი ინტერესების გაუთვალსიწინებლად ხდებოდა. მაგალითად (1733-1735) პოლონეთის მემკვიდრეობისათვის წარმოებული ომი, (1740-1748) ავსტრიის მემკვიდრეობისათვის წარმოებული ომი, (1778-1779) ბავარიის მემკვიდრეობისათვის წარმოებული ომი. იდეოლოგიზირებული მონარქიის ლოგიკამ აიძულა მეფის რუსეთი 1849 წელს უნგრეთის რევოლუციის წინააღმდეგ გამოსულიყო. საინტერესოა, რომ კონფლიქტში სუსტი სახელმწიფოების ჩართვა ხშირ შემთხვევაში ძლიერი სახელწმიფოების ინტერსებიდან გამომდინარე ხდება, რაც დღეს განსაკუთრებით თვალში საცემია.

მეორე მიმართულება გულისხმობს ომის პოლიტიკური მიზნის დადგენას. საუბარია მოწინააღმდეგის და მოკავშირის შერჩევაზე, დაძაბულობის ხარისხზე, ომის წარმოებისათვის გამოყოფილ რესურსებზე, მსხვერპლზე წასვლის მზადყოფნაზე.

ომის მიზნის არ არსებობის თავლსაჩინო მაგალითს წარმოადგენს 1914 წლის ზაფხულში ავსტრია–უნგრეთის მოქმედება. ერთი მხრივ განადგურების სურვილი სერბიისა, რომელიც იყო ეროვნულ–გამათავისუფლებელი მოძრაობის წამქეზებელი ავსტრიაში, მისი დაქვემდებარების შემთხვევაში ნიშნავდა ავსტრიის სლავური

მოსახლეობის მკვეთრ ზრდას, რისი უშუალო შედეგიც იქნებოდა სლავების უმრავლესობად გადაქცევა. ეს კი სხვა უფრო დიდ პრობლემას შეუქმნიდა მას. ყოველივე ამის გააზრება კი ავსტრია–უნგრეთის პოლიტიკურ მოღვაწეთა მხრიდან ამ ეტაპზე არ მომხდარა, რაც იქცა კატასტროფად იმპერიისათვის. ომის მიზნის არასწორად განსაზღვრა იწვევს ძალების დაქსასვას და რესურსების ამაოდ ფლანგვას, რის ლოგიკური დასარულიც სახელწმიფოს მარცხია. კოალიციური ომის წარმოების დროს აუცილებლად უნდა განისაზღვროს სახელწმიფოთაგან რომელია მთავარი, ვის წინააღმდეგაც უნდა მოხდეს საომარი მოქმედებების წარმოება. კოალიციური ომების ხშირ შემთხვევაში ერთი სახელმწიფო იძულებულია სხვა მოკავშირეთა ინტერესების შესაბამისად იმოქმედოს, რაც მისი მარცხის საფუძველი ხდება, რადაგანაც ასეთ შემთხვევაში ამ სახელმწიფოს რესურსები არ არის საკმარისი ამ მასშტაბის ომის წარმოებისათვის. ყოველივე ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს რუსეთის მოქმედება პირველი მსოფლიო ომის დროს. რუსეთს გააჩნდა საკმარისი რესურსები ადამიანური თუ მატერიალური თვალსაზრისით, რომ წარმატებული ომი ეწარმოებინა ავსტრია–უნგრეთის წინააღმდეგ, მაგრამ ინგლის–საფრანგეთის ინტერესებში შედიოდა ისიც, რომ რუსეთს სამხედრო ოპერაცია დაეწყო გაერთიანებული გერმანიის წინააღმდეგ. საუბარია რუსეთ–პრუსიის ფრონტზე (რა გამოიწვია ამან?). თანამედროვეობის თვალსაცნო მაგალითს წარმოადგენს სსრკ მონაწილეობა ავღანეთის ომში. არც ამ შემთხვევაში იყო განსაზღვრული ომის მიზნები რუსეთის მხრიდან, რამაც მისი მარცხი გამოიწვია.

მესამე მიმართულება გულისხმობს პოლიტიკის მიერ სტრატეგიის განვითარებისათვის (მოღვაწეობისათვის) ხელსაყრელი პირობების შექმნას. კერძოდ, საუბარია მოკავშირეთა შერჩევაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში პირველ რიგში გასათვალისწინებელია არა ის, პოტენციური მოკავშირე რა ძალის მატარებელია, არამედ ის რამდენად სეიოზულია ამ უკანსკნელი მხრიდან დაინტერსება ომში მიიღოს მონაწილეობა. ანუ საუბარია საერთო ინტერესთა მოძიებაზე ან ომში მონაწილოების მიღების შემთხვევაში რეალური სარგებლის მიღების დასაბუთებაზე. სწორედ ამ შემთხვევაში მოქმედებს თეზისი: „ვის წინააღმდეგ ვმეგობრობთ“. მოკავშირის არჩევის დროს გასათვალისწინებელია გეოგრაფიული ფაქტორი. ის შეიძლება აღმოჩნდეს განმსაზღვრელი მოკავშირეთა ურთიერთმოქმედებისა და ძალათა

დაჯგუფებისა საწყისს ეტაპზევე. მაგ: 1866 წლის იტალია–პრუსიის ომი ავსტრიის წინააღმდეგ. მეორე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს გერმანიის მიერ ომის სტრატეგიული დაგეგმარება ორ ფრონტზე (ძლიერი და სუსტი მხარე) ორთავე მსოფლიო ომის დროს.

ასე დიდი მნიშვნელობა აქვს ამათუიმ ქვეყნის მხრიდან ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფას მომავალ ომთან მიმართებაში (რუსეთ–თურქეთის 1877-1878 წლების ომი და ევროპული სახელმწიფოები. პარალელი ყირიმის ომთან).

ლექცია 9. კონფლიქტი: კატეგორიალური კომპლექსი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში

კონფლიქტის თემა - ერთ-ერთი აქტუალურია საერთაშორისო ურთიერთობების ტეორიაში. აქ განიხილავენ კონფლიქტის რაობის, მისი ხასიათის, აღმოცენების, გადაჭრის შესაძლებლობების, მისი ტიპოლოგიის, საზოგადოებაში მათი როლისა და მათი თეორიული მნიშვნელობის და ა.შ. საკითხებს. არ არსებობს კონფლიქტისადმი გულგრილი სოციალური მეცნიერება.

კონფლიქტის შესწავლისადმი განსხვავებული მიდგომები. თავიდან მივიღოთ „კონფლიქტის“ ცნების ასეთი განსაზღვრება. კონფლიქტი - ეს არის ოპონენტების, როგორც ურთიერთქმედების სუბიექტების საპირისპირო მიზნების, პოზიციების, შეხედულებების შეჯახება. კონფლიქტი ყოველთვის დაკავშირებულია ადამიანების, როგორც ამა თუ იმ სოციალური ჯგუფების წარმომადგენლების მიერ საკუთარი ინტერესების სხვათა ინტერესებთან დაპირისპირების სუბიექტურ გაცნობიერებასთან. თუ ადამიანები დაპირისპირებას ღრმად განიცდიან ეს ბადებს ღია თუ ფარულ კონფლიქტებს. დაპირისპირება და წინააღმდეგობა თავს იჩენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში: ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური, სულიერი. აღნიშნულ სფეროებში წინააღმდეგობების ერთდროულად გამწვავება ქმნის კრიზისის ზონებს, ანუ ეს არის კრიზისი. საზოგადოებაში კრიზისის გამოვლენა განაპირობებს სოციალურ დაძაბულობას, რაც არცთუ იშვიათად გადაიზრდება კონფლიქტში.

ნებისმიერი მიმართულების მკვლევარები ეთანხმებიან ერთმანეთს იმაში, რომ საზოგადოებისათვის კონფლიქტი არის დროებითი მოვლენა და რომლის გადაჭრა შესაძლებელია რაციონალური საშუალებებითაც. სოციოლოგთა უმრავლესობა თითქმის თანხმდება, რომ არ არსებობს საზოგადოება კონფლიქტის გარეშე. რადგან კონფლიქტი ყოფის განუყოფელი ნაწილია, საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების წყაროა, კონფლიქტი მობილურობას ანიჭებს სოციალურ ურთიერთობებს, აქ ინდივიდთა ქცევისა და მოღვაწეობის ადრე მისაღები ნორმები საოცარი სისწრაფით უარიყოფა თან ყოველგვარი სინანულის გარეშე. კონფლიქტი სახეს უცვლის საზოგადოებას. რაც უფრო ძლიერია

კონფლიქტი, მით უფრო ძლიერ ზემოქმედებს ის სოციალურ პროცესთა მიმდინარეობაზე და მათი განხორციელების ტემპებზე.

კონფლიქტები მოაზროვნეთა ყურადღებას იპყრობს უხსოვარი დროიდან. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII-VI სს. ჩინელმა ფილოსოფოსებმა აღნიშნეს, რომ დაპირისპირებულთა წინააღმდეგობა და ბრძოლა ბუნებისა და საზოგადოების განვითარების წყაროა. ძველმა ბერძნებმა მთელი რიგი მოძღვრებები შექმნეს დაპირისპირებულთა როლის შესახებ საგნების წარმოშობაში. დიდ ყურადღებას უთმობდა კონფლიქტებს იტალიელი მოაზროვნე და სახელმწიფო მოღვაწე ნ.მაკიაველი. რომის ისტორიისადმი მიძღვნილ შრომებში ის განიხილავს სხვადასხვა ხასიათის კონფლიქტებს და ხაზს უსვამს მათ დადებით როლს საზოგადოების განვითარებაში.

კონფლიქტი, როგორც სოციალური მოვლენა, პირველად ცალკე გამოყო და განიხილა ა.სმიტმა ნაშრომში: „გამოკვლევები ბუნებისა და ხალხების სიმდიდრის მიზეზების შესახებ“, სადაც აღნიშნა, რომ კონფლიქტის საფუძველია საზოგადოების დაყოფა კლასებად და მათ შორის ქიშპობა. წინააღმდეგობას სმიტი განიხილავს, როგორც საზოგადოების განვითარების მამოძრავებელ ძალას. სოციალური კონფლიქტების გააზრებაში დიდი წვლილი შეიტანა გ.ჰეგელმა. მან „სამართლის ფილოსოფიაში“ აღნიშნა, რომ კონფლიქტების წყაროა არსებული სოციალური პოლარიზაცია - უზარმაზარი სიმდიდრე „უმცირესობის“ ხელში და გამაოგნებელი სიღარიბე.

XXს. მოაზროვნეებისათვის ცხადი იყო, რომ კონფლიქტი რეალობაა, აუცილებელი მოვლენაა საზოგადოების ისტორიაში, რომ ის სტიმულია მისი განვითარებისათვის. ამ აზრს იზიარებს XIX ს. ყველა დიდი სოციოლოგი და ფილოსოფოსი. მათი აზრით, კონფლიქტს ბადებს სოციალური უთანასწორობა და ის ვლინდება კლასობრივი ბრძოლის სახით, ამიტომ კლასობრივი ბრძოლა არათუ გარდუვალია, არამედ აუცილებელია საზოგადოებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობების გაშიშვლებისა და მათი გადაჭრისათვის. XIX ს. ამ თვალსაზრისის დამკვიდრებასა და გავრცელებაში დიდი წვლილი მიუძღვით კ.მარქსსა და მის მიმდევრებს, თუმცა მათ სამართლიანად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ კონფლიქტის პრობლემა მარქსიზმში არ იყო ყოველმხრივ დასაბუთებული, რადგან აქ ის განიხილებოდა, როგორც წინააღმდეგობა მხოლოდ

ანტაგონისტურ კლასებს შორის. ამავე დროს მარქსისტულ კონცეფციაში აბსოლუტიზირებულია ეკონომიკური ურთიერთობები - მხოლოდ ეს ითვლებოდა კლასებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის არსებული კონფლიქტის ძირითად მიზეზად.

იყო განსხვავებული შეხედულებებიც. გერმანელი სოციოლოგი გ.ზიმელი განსაზღვრავს კონფლიქტს არა მხოლოდ როგორც უთანხმოების ერთ-ერთ ფორმას, არამედ როგორც სოციალიზაციის ხელშემწყობ ძლიერ მოვლენას, რომელსაც შეუძლია დაპირისპირებული ძალების გაერთიანება. მას მიაჩნდა, რომ „კონფლიქტი ჰაერს ასუფთავებს“.

კონფლიქტებისაგან თავისუფალი (უკონფლიქტო) საზოგადოების მოდელი. კონფლიქტის თეორიამ შემდგომი განვითარება ჰპოვა XXს-ში. აქ ის დაუპირისპირდა უკვე საკმაოდ პოპულარულ „საზოგადოების სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზის თეორიას“. ეს თეორია კონფლიქტებს მხოლოდ ნეგატიურ როლს ანიჭებდა, მხარს უჭერდა საზოგადოების უკონფლიქტო მოდელს. ამ თეორიის მიმდევრებს საზოგადოება წარმოუდგენიათ როგორც სისტემა, რომლის ერთიანობა და ცხოველმყოფელობა უზრუნველყოფილია მისი შემადგენელი ელემენტების (როგორებიცაა: სახელმწიფო, პოლიცია, პარტიები, პროფკავშირები, სამრეწველო გაერთიანებები, ეკლესია, ოჯახი და ა.შ.) ფუნქციონალური ურთიერთქმედებებით.

ფუნქციონალისტები სოციალური ერთობის, მისი წევრებისათვის ერთიანი ღირებულებების არსებობას მიიჩნევენ წონასწორობისა და სტაბილურობის გარანტიად. ეს შეიძლება იყოს სამართლებრივი მოთხოვნები, ზნეობრივი ნორმები, რელიგიური შეგონებები. ეს ღირებულებები საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველია და განაპირობებს მისი წევრების, ჯგუფების, ორგანიზაციების პრაქტიკულ საქმიანობას. ეს ალბათ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებისადმი ცალმხრივი მიდგომაა.

სოციალურ კონფლიქტებთან დაკავშირებით XX ს. დასაწყისში თავი იჩინა ახალმა მიმართულებებმა. გაჩნდნენ ახალი შრომები, სადაც კონფლიქტი გაგებულია, როგორც სოციალური ცხოვრებისათვის ორგანულად აუცილებელი მოვლენა.ამ თემას ეხება რ.დარენდორფის, ლ.კოზერის, კ.ე.ბოულდინგის და სხვათა შრომები.

საზოგადოების კონფლიქტური მოდელის თეორია. გერმანელი სოციოლოგი რალფ დარენდორფი ლიბერალური მოაზროვნეა. მან შექმნა „კონფლიქტური საზოგადოების მოდელის“ თეორია, რომლის თანახმად ნებისმიერი საზოგადოება მუდმივ სოციალურ ცვალებადობაშია და ეს ცვალებადობა მისთვის მუდმივი სოციალური კონფლიქტებია. მან განიხილა სოციალური კონფლიქტების ჩასახვისა და განვითარების ეტაპები და ამის მიზეზებად მას მიაჩნდა ინტერესების კონფლიქტი.

მისი აზრით, ნებისმიერი საზოგადოება ეფუძნება ნაწილის იძულებას მეორე ნაწილის მიერ. საზოგადოების წევრებს თავიდანვე ახასიათებს და აწუხებს სოციალური პოზიციები (მაგალითად, საკუთრებისა და ძალაუფლების განაწილება), აქედან გამომდინარე ჩვეულებრივ ადგილი აქვს ინტერესებისა და მისწრაფებების განსხვავებას, შედეგად სახეზეა ურთიერთანტიპათიები და ანტაგონიზმი. დარენდორფი აკეთებს დასკვნას, რომ სოციალური უთანასწორობა და მის მიერ გამოწვეული წინააღმდეგობები ქმნიან სოციალურ დაძაბულობასა და კონფლიქტურ სიტუაციას. სწორედ რომ სუბიექტური ინტერესები ზემოქმედებენ უშუალოდ კონფლიქტების გაჩენა-ჩამოყალიბებაზე. ამიტომ კონფლიქტის ბუნების გასაგებად, პირველ რიგში, აუცილებელია ინტერესების არსისა და სუბიექტების მიერ კონფლიქტის გაცნობიერების საშუალებების წვდომა. დარენდორფი გამოყოფს ობიექტურ (ლატენტურ) და სუბიექტურ (ცხად) ინტერესებს. მისი აზრით, ეს ინტერესები თავს იჩენს კონფლიქტის გამოვლენის პირველ ეტაპზე, როდესაც ნათლად გამოიკვეთება კონფლიქტის „ორივე მხარე“. მაგრამ ეს მხარეები ჯერ არ გვევლინებიან, პირდაპირი გაგებით, სოციალურ ჯგუფებად, ჯერ ვერ მოახერხეს სოციალურ ჯგუფებად კონსოლიდირება. ამიტომ დარენდორფი მათ კვაზიჯგუფებს უწოდებს. ამავე დროს ყოველ ამ ჯგუფში მიმდინარეობს რაღაც საერთო ინტერესებისა და მათი დაცვის ფსიქოლოგიური მზადყოფნის ფორმირება. ყოველივე ეს ახასიათებს კონფლიქტის განვითრების პირველ ეტაპს.

კონფლიქტის განვითარების მეორე ეტაპი მდგომარეობს სუბიექტების ლატენტური ანუ ფარული, სიღრმისეული ინტერესების უშუალო გაცნობიერებაში და ამით კვაზიჯგუფების ფაქტობრივ დაჯგუფებებად ფორმირებაში, ჯგუფების ჩამოყალიბებაში ინტერესების მიხედვით. ასე თვლის დარენდორფი.

მესამე ეტაპი - ეს არის „იდენტური“ ჯგუფების (მცირე ჯგუფების, კლასების, ერების, პოლიტიკური ორგანიზაციების და ა.შ.) უშუალო შეჯახება. თუ იდენტური ჯგუფები არ არსებობს, ეს ნიშნავს, რომ კონფლიქტი არაა სრული ე.ი. დაპირისპირებულები ბოლომდე ჯერ ვერ ჩამოყალიბდნენ. დარენდორფი პირდაპირ აღნიშნავს, რომ „ყოველი კონფლიქტი აღწევს თავის საბოლოო ფორმას მხოლოდ მაშინ, როდესაც მონაწილე ელემენტები .... იდენტურია“. დარენდორფის თვალსაზრისით სოციალური კონფლიქტების საფუძვლად ასევე დევს პოლიტიკური ფაქტორები: ბრძოლა ძალაუფლებისათვის, პრესტიჟი, ავტორიტეტი.

დარენდორფი კონფლიქტებს მიიჩნევს საზოგადობრივი ცხოვრების ყველა მხარის გამჭოლ კომპონენტად. შეუძლებელია მათი თავიდან აცილება მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ ასე გვსურს. მათ უნდა შევხედოთ როგორც რეალობას. კონფლიქტები ინოვაციისა და სოციალური ცვლილებების წყაროა. ისინი არ აძლევენ საზოგადოებას უძრაობის ეტაპით ხანგრძლივი ნებივრობის უფლებას, რადგან მუდმივად ქმნიან სოციალურ და ფსიქოლოგიურ დაძაბულობას. რაც უფრო ხანგრძლივია უკონფლიქტო პერიოდი, მით უფრო მწვავედ იღვიძებს კონფლიქტი. კონფლიქტის გარკვეულ, სამართავად ხელსაყრელ დონეზე შენარჩუნება მმართველი ელიტის მიზანი უნდა იყოს და მიღწევის შემთხვევაში დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს. (ამიტომ აფხაზეთის კონფლიქტი მთელი თავისი სიმძიმით იმ პერიოდის მმართველი ელიტის ორივე მხარის „დიდი დამსახურებაა“). კონფლიქტის ჩახშობა მის გამწვავებას გამოიწვევს, ამიტომ ამოცანაა კონფლიქტის კონტროლირება: ის უნდა იყოს ლეგალიზებული (არ არის საჭირო რეალობის ზედმეტი შელამაზება, ამას საპირისპირო შედეგი მოაქვს), ის უნდა იყოს ინსტიტუციონალიზირებული (აღიარებული და ოფიციალურად აღებული სამართავად), ის უნდა ვითარდებოდეს, იცვლიდეს ხასიათს, გზადაგზა უნდა მოწესრიგდეს მისი ცალკეული გამოვლენები და ეს უნდა ხორციელდებოდეს ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი, როგორც ზოგად და საერთო, ასევე სპეციფიკურ კანონებზე დაყრდნობით.

ლ. კოზერი ხაზს უსვამს, რომ ნებისმიერ საზოგადოებას ახასიათებს აუცილებელი სოციალური უთანასწორობა და საზოგადოების წევრების მუდმივი ფსიქოლოგიური დაუკმაყოფილებლობა, რაც ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის ქმნის

დაძაბულობას. ეს დაძაბულობები ხშირად შეიძლება მოიხსნას სხვადასხვა სახის კონფლიქტებით. საზოგადოების ხასიათზე დაყრდნობით კოზერი იძლევა სოციალური კონფლიქტების კლასიფიცირებას. ის აღნიშნავს, რომ დახურულ საზოგადოებაში სოციალურ კონფლიქტებს შეუძლიათ დაანგრიონ სოციალური კავშირები, დაყონ საზოგადოება მტრულ ჯგუფებად, მიიყვანონ საზოგადოება რევოლუციამდე. რაც შეეხება ღია საზოგადოებას, აქ კონფლიქტებს აქვს გამოსავალი, რაც ამცირებს დაძაბულობას. აქ მათ შეიძლება ჰქონდეს პოზიტიური პოტენციალი, რაც შეიძლება წაადგეს კიდეც საზოგადოების განვითარებას.

კონფლიქტის ზოგადი თეორია. „კონფლიქტი და მისგან თავის არიდების ზოგადი თეორია“ - დაახლოებით ასე ეწოდება ნაშრომს, სადაც ამერიკელი სოციოლოგი ედვარდ ბოულდინგი აღნიშნავს, რომ თანამედროვე საზოგადოებაში შესაძლებელია და აუცილებელია სოციალური კონფლიქტების რეგულირება. მისი აზრით, კონფლიქტების სოციალური ცხოვრების ატრიბუტებია. სოციალური კონფლიქტების არსის ცოდნა ის საშუალებაა, რომელიც საზოგადოებას აძლევს შანსს მართოს კონფლიქტი, იწინასწარმეტყველოს მისი დაწყებაც და შედეგებიც. ბოულდინგს მიაჩნია, რომ კონფლიქტი ეს არის სიტუაცია, როდესაც მხარეებს კარგად ესმით თავიანთი პოზიციების შეუთავსებლობა და საკუთარ ქმედებებში ცდილობენ დაასწრონ მოწინააღმდეგეს. კონფლიქტი არის სოციალური ურთიერთქმედების ნაირსახეობა, როდესაც მხარეები აცნობიერებენ არსებულ დაპირისპირებას და მასთან საკუთარ მიმართებას. ამ დროს ისინი შეგნებულად ირაზმებიან, განსაზღვრავენ ბრძოლის სტრატეგიას და ტაქტიკას. მაგრამ აქ არ არის გამორიცხული კონფლიქტის შეზღუდვისა და სრულად დაძლევის შესაძლებლობა.

კონფლიქტის წყაროები. დასავლეთის სოციოლოგები კონფლიქტების რაობის კვლევაში ბევრად წინ არიან ვიდრე ჩვენ, ვისაც ეს კონფლიქტები რეალურად გვაწუხებდა და დღესაც გვაწუხებს. ჩვენთან ძირითადად აქცენტი კეთდებოდა კონფლიქტების მატერიალურ-ეკონომიკურ და კლასობრივ ასპექტებზე. ეს იყო მარქსისტული კონცეფცია და დაიყვანებოდა ანტაგონისტური კლასების ურთიერთობის ანალიზზე. ფაქტობრივად, და დღეს ნათლად ჩანს, ეს იყო პრობლემის გამარტივებული ხედვა. რადგან ითვლებოდა, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში ანტაგონისტური კლასები არ არსებობენ და არც

კონფლიქტებს უნდა ჰქონდეს ადგილი. ამიტომ ამ პრობლემის კვლევა თითქმის არ მიმდინარეობდა. (მხოლოდ ამ ბოლო ორი ათეული წლების განმავლობაში შეიმჩნევა რაღაც მოძრაობა, მაგრამ იმდენად სუსტი, რომ რაიმე შედეგების მოლოდინი ილუზიის ტოლფასია).

აღიარებულია, რომ საზოგადოება აგრძელებს არსებობას როგორც მთლიანი, ერთიანი სისტემა მისთვის გარდუვალი შინაგანი კონფლიქტების მუდმივი რეგულირებებისა და პერიოდული გადაჭრის წყალობით. ცნობილია კონფლიქტები, რომელთა წყაროა ადამიანების არაერთგვაროვანი მიმართება ძალაუფლებისადმი. სხვა სიტყვებით, როდესაც ერთი ჯგუფი ძალაუფლებამოსილია, მართავს და ბატონობს სხვებზე, ესენი კი იძულებულნი არიან დაექვემდებარონ მათ მითითებებს, რეკომენდაციებს, ბრძანებებს. სოციალური კონფლიქტის მიზეზი შეიძლება იყოს შესაბამისი სოციალური ჯგუფების ინტერესებისა და მიზნების შეუსაბამობა (ამ მიზეზებს ყურადღება დაუთმო ე.დურკემმა, ტ.პარსონსმა და სხვ.)

კონფლიქტის მიზეზად შეიძლება იქცეს ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ღირებულებების განსხვავება. ყოველ ინდივიდსა და სოციალურ ჯგუფს გააჩნია სოციალური ცხოვრების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მხარეების მიმართ გარკვეული ღირებულებითი ორიენტაცია. მაგრამ ისე ხდება, რომ ერთი ჯგუფის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება იწვევს შXV ჯგუფების უკმაყოფილებასა და წინააღმდეგობას მათი მხრიდან. ამ დროს წინ წამოიწევს ურთიერთსაპირისპირო ღირებულებითი ორიენტაციები, რაც შეიძლება გახდეს კონფლიქტის მიზეზი. მაგალითად, საკუთრებისადმი განსხვავებული მიდგომა: ერთნი თვლიან, რომ საკუთრება უნდა იყოს კოლექტიური, მეორენი უფრო კერძო საკუთრებას ემხრობიან, მესამენი მიისწრაფიან კოოპერატიულისაკენ. გარკვეულ პირობებში საკუთრების სხვადასხვა ფორმის მომხრეებს შორის შეიძლება გაღვივდეს კონფლიქტი.

კონფლიქტისათვის არანაკლები მიზეზია სოციალური უთანასწორობა. კონფლიქტის სოციოლოგიის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ადამიანების სოციალური პოზიციები და მათი მიდრეკილებების ხასიათი დამოკიდებულია ფასეულობათა განაწილებაზე, მათ ხელმისაწვდომობაზე (ცოდნა, ინფორმაცია, კულტურის ელემენტები და ა.შ.). სწრაფვა საყოველთაო თანასწორობისაკენ, როგორც ისტორია მოწმობს, არ შეიძლება ჩაითვალოს

სიკეთედ, რადგან იწვევს გათანაბრებას, ბევრისათვის შემოქმედებითი მოღვაწეობისა და ინიციატივის შესუსტებას. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ შეუძლებელია ყველა მსურველის ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამიტომ უთანასწორობა, მათ შორის, სოციალურიც, მარადიულია. მას ადგილი აქვს ყველგან და ხშირად პოზიტიური მნიშვნელობა აქვს, რადგან ხელს უწყობს სიმდიდრის შექმნა-დაგროვებას, სტიმულს აძლევს ადამიანის ცხოვრებისეულ ენერგიას. კონფლიქტი კი თავს იჩენს უთანასწორობის ისეთ დონეზე, როდესაც ის რომელიმე სოციალური ჯგუფის აზრით მისი მოთხოვნილებებისათვის მნიშვნელოვანი წინაღობაა. ასეთ პირობებში ჩასახული სოციალური დაძაბულობა სოციალური კონფლიქტის წინაპირობაა.

კონფლიქტების კლასიფიკაცია და ფუნქციები (ნეგატიური და პოზიტიური).

არსებულ ლიტერატურაში ორი თვალსაზრისია, ერთი კონფლიქტების სარგებლიანობაზე საუბრობს, მეორე ზიანზე. ე.ი. საუბარი ეხება კონფლიქტების ნეგატიურ და პოზიტიურ ფუნქციებს. თუ კონფლიქტი განიხილება როგორც საზოგადოების განვითარებისათვის აუცილებელი მომენტი, მაშინ მის ერთ-ერთ ფუნქციად უნდა გამოიყოს დაპირისპირებულ მხარეთა შორის ფსიქოლოგიური დაძაბულობის მოხსნის ფუნქცია.

კონფლიქტის მეორე პოზიტიური ფუნქციაა კომუნიკაციური. ამ ფუნქციის ძალით კონფლიქტის მონაწილენი აცნობიერებენ თავიანთ და დაპირისპირებულ ინტერესებს, წინ წამოწევენ საერთო პრობლემებს, და იწყება ურთიერთშეგუების მცდელობა.

ორი განხილული ფუნქციიდან გამომდინარეობს კიდევ ერთი პოზიტიური ფუნქცია, რომელიც იმაში ვლინდება, რომ კონფლიქტს შეუძლია მხარეთა კონსოლიდირება, მეტიც, იყოს სოციალური ცვლილებების ხელშემწყობი ძალა. ეს ხდება მაშინ, როდესაც კონფლიქტის გადაჭრის პროცესი დაწყებულია, აქ ადამიანები უკვე სხვანაირად აღიქვამენ ერთმანეთს, უჩნდებათ თანამშრომლობის ინტერესი, ჩნდება ამის შესაძლებლობა.

მაგრამ კონფლიქტები უფრო ხშირად დამანგრეველი, ნეგატიური ხასიათისაა. მათ შეუძლიათ დესტაბილიზაციის შეტანა სოციალურ ურთიერთობებში, დაშალონ სოციალური ერთობები და ჯგუფების ერთიანობა. მაგალითად, გაფიცვას შეუძლია სოლიდური ზიანი მიაყენოს სამრეწველო დაწესებულებას და მთლიანად საზოგადოებას, რადგან ეკონომიკური ზარალი შეიძლება საზოგადოების ბალანსის მოშლის მიზეზი

გახდეს. ეროვნული კონფლიქტები არღვევენ ურთიერთობას ერებს შორის და ა.შ. მაგრამ როგორი თვალსაზრისებიც არ უნდა არსებობდნენ სოციალურ კონფლიქტებზე, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ კონფლიქტები აუცილებელია საზოგადოების განვითარებისათვის, მათ გარეშე გამორიცხულია საზოგადოების წინსვლა.

კონფლიქტების ტიპოლოგია და კლასიფიკაცია. კონფლიქტები საზოგადოებაში უამრავია. ისინი განსხვავდებიან მასშტაბებით, მონაწილეთა შემადგენლობებით, მიზეზებით, მიზნებით, შედეგებით. მათ კლასიფიცირებას ცდილობენ ცხოვრების სფეროების შესაბამისად და საუბრობენ კონფლიქტებზე ეკონომიკის სფეროში, ეროვნულ ურთიერთობებში, სოციალურ სფეროში და ა.შ. კონფლიქტების კლასიფიკაციას შეიძლება საფუძვლად დავუდოთ სუბიექტები და უთანხმოების ზონები, რაც შიძლება ასე გამოვსახოთ: პიროვნული კონფლიქტი - პიროვნების შიგნით, ინდივიდუალური ცნობიერების დონეზე; პიროვნებათშორისო კონფლიქტი - კონფლიქტი ორ ან რამდენიმე ადამიანს შორის (აქვე უნდა ჩაითვალოს კონფლიქტი მცირე ჯგუფებს შორის); კონფლიქტი ჯგუფებს (ერთობებს) შორის - წინასაგან განსხვავებით იგულისხმება საპირისპირო ინტერესების მქონე სოციალური ჯგუფები; კონფლიქტი გარემოსთან - ინდივიდები, რომლებიც განიცდიან ზეწოლას გარედან, პირველ რიგში, ადმინისტრაციული და ეკონომიკური ნორმების მხრიდან. აქ კონფლიქტი ჩაღდება ნორმების დამცველ ინსტიტუტებთან.

შესაძლებელია საუბარი სოციალური კონფლიქტების ასეთ ტიპოლოგიაზე: კონფრონტაცია - ჯგუფის პასიური დაპირისპირება მოწინააღმდეგის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ინტერესებთან; ქიშპობა - ბრძოლა საზოგადოებაში საკუთარი ღირსებისა და შემოქმედებითი უნარის აღიარებისათვის, პრესტიჟული მიზნების მიღწევით ზეობის დემონსტრირება; კონკურენცია - კონფლიქტის განსაკუთრებული ფორმაა, მისი მიზანია მოგება, დეფიციტური სიკეთის განაღდება.

მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორმა ა.როპოპორტმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ შეუძლებელია ყველა კონფლიქტის ერთ უნივერსალურ სქემაში მოქცევა. საუბარი შეიძლება შემდეგი ტიპის კონფლიქტებზე: 1). „შერკინება“ - როდესაც წინააღმდეგობის საფუძველი არის შეურიგებელი დაპირისპირება და უნდა დამთავრდეს ერთის სრული გამარჯვებით; 2).

„დებატები“ - სადაც შეიძლება დავა, კამათი, მანევრები და ორივე მხარეს აქვს კომპრომისის იმედი; 3). „თამაში“ - სადაც ორივე მხარე მოქმედებს ერთი და იგივე წესების ჩარჩოებში. ამიტომ ეს კონფლიქტი არასოდეს არ მთავრდება და არც შეიძლება დამთავრდეს მთელი სტრუქტურის ნგრევით. ამ დასკვნას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ორივე მხარისათვის ხსნის განწირულობისა და გარდუვალობის მოლოდინს.

კონფლიქტი სოციოლოგიის თვალსაზრისით - ეს არის ადამიანური ქცევის მოდელი, გარკვეული წესით განაწილებული როლებით, მოვლენათა თანმიმდევრობით, შეხედულებათა გამოხატვის ხერხებით, ღირებულებათა ორიენტაციებით, ინტერესების დაცვის ფორმით, მიზნებით და ა.შ.

თუ ქცევის თეორიას ავიღებთ საწყისად, მაშინ კონფლიქტის მიზანია სხვათა ინტერესების ხარჯზე საკუთარი ინტერესების მიღწევა. როდესაც ინტერესები გაცხადებულია, ცხადია აგრეთვე კონფლიქტის სუბიექტები, ობიექტი, საშუალებები და მიზნები, ასეთ კონფლიქტს ღია ანუ სრულმასშტაბიანი კონფლიქტი ეწოდება. ფარული ან არასრული კონფლიქტი გვაქვს, როდესაც ინტერესები ბუნდოვნადაა გამოკვეთილი, მცირეა მონაწილეთა რაოდენობა, ნაკლებად ლეგალიზებულია და მონაწილეთა ქცევები ძნელადაა შესამჩნევი (მაგალითად, შრომითი დისციპლინის შესუსტება, დაგვიანება, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა და ა.შ.).

შეხვდებით „ყალბი კონფლიქტის“ ცნებასაც. მას ადგილი აქვს კონფლიქტის ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ანალიზის შესაყარზე. აქ უმეტეს შემთხვევაში არ არსებობს კონფლიქტის ობიექტური მიზეზები. მხოლოდ რომელიღაც ერთ მხარეს უჩნდება ილუზია კონფლიქტის არსებობისა, სინამდვილეში კონფლიქტს ადგილი არა აქვს. (სხვადასხვა საფუძვლების შესაბამისად შესაძლებელია კონფლიქტების სხვაგვარი ტიპოლოგიაც. აქ კვლევები გრძელდება და საბოლოო წერტილის დასმა ადრეა).

კონფლიქტის გადაჭრა. კონფლიქტის გადაჭრის ნიშანია ინციდენტის დასრულება. ეს ნიშნავს, რომ მხარეებს შორის შეწყვეტილია კონფლიქტური ქმედებები. ინციდენტის მოხსნა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა კონფლიქტის შესაწყვეტად. რადგან გარკვეულ პირობებში შეიძლება კონფლიქტმა კვლავ იჩინოს თავი. კონფლიქტის გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება კონფლიქტური სიტუაცია, უფრო

ზუსტად, თუ ამოწურულია კონფლიქტის ძირეული მიზეზი, როდესაც შეიცვლება სუბიექტების ერთიერთდამოკიდებულება, როდესაც ერთმანეთს უკვე აღარ შეხედავენ როგორც მტერს. და ბოლოს, როდესაც შეიცვლება ურთიერთპრეტენზიები, ურთიერთმოთხოვნები და რომელიმე მხარე (შესაძლებელია ორივეც) წავა დათმობაზე.

კონფლიქტი შეიძლება გადაიჭრას ნაწილობრივ ან მთლიანად. მთლიანი გადაჭრა ნიშნავს კონფლიქტის შეწყვეტას, კონფლიქტური ვითარების კარდინალურად შეცვლას. ამ პროცესში „მტრის ხატი“ უნდა შეცვალოს „პარტნიორის ხატმა“, ბრძოლისადმი განწყობა უნდა შეიცვალოს თანამშრომლობის სურვილით.

კონფლიქტის ნაწილობრივ გადაჭრისას უფრო ხშირად იცვლება მისი გარეგანი ფორმა, მაგრამ უცვლელი რჩება დაპირისპირების შენარჩუნების შინაგანი განწყობა.

კონფლიქტის წარმატებული გადაჭრა გარკვეულ პირობებთანაა დაკავშირებული: 1). მისი მიზეზების დროული და ზუსტი დიაგნოზი. 2). წინააღმდეგობის დაძლევის ორმხრივი დაინტერესება. ეს შესაძლებელია ორივე მხარის ინტერესების აღიარების შემთხვევაში; ამისათვის კონფლიქტის სუბიექტები უნდა განთავისუფლდნენ ერთმანეთის უნდობლობისაგან. 3). კონფლიქტის გადაჭრის გზების ერთობლივი ძიება. აქ შეიძლება გამოყენებულ იქნა მეთოდებისა და საშუალებების ნებისმირი არსენალი.

გარეგნულად სოციალური კონფლიქტი წააგავს სპირალისებურ ბუნებრივ მოვლენებს, (მორევი, ქარბორბალა და ა.შ.) დასაშვებია კონფლიქტის ყოველი ეტაპის განხილვა სპირალთან შედარებით, რომელსაც გააჩნია აღმასვლისა და ვარდნის, დაძაბულობისა და განმუხტვის სტადიები. კონფლიქტში მართლაც შეიმჩნევა ფსიქოლოგიური დაძაბულობის ზრდა, მაგრამ ეს ზრდა უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. რომელიღაც წერტილის მერე ანელებს სვლას ან სულაც იწყებს დასუსტებას. კონფლიქტის მსგავსება სპირალისებურ მოძრაობასთან აჩენს იმედს, რომ შესაძლებელია გამოინახოს მოცემული ურთიერთობების დარეგულირების გზები და მეთოდები. სოციოლოგიურ მეცნიერებაში დიდი ყურადღება ენიჭება კონფლიქტების რეგულირების, მისი მართვის ტექნოლოგიების შესწავლას.

კონფლიქტების მართვა. კონფლიქტის მართვის მიზანია - არ დაუშვას მისი გაფართოება და მინიმუმამდე დაიყვანოს მისი ნეგატიური შედეგები. კონფლიქტის

მართვის სუბიექტად შეიძლება მოგვევლინოს მისი ერთ-ერთი მხარე ან სულაც სხვა, მესამე ძალა, რომელიც კონფლიქტში არ მონაწილეობს, მაგრამ დაინტერესებულია მის დარეგულირებაში. ვინც არ უნდა იყოს კონფლიქტის დამრეგულირებელი სუბიექტი, აუცილებელია მოიძებნოს და გამომუშავებულ იქნას კონფლიქტური ურთიერთობების დასარეგულირებელი ტექნოლოგია. ამას შეიძლება ხელი შეუწყოს: 1). საჯაროობამ, სოციალური კონფლიქტების ჩრდილოვანი, ფარული, ლატენტური მხარეების აბსოლუტურად გახსნამ. ეს მათი კონტროლზე აყვანისა და პროცესებზე რეაგირების საშუალებას იძლევა; 2). სოციალური ფსიქოლოგიური აღგზნებადობის დაწევა, მხარეთა შორის სიტუაციის დეტონატორების უვნებელყოფა. ეს და სხვა შესაძლებელი (კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით) ზომები შეასუსტებს კონფლიქტს, მოხსნის სიმძაფრეს, ხელს შეუწყობს მის დარეგულირებას.

კონფლიქტის გადაჭრის მეთოდები. კონფლიქტის გადაჭრა ძალზე რთული ამოცანაა. მაგრამ შესაძლებელია და უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს კონლიქტის გადაჭრის გზებისა და მეთოდების უზარმაზარი არსენალი.

1). კონფლიქტისაგან თავის არიდების მეთოდი - ეს შეიძლება იყოს ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის პოლიტიკური არენიდან წასვლა; მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხებისაგან თავის არიდება. მაგრამ თავის არიდება არ ნიშნავს კონფლიქტის ლიკვიდაციას, რადგან თვით მიზეზი კვლავ რჩება.

2). მოლაპარაკების მეთოდი - ეს არის ძალის გამოყენებისაგან თავის არიდება. მოლაპარაკების პროცესში მხარეების მიერ ხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რაც ამცირებს კონფლიქტის სიმძაფრეს, გასაგები ხდება მოწინააღმდეგის არგუმენტები, ხდება ძალთა შეფარდების ობიექტურად შეფასება და შერიგების პირობების მოსინჯვა. მოლაპარაკებაში ჩნდებიან ალტერნატიული სიტუაციები, შესაძლებელია ურთიერთგაგების მიღწევა, კონსენსუსი, შესაძლებელი ხდება თანამშრომლობის რაიმე ვარიანტი.

3). შუამავლების ჩართვის მეთოდი. ეს არის შემრიგებლური პროცედურა. შუამავალი შეიძლება იყოს როგორც ორგანიზაცია, ისე კერძო პირიც. ამ ფუნქციის შესრულება შეუძლია არა მხოლოდ სამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე ნებისმიერ დაწესებულებას, ცალკეულ ინდივიდს. პრაქტიკა მოწმობს, რომ სწორად შერჩეულ შუამავალს შეუძლია კონფლიქტის

სწრაფი დარეგულირება, იქაც კი, სადაც მის გარეშე ეს საერთოდ ვერ ხერხდება. დასავლეთში ასეთ ფიგურად შეიძლება მოგვევლინოს ცნობილი ავტორიტეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი და ა.შ. ეს ნიშნავს, რომ შუამავლისადმი დიდი პირობებია წაყენებული - ის უნდა იყოს აღიარებული ავტორიტეტი, დაჯილდოებული მაღალი ზნეობით, კომპეტენტური პროფესიონალი, მაღალი ინტელექტის პატრონი და ა.შ.

4). გადადების მეთოდი - ზოგჯერ ეს ნიშნავს საკუთარი პოზიციების დათმობას. ეს საკმაოდ გავრცელებული მეთოდია. მაგრამ აქ უნდა გვახსოვდეს, რომ მხარე „რომელმაც დათმო" ძალის მოკრებისა და სიტუაციის მის სასარგებლოდ შეცვლის შემდეგ აუცილებლად შეეცდება დაკარგულის დაბრუნებას.

5). განხილვის მეთოდი ანუ არბიტრაჟი - განხილვის დროს მკაცრადაა დაცული კანონის ნორმები, მათ შორის საერთაშორისო სამართლის.

კონფლიქტური ვითარებებიდან თავის დაღწევის გზების ძიება ხელს უწყობს კონფლიქტების დარეგულირების ახალი, აქამდე უცნობი მეთოდების გამოვლენას.

ზოგადი შეხედულებები ურთიერთობის ლოგიკასა და კონფლიქტების გადაჭრაზე. ადამიანი სოციალური არსებაა, ამიტომ ცდილობს ის, რომ მისი აზრები და ქცევები შეესატყვისებოდეს სხვათა აზრებსა და ქცევებს, იყოს შესაბამისობასა და თანხმობაში გარემოსთან. მიუხედავად ამ მცდელობისა ისე ხდება, რომ დაპირისპირება და კონფლიქტები ადამიანური ყოფის განუყოფელი ნაწილია. რატომ ხდება ასე? ეს ის კითხვაა, რომელზეც, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მოაზროვნეებთან, უამრავი პასუხი არსებობს. ჩვენთვის განსაკუთრებულად საინტერესოა ორი მათგანი: 1. კოგნიტური დისონანსის თეორია და 2. სტრუქტურული ბალანსის თეორია (პიროვნებათშორის ურთიერთობათა აღქმისა და შეფასების). ორივე მათგანი მკაცრადაა გაანალიზებული, ექსპერიმენტულად მრავალჯერ შემოწმებული და განზოგადებული.

კოგნიტური დისონანსის თეორიის თანახმად, ადამიანს არათუ უბრალოდ აქვს ცოდნა, რწმენა, შეხედულებები საკუთარ თავსა და სხვებზე, მოვლენებზე, საგნებზე და ა.შ. არამედ მიისწრაფვის, რომ ეს კოგნიტური ელემენტები (ფესტინგერის მიხედვით - კოგნიციები), პირველ რიგში, შეესაბამებოდეს რეალობას და მეორე, შეესატყვისებოდნენ ერთმანეთს. წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი მოექცევა კოგნიტური დისონანსის

(შეუსაბამობა, უხერხულობა, წინააღმდეგობა, დისკომფორტი) მდგომარეობაში. (ახალგაზრდა, რომელიც იწყებს თამბაქოს წევას, მოექცევა დისონანსში, რომლის ჩარჩოებია: „სურვილი იყოს დიდი“ და „არჩევანის უარყოფითი შედეგები“.

კოგნიტური დისონანსის თეორიის ძირითადი დაშვება იმაში მდგომარეობს, რომ დისონანსის მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ყველანაირად შეეცდება შეარბილოს ან სულაც გააქროს ეს დისონანსი. დამწყები მწეველი ამას ორი გზით ახერხებს. ჯერ ერთი, მას შეუძლია არ გააზვიადოს მოწევის მავნე შედეგები, მიუთითოს მიღებულ სიამოვნებებზე, თამამი ახალგაზრდის იმიჯზე, იმ ინფორმაციაზე, რომლის თანახმად ზოგიერთი მწეველი ღრმა სიბერემდე ცოცხლობს და ა.შ. მეორე, მას შეუძლია თავი დაანებოს თამბაქოს. ამ ორი შესაძლებლობიდან რომელს აირჩევს ახალგაზრდა? ამ კითხვაზე პასუხს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს კოგნიტური დისონანსის თეორიისათვის. მთავარი ის არის, რომ ახალგაზრდამ უნდა გააკეთოს არჩევანი.

სტრუქტურული ბალანსის თეორია აფართოებს კოგნიტური დისონანსის კონცეფციას, რადგან ჩართავს მასში არა მხოლოდ კოგნიციების ბაზისურ ელემენტებს, არამედ პიროვნებათა შორის ურთიერთობების ელემენტებსაც. შესაბამისად, „კოგნიტური დისონანსის“ ცნებას ჩაენაცვლება უფრო ზოგადი - „სტრუქტურული დისბალანსის“ ცნება.

სტრუქტურული ბალანსის თეორიის ძირითადი დაშვება შემდეგში მდგომარეობს. თუ პიროვნებათა შორის ურთიერთობების რომელიმე სისტემაში არ არის შესაბამისობა, ე.ი. დარღვეულია ბალანსი, მაშინ ჩნდებიან ძალები, რომლებიც ცდილობენ დაარეგულირონ, დააბალანსონ ეს სისტემა. ამის გაკეთებას ცდილობენ სისტემის შიგნით ურთიერთობების შეცვლით, ან სუბიექტების კოგნიციების შეცვლით, ან ერთით და მეორით ერთდროულად. მაგრამ თუ ერთის და მეორის შეცვლა ცალ-ცალკეც და ორივეს ერთდროულადაც შეუძლებელია, მაშინ დაუბალანსირებელ სისტემაში დაძაბულობა მატულობს. (მაგალითად, როდესაც „A-ს უყვარს-B, B-გულგრილია A-ს მიმართ, სისტემა დაუბალანსირებელია. ბალანსი შეიძლება მიღწეულ იქნას თუ შევცვლით ან ცალ-ცალკე ორივეს მიმართებას ერთმანეთთან, ან ორივეს ერთდროულად).

ორივე თეორია, არსებითად, სხვადასხვა ტერმინებით ერთსა და იგივეს ამტკიცებს: თუ ადამიანის კოგნიციები ვერ ეთანადებიან ერთმანეთს და რეალობას, თუ მისი მიმართება

საკუთარ თავთან და სხვა ადამიანებთან არ არის დაბალანსირებული (მოწესრიგებული), მაშასადამე ის იმყოფება კონფლიქტურ ვითარებაში და იძულებულია შეეცადოს მის გადაჭრას ან თავი უნდა აარიდოს, გავიდეს თამაშიდან. ამ თვალსაზრისით კონფლიქტი არ არის დესტრუქციული, არამედ არის კონსტრუქციული ძალა, ადამიანის ქცევის მამოძრავებელი ძალა, ცხოვრების ის იმპულსი, რომლის გარეშე ყოველგვარი აქტიურობა შეუძლებელია.

„კონფლიქტის“ ცნება საკმაოდ დიდი მოცულობისაა. კონფლიქტის ქვეშ ჩვენ გვესმის, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, აზრების, სურვილების, მიზნების, ქმედებებისა და მათი შედეგების, ასევე ადამიანთა ერთმანეთთან და რეალობასთან ნებისმიერი შეუსაბამობა, რაც გახდება მიზეზი მისი შერბილებისაკენ, გადაჭრისაკენ მიმართული ქმედებებისა. კონფლიქტი ბუნებისათვის დამახასიათებელი ასიმეტრიის განსაკუთრებული ნაირსახეობაა და გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ არის ადამიანური ქცევის მამოძრავებელი ძალა.

მიუხედავად კონფლიქტთა სახეების მრავალფეროვნებისა, მათი რაციონალური გადაჭრისათვის არსებობს მხოლოდ ერთადერთი მიდგომა. არაფორმალურად ეს ასე ჟღერს: ნებისმიერი კონფლიქტი მივა გადაჭრის სტადიამდე (არაა აუცილებლად ეფექტური) მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ მისი სუბიექტები (ელემენტები) აღმოჩნდებიან ერთნაირ (სიმეტრიულ) მიმართებაში ერთმანეთთან. მხოლოდ ასეთ ვითარებაში აქვთ ადამიანებს ერთმანეთზე ან რაიმე საგანზე თანაბარი ზემოქმედების შესაძლებლობა. მხოლოდ ასეთ ვითარებაში აღწევენ ადამიანები კომფორტის, თავისუფლების, უსაფრთხო მდგომარეობის მაქსიმუმს. ამიტომ ადამიანი ურთიერთობისათვის მიისწრაფის იმათკენ, ვისთანაც ბევრი აქვს საერთო და თავს არიდებს არაერთფასოვან სიტუაციებს.

პარადოქსი მდგომარეობს შემდეგში. დამოუკიდებელი მიზეზების გამო ჩვენ არ შეგვიძლია, ვერ ვახერხებთ უკონფლიქტო ვითარების უსასრულოდ დიდხანს შენარჩუნებას. ცხოვრებისეული უნივერსუმი უდიდეს ნაწილში ადამიანი ობიექტურად განიცდის ცვლილებებს. თავის გადარჩენის თუ შენახვის მიზნით ის პერიოდულად ცვლის, გარდაქმნის თავის მიმართებას გარემოსთან, იძენს ახალ მეგობრებს, ახალ მტრებს, ე.ი. გადაჭრის თუ არა ერთ კონფლიქტს, გადაიქცევა მეორის სუბიექტად და ობიექტად.

მაშასადამე, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ურთიერთობაზე, მხედველობაში გვაქვს არა სტატიკური, არამედ რაღაც დინამიური პროცესი, რომლის მიზანია ბალანსის მიღწევა კომუნიკაციის ყველა ელემენტის შესაბამისობაში, ხოლო მამოძრავებელი მიზეზია, თუ გნებავთ ძალაა ამ სისტემისათვის დამახასიათებელი კონფლიქტი.

ლექცია 10. გლობალიზაცია

შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაცია XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ყველაზე აქტუალური თემა გახდა, რომელიც განიხილება სამეცნიერო, პოლიტიკურ თუ საქმიან წრეებში . დღესდღეობით ძალზე საგრძნობია გლობალიზაციის გავლენა თანამედროვე საერთაშორისო სისტემაზე და საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათზე, თუმცა აღნიშნული პროცესის სირთულიდან და ყოვლისმომცველი ხასიათიდან გამომდინარე, ადგილი აქვს გლობალიზაციისადმი არაერთგვაროვან დამოკიდებულებას.

80–იანი წლებიდან საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისას ჩვეულებად იქცა ინტერპარადიგმული დებატები. თითოეულ თეორიაში გლობალიზაცია სხვადასხვაგვარად არის აღქმული. მე კი შევეცდები თითოეული მათგანი აღნიშნულ ნაშრომში დაწვრილებით განვიხილო და მიმოვიხილო სხვადასხვა ავტორის მოსაზრება გლობალიზაციასა და საერთაშორისო ურთიერთობების ურთიერთკავშირის შესახებ.

თუკი ჩავთვლით, რომ გლობალიზაცია მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ისეთივე ღრმა ცვლილებების გამომხატველი ტერმინია, როგორც „საერთაშორისო“, მაშინ როგორ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ მისი ზუსტი არსი? გლობალიზაციის კრიტიკოსები ხაზს უსვამენ, რომ ტერმინი ხშირად მეტად ფართო და ბუნდოვანი მნიშვნელობით გამოიყენება. ამასთანავე ხშირია ტერმინების „გლობალიზაციისა“ და „ინტერნაციონალიზაციის“ სინონიმებად ხმარებაც. ასევე არ არის იშვიათი „გლობალური ურთიერთობებისა“ და „საერთაშორისო ურთიერთობების“ თანმთხვევი მნიშვნელობით გამოყენებაც.

უპირველესად კი ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ტერმინი „გლობალიზაცია“ უნდა ვიხმაროთ იმ პროცესების არსის გადმოსაცემად, რომლებიც მიმდინარეობდა მსოფლიოში უკანასკნელი 40 წლის მანძილზე და განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 80-იანი წლებიდან. ამ შემთხვევაში იგი გამოხატავს ამ პროცესებს, რომელთა შედეგადაც სოციალური ურთიერთობების პროცესში თანდათანობით მცირდება მანძილისა და საზღვრების არსებობის მნიშვნელობა. სოციალური ურთიერთობები, როდესაც ადამიანები მრავალფეროვანი და კომპლექსური გზებით არიან ურთიერთკავშირში და ურთიერთქმედებენ სულ უფრო მეტად ხდება

განპირობებული და ორგანიზებული პლანეტარული ერთობის მიერ. ამ ნიშნით, ქვეყნების ადგილმდებარეობა და კერძოდ მათ შორის საზღვრები, მიუხედავად მნიშვნელობის შენარჩუნებისა, დიდწილად მეორე პლანზე გადადის ჩვენი ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის. იგი იმ ტენდენციის გამოხატულებაა, რომლის შედეგადაც მსოფლიოში სულ უფრო მცირდება საზღვრების ჩაკეტილობა სახელმწიფოთა შორის.

ამ თვალსაზრისით, გლობალიზაცია უნდა განვასხვავოთ ინტერნაციონალიზაცი-ისაგან. როგორც ამ უკანასკნელი ტერმინის კონსტრუქცია მიუთითებს, იგი გამოხატავს კავშირების ინტენსიფიკაციას ნაციონალურ დომენებს შორის. ქვეყნებმა ერთმანეთზე მრავალმხრივი და ღრმა გავლენა შეიძლება მოახდინონ, მაგრამ მათ უკავიათ გამოცალკევებული და ურთიერთგამიჯნული ადგილები. საერთაშორისო ურთიერთობათა პროცესში სახელმწიფოები ერთმანეთისაგან გამოყოფილნი არიან მკაფიო საზღვრებით და ასევე იმ დროით, რომელიც ზოგადად საჭიროა მათ შორის არსებული მანძილების დასაფარავად. ამ განსხვავების არსის წარმოსაჩენად საჭიროა ითქვას, რომ საერთაშორისო სფერო არის სხვადასხვა სახელმწიფოთაგან შემდგარი ერთობა, მაშინ როცა გლობალური სფერო არის კავშირების „აბლაბუდა“, „ქსელი“, რომელშიც საზღვრების მნიშვნელობა უკიდურესად შემცირებულია. თუკი საერთაშორისო კავშირებისათვის, მაგ., ყავით ვაჭრობისათვის, ამ საქმესთან დაკავშირებულმა ადამიანებმა უნდა გადალახონ მნიშვნელოვანი მანძილები ამისათვის აუცილებელი დროის განმავლობაში, გლობალური კავშირებისათვის (მაგ., სატელიტური კავშირისათვის) არ არსებობს დისტანციები და ეს კავშირები, დროის თვალსაზრისით, პირდაპირია. გლობალური ფენომენი ერთდროულად შეიძლება გავრცელდეს მთელ მსოფლიოში და მისთვის გადაადგილებისათვის საჭირო დრო არაფერს ნიშნავდეს. „ინტერნაციონალური“ ურთიერთდამოკიდებულების პირობები კი დიდწილად განპირობებულია მსოფლიოს ნაციონალურ სახელმწიფოებად დაყოფად. „გლობალური“ ურთიერთკავშირის ხაზები იშვიათად ემთხვევა ტერიტორიული საზღვრების ჩარჩოებს. ამასთანავე, საერთაშორისო და გლობალური ურთიერთობები, რა თქმა უნდა, შეიძლება თანაარსებობდნენ. შესაბამისად, თანამედროვე მსოფლიო ერთდროულად ინტერნაციონალიზებული და გლობალიზებულია.

იან შოლტე გლობალიზაციას განმარტავს როგორც პროცესებს, რომელთა მეოხებითაც სოციალურ ურთიერთობებს შედარებით ნაკლებად აფერხებს მანძილი და საზღვრები ისე, რომ ადამიანთა ცხოვრება მსოფლიოს, როგორც ერთი მთლიანობის ფარგლებში მიედინება. ამდენად, გლობალიზაცია თანამედროვე ტენდენციაა, რომლის გავლენითაც მსოფლიო–მრავალ ასპექტში და ძირითადად აჩქარებული ტემპით–ერთიან, საზღვრების არმქონე სოციალურ სფეროდ ყალიბდება.

ცივი ომის დამთავრების შემდეგ მსოფლიოში უამრავი ცვლილება მოხდა, რამაც ძირეულად შეცვალა საერთაშორისო ვითარება. ბევრი მკვლევარი თვლის, რომ მთავარი ტენდენცია, რაც ცივი ომის შემდგომი მსოფლიოსათვის არის დამახასიათებელი, მოკლედ შეიძლება გამოიხატოს, როგორც დასავლური სამყაროს სრული უპირატესობის მიღწევა მსოფლიო ცხოვრების ყველა სფეროში. გლობალიზაციის როლზე თანამედროვე საერთაშირისო სისტემაში და იმაზე თუ რამდენად ცვლის გლობალიზაცია საერთაშორისო სისტემას, საუბრობს პროფესორი ზურაბ დავითაშვილი თავის წიგნში "ნაციონალიზმი და გლობალიზაცია".

მისი აზრით, ცივი ომის შემდგომი მსოფლიოს რთული და მრავალმხრივი სურათი, სრულიად განსხვავებულ და ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. სწორედ ამიტომ, სხვადასხვა ავტორი მკვეთრად განსხვავებულ შეფასებას აძლევს თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას.

მკვლევართა ეს მრავალრიცხოვანი ჯგუფი საბოლოო ჯამში სამ ძირითად ბანაკს შეიძლება მივაკუთვნოთ: ლიბერალ–ოპტიმისტებს, რეალისტებს და რადიკალებს.

1) ლიბერალები გლობალიზაციას მიიჩნევენ ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარე მსოფლიო პოლიტიკის ტრანსფორმაციის საბოლოო პროდუქტად. მათთვის გლობალიზაცია თავისთავად უარყოფს მსოფლიო პოლიტიკურ რეალისტურ მოდელებს, ვინაიდან აჩვენებს რომ სახელმწიფოები აღარ არიან საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრალური აქტორები, როგორც ეს ადრე იყო. მათი ადგილი დაიკავა სხვადასხვა აურაცხელმა აქტორმა. მათ განსხვავებული მნიშვნელობა გააჩნიათ იმ სფეროს მიხედვით, რომელშიც უხდებათ მოღვაწეობა. ლიბერალები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ ტექნოლოგიებისა და

კომუნიკაციების სფეროში რევოლუციის მიმართ, რასაც გამოხატავს გლობალიზაცია. ყოველივე ეს, ტექნოლოგიური და ეკონომიკური თვალსაზრისით, იწვევს საზოგადოების სულ უფრო მჭიდრო ურთიერთდაკავშირებას და მისი შედეგი ადრე არსებულისგან სრულიად განსხვავებული მსოფლიო პოლიტიკური ურთიერთობების სისტემის შექმნა ხდება. სახელმწიფოები აღარ წარმოადგენენ ჩაკეტილ ერთობებს და მსოფლიო სულ უფრო ემსგავსება მრავალმხრივი ურთიერთობების ქსელს.

აღნიშნული ხედვის ავტორებს მიაჩნიათ, რომ კაცობრიობის ისტორიის ყველაზე საშიში და სისხლიანი მოვლენები უკვე გავლილია და მსოფლიოს საშიშროება აღარ ემუქრება. ეს ოპტიმიზმი ემყარება იმ რწმენას, რომ ლიბერალურ-დემოკრატიული რეჟიმები ერთმანეთში არ ომობენ და მთელ მსოფლიოში დემოკრატიის დამკვიდრება თავისთავად გამორიცხავს ომის საფრთხეს. გარდა ამისა, სწრაფად იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციების, ტრანსნაციონალური კორპორაციების, არასამთავრობო სექტორის როლი, სახელმწიფოები და ხალხები სულ უფრო და უფრო მეტად არიან ერთმანეთზე დამოკიდებული, რაც ასევე მკვეთრად ამცირებს ომის საშიშროებას.

ფრენსის ფუკუიამას აზრით, ცივი ომის დასრულებით, კაცობრიობა შევიდა სრულიად სხვა ეპოქაში, რომლის შინაარსიც არის ლიბერალურ–დემოკრატიული ღირებულებების გლობალური დამკვიდრება და საყოველთაო გავრცელება. იწყება საყოველთაო ეკონომიკური აღმავლობის ეპოქა, სახელმწიფოთა როლი მცირდება და იწყება გლობალიზაციის ხანა. ეს ყოველივე კი იმის გარანტად მიიჩნევა, რომ მომავალი მსოფლიო დემოკრატიული გახდება და შესაბამისად, კონფლიქტებსაც ბოლო მოეღება.

ტომას ფრიდმანის აზრით გლობალიზაცია არის დღევანდელი ეპოქის გადამრჩენელი, რადგან მას აუცილებლად მოაქვს მშვიდობა და დემოკრატია. ომი გლობლიზაციის უპირველესი ხელისშემშლელია და შესაბამისად ხელს უშლის პროგრესსაც, ხოლო ახალი ტექნოლოგიები ხელს უწყობს ინდივიდუალურ ავტონომიას და ინიციატივებს, რაც დემოკრატიის უპირველესი მამოძრავებელია.

2) რეალისტები. რეალიზმის მიმდევრებისთვის გლობალიზაცია მითია. ის სულაც არ ცვლის საერთაშორისო ურთიერთობათა ყველაზე მნიშვნელოვან

მახასიათებელს, კერძოდ, მსოფლიოს ტერიტორიულ დაყოფას ეროვნულ სახელმწიფოებად. აღმავალი ურთიერთკავშირის მიუხედავად ეკონომიკებისა და საზოგადოებებს შორის, რამაც ისინი უფრო ურთიერთდამოკიდებულნი შეიძლება გახადოს, სახელმწიფოები ინარჩუნებენ სუვერენიტეტს და გლობალიზაცია სულაც არ აქცევს სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ ბრძოლას წარსულის რუდიმენტად. იგი არ ამცირებს არც ძალის გამოყენების საფრთხეს და არც ძალთა ბალანსის მნიშვნელობას. აქედან გამომდინარე, გლობლიზაცია შეიძლება შეეხოს ჩვენს სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას, მაგრამ იგი გავლენას არ ახდენს სახელმწიფოთა საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაზე.

სემუელ ჰანთინგტონმა თავის სტატიაში "ცივილიზაციათა შეჯახება“ აღნიშნა, რომ 21–ე საუკუნე იქნება ანტაგონიზმი ცივილიზაციებს შორის. ცივი ომის დამთავრებისთანავე მთავარ წინააღმდეგობად იქცა დაპირისპირება დასავლურ ცივილიზაციასა და სხვა ცივილიზაციებს შორის. გარკვეული დაპირისპირება ყველა ცივილიზაციას შორის არის, მაგრამ ძირითადი, მაინც დასავლეთსა და სხვა ცივილიზაციებს შორის წინააღმდეგობაა. ამის მიზი კი ისაა, რომ დასავლურ ცივილიზაციას უნივერსალურობის პრეტენზია აქვს და გლობალიზაციაც, ფაქტობრივად, დასავლური ცივილიზაციის დანარჩენ მსოფლიოზე თავის მოხვევაა, რაც სხვა ცივილიზაციებში მძაფრ პროტესტს იწვევს.

ჯონ მერშაიმერმა თავის სტატიაში - “უკან მომავლისაკენ“ აღნიშნა, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ ბიპოლარული სისტემა დაიშალა. ამ მოვლენამ მხოლოდ ახალი პრობლემები გააჩინა, მათ შორის ბირთვულ შეიარაღებაზე კონტროლი. კომუნიზმის ნგრევამ კი მოსპო ის ბარიერი, რომელიც აკავებდა ეთნიკურ დაპირისპირებასა და მტრობას საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში. ამიტომ, ეს რეგიონი პერმანენტული ეთნოკონფლიქტებისთვის არის განწირული და მთელ კონტინენტს უკან, ქაოსისკენ აბრუნებს.

3) რადიკალები. მსოფლიო სისტემის თეორეტიკოსებისათვის გლობალიზაცია თავისებურ „მატყუარას“ წარმოადგენს. არაფერი განსაკუთრებულად ახალი არ ხდება და იგი შეადგენს საერთაშორისო კაპიტალიზმის განვითარების გვიანდელ ეტაპს. მას არავითარი რაოდენობრივი ცვლილებები არ შეაქვს მსოფლიო

პოლიტიკაში და არც არსებულ თეორიებსა და კონცეფციებს ხდის უფრო მრავლისმთქმელს.

რადიკალების სახელით მემარცხენე შეხედულების მკვლევარები არიან ცნობილი, რომლებიც მსოფლიო პოლიტიკის მთავარ პრობლემას კაპიტალისტური ეკონომიკის ექსპლოატატორულ ბუნებაში ხედავენ. მათგან პირველ რიგში მარქსისტები და ნეომარქსისტებია აღსანიშნავი, რომელთა პოზიციები სოციალისტური სისტემის კრახის შემდეგ საგრძნობლად შეირყა, მაგრამ მაინც რჩებიან ანგარიშგასაწევ ძალად. რადიკალების შეხედულებით (ნოამ ჩომსკი) თანამედროვე მსოფლიო კვლავ რჩება ბიპოლარულ სამყაროდ, რომლის პოლუსებსაც წარმოადგენენ განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოები (ექსპლუატატორები) და განვითარებადი ქვეყნები (ექსპლუატირებულები). მთავარ იმპერიალისტურ და ექსპანსიონისტურ ძალად რჩება აშშ, რომლის მიზანიცაა არა ის, რომ დემოკრატია დაამკვიდროს მსოფლიოში, არამედ, პირიქით, შეუზღუდოს არჩევანის უფლება მსოფლიოს მოსახლეობის ფართო ფენებს და თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს ისინი.

აღსანიშნავია აგრეთვე გლობალიზაციის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე. ამ თვალსაზრისით გლობალიზაციასთან დაკავშირებით, ზოგადად, არსებობს ორი რადიკალურად განსხვავებული შეხედულება: პირველი შეხედულების თანახმად, გლობალიზაცია წარმოადგენს პროგრესულ პროცესს, რომელიც ხელს შეუწყობს მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას, ხოლო მეორე შეხედულებით, გლობალიზაცია არის ნეგატიური პროცესი, რომელიც ემუქრება არა მარტო ცალკეულ ეროვნულ სახელმწიფოს, ერებს, მათ კულტურულ თავისებურებებს, არამედ განიხილება როგორც მთლიანად მსოფლიო მეურნეობის განვითარებისათვის საშიში ტენდენცია.

ყოველივე ზემოთქმული მიანიშნებს, გლობალიზაციის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი საერთოშორისო სისტემის სტრუქტურის, მისი ხასითის ძირეული ცვლაა. რომ გლობალიზაციამ სახე უცვალა მსოფლიო პოლიტიკის ბუნებასა და დღესაც განაგრძობს მის შეცვლას. აღნიშნულ ცვლილებათა ხასიათი და მასშტაბები მწვავე კამათს იწვევს. როდესაც გლობალიზაციის განსაზღვრებაზე, ახსნაზე, პროგნოზირებასა და ზნეობრივ შეფასებაზე მიდგება საქმე, ანალიტიკოსები ძლიერ განსხვავებულ პოზიციებს იკავებენ.

ლექცია 11. რელიგიური ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში

საერთაშორისო ურთიერთობათა ანალიზისას უკვე რამდენიმე ხანია კვლავ გაჩნდა წლების განმავლობაში მივიწყებული რელიგიური ფაქტორები, იმის მიუხედავადაც, თუ ხშირ შემთხვევაში ინტერესი მიმართულია მასმედიის საშუალებებისთვის საინტერესო თემებისკენ: რელიგიები და ცივილიზაციათა შეჯახება, სარწმუნოებათა როლი კონფლიქტების მოგვარებაში, ისლამის ადგილი. თუმცა ეს საკითხები მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც ჩვენ გვაინტერესებს.

ევროპის მომავალი კონსტიტუციის პრეამბულაში რელიგიური მემკვიდრეობის მოხსენიების საკითხზე კამათმა, გამოაშკარავა როგორც სეკულარიზაციის პროცესი კონტინენტზე, რომელზედაც ყველაზე მეტად აისახა ამ პროცესის განვითარება, ასევე რელიგიური ფაქტორების ურყეობა.

დღევანდელ დროში სარწმუნოებების როლის აღიარება სხვადასხვა დონეზე ვლინდება. ბოლო წლების განმავლობაში, ჩვეულებრივ მორწმუნე ავტორთა ინიციატივით, გამოქვეყნდა რამდენიმე ნაშრომი, სადაც საუბარია სარწმუნოებების შესაძლო წვლილის შესახებ კონფლიქტების მოგვარების საქმეში, ეს ნაბიჯი რამდენიმე კონკრეტული მაგალითითაა დასაბუთებული, როგორიცაა კათოლიკური ორგანიზაცია Sant'Egidio-ს როლი მოზამბიკში მშვიდობის დამყარების პროცესში.

თუმცა სხვა მოულოდნელმა მოქმედმა პირებმაც მიიღეს მხედველობაში რელიგიების როლი: საყურადღებოა მსოფლიო ბანკის მაგალითი, რომელიც ჯიმ უოლფენსონის (ბანკის პრეზიდენტი 1995-2005 წლებში) ინიციატივით 1990-იანი წლების ბოლოს დიალოგს აწარმოებდა რელიგიურ გაერთიანებებთან და სარწმუნოებრივ სისტემებთან. ეს ნაბიჯი იყო შედეგი იმის აღიარებისა, რომ შეუძლებელია რელიგიების ადგილისა და გავლენის უარყოფა განვითარების სფეროში. როგორც მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა კატრინ მარშალმა აღნიშნა, ამ ყველაფერს არ ჩაუვლია კამათის გარეშე: კოლეგების ნაწილი რელიგიებს მიიჩნევს უთანხმოებების მიზეზად, რომლებიც საშიშროებას უქმნიან პროგრესს და მიმართულნი არიან დაკნინებისაკენ.

უფრო და უფრო ხშირია ე.წ. `სეკულარული~ დოკუმენტები, რომლებიც სერიოზულად უდგებიან რელიგიურ ფაქტორებს: პროგნოსტიკურ მოხსენებაში, რომლის მიზანია განსაზღვროს მსოფლიოს შესაძლო ევოლუცია 2020 წლისთვის, ამერიკულმა National Intelligence Council-მა დაასკვნა, რომ `მომდევნო თხუთმეტი წლის განმავლობაში, რელიგიური იდენტობა გახდება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი თვითგდეფინიციის პროცესში.~ ამერიკული მოხსენება მხოლოდ ისლამს არ მიაკუთვნებს ამ პერსპექტივებს: ის მიანიშნებს ქრისტიანობის მოსალოდნელ გავრცელებაზე ჩინეთში, აგრეთვე მიუთითებს არადასავლური ქრისტიანული სამყაროს მნიშვნელობაზე და რელიგიური აქტიურობის ზრდაზე სხვადასხვა ტრადიციების წიაღში.

საკითხისადმი გეოპოლიტიკური მიდგომა გვახსენებს, რომ რელიგიები იჭრებიან ამ სივრცეში და მათ შორის საზღვრების გადანაცვლება აისახება საერთაშორისო ბალანსზე. ეს კარგად დავინახეთ იუგოსლავიის კონფლიქტის მაგალითზე, რომელიც ცხადია მხოლოდ რელიგიური ფაქტორებით არ შემოისაზღვრება: მაგრამ კრაინადან სერბი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის განდევნამ – მხოლოდ ეს მაგალითიც კმარა _ გამოიწვია დე რომის კათოლიციზმსა და მართლმადიდებლობას შორის არსებული საზღვრის გადანაცვლება. XX საუკუნეში, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, აფრიკის კონტინენტზე ხდებოდა ტრადიციული აღმსარებლობების მნიშვნელოვანი შემცირება და ქრისტიანობისა და ისლამის ფარტო გავრცელება: სტატისტიკა რეალობის მხოლოდ ნაწილს წარმოგვიჩენს, მაგრამ ციფრები საკმაოდ თვალშისაცემია, თუკი 1900-იან წლებში ტრადიციული აღმსარებლობები აფრიკის მოსახლეობის 58,1 % მოიცავდა, 1980 წლისთვის ეს პროცენტული მაჩვენებელი 13,9-მდე შემცირდა. იმავე დროს, ქრისტიანთა რიცხვი 9,2%-დან 44,2%-მდე გაიზარდა და ისლამის მიმდევართა _ 32%-დან 41,2%-მდე. ამ რელიგიათა გავრცელების არეალის ზრდა დღესაც გრძელდება და დღითიდღე ერთმანეთის პირისპირ უფრო მეტ ქრისტიანსა და მუსლიმს აყენებს.

თუმცა, რელიგიის მიერ მოცემული ტერიტორიის კონტროლი ხშირად იძენს სიმბოლურ ასპექტს, რასაც საერთო არა აქვს ამ ტერიტორიის სტრატეგიულ მნიშვნელობასთან. ამის საუკეთესო მაგალითია იერუსალიმი, მსოფლიოში ერთ-ერთი

ყველაზე სასურველი წმინდა ადგილი! წმინდა ადგილებზე კონტროლი არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური სივრცით, ის უფრო სხვა მნიშვნელობებს იძენს.

რელიგიური ფაქტებისადმი გეოპოლიტიკური მიდგომის სრულყოფისათვის, თითქმის ათი წელია, რაც ახალი ტერმინი შემოვიღეთ, რომლის კვლევის ცენტრში მოვაქციეთ რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთგავლენა: `თეოპოლიტიკა~ - ამ ნეოლოგიზმის შემოტანა მიზნად ისახავდა უფრო შორს წავსულიყავით, ვიდრე რელიგიათა სივრცეში მოქმედების ანალიზია.

სიმართლე რომ ვთქვათ, უკეთესი იქნებოდა გვესაუბრა თეოსტრატეგიაზე, თუკი `სტრატეგიას~ არ განვიხილავთ მხოლოდ სუფთა სამხედრო მნიშვნელობით, არამედ როგორც სხვადასხვა საშუალებებისა და რესურსების ამოქმედებას გლობალური მიზნების მისაღწევად.

რელიგიურ დაჯგუფებას შეუძლია განახორციელოს განსაზღვრული სტრატეგიები, ანდა შეიმუშვოს იმგვარი სტრატეგია, რომელიც პასუხს გასცემს მის წინაშე მდგარ პრობლემებს.

თავის მხრივ, სახელმწიფომ მხედველობაში უნდა მიიღოს რელიგიების ფაქტორი საკუთარი სტრატეგიის შემუშავებისას, უფრო იმიტომაც, რომ რელიგიური გაერთიანებები ისწრაფვიან შექმნან პოლუსები სამოქალაქო საზოგადოებიში, რომლებიც ყოველთვის ადვილად არ ემორჩილებიან სახელმწიფო ხელისუფლებას იმ კონტექსტში, რაშიც ეს უკანასკნელი მთლიანი საზოგადოების კონტროლს ცდილობს. ზოგიერთი რელიგიური ორგანიზაცია შესაძლებელია, პირიქით, ხელიხუფლების მოკავშირედ იქცეს. ხშირად იქნა წარმოჩენილი მეჩეთების შესაძლო როლი, ერთის მხრივ როგორც უთანხმოებების კერებისა, ხილო მეორეს მხრივ _ პოლიტიკური ძალაუფლების დასაყრდენის.

სახელმწიფოს შეუძლია ერთი ან ორი რელიგიური დაჯგუფება გამოიყენის თავისი სტრატეგიული მიზნებისთვის. ცივი ომის პერიოდში აღმოსავლეთის ქვეყნების

ქრისტიანული გაერთიანებების შესვლა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში საბჭოთა ხელისუფლების სურვილით მოხდა, საკუთარი პროპაგანდის მიზნით.

სხვა მხრივ, ყველასთვის კარგადაა ცნობილი ჰიპოთეზა იოანე-პავლე II-სა და რონალდ რეიგანს შორის კომუნიზმის დაცემის მიზნით შექმნილი მიზნობრივი ალიანსის როლის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ პარტნიორებს – სახელმწიფოსა და ეკლესიას _ ნაწილობრივ განსხვავებული მიზნები აქვთ, მაშინაც კი თუ ძალთა თანაფარდობა განსხვავებულია.

თეოპოლიტიკური ფენომენი შეგვეძლია განვიხილოთ სამი კუთხით:

1) გლობალური თუ რეგიონალური ბალანსი რელიგიურ გაერთიანებებსა და რელიგიურ სისტემებს შორის, ასევე მათი პოლიტიკური შედეგები;
2) რელიგიური დაჯგუფებებისა თუ ორგანიზაციების გლობალური თუ ადგილობრივი საქმიანობის პოლიტიკური შედეგები მათი ინტერესისა და გავრცელების არეალის გაზრდის მიზნით, ასევე კონკურენცია რელიგიურ მიმდინარეობებს შორის;
3) გავლენა, რომლის მოპოვებასაც ცდილობენ რელიგიები თუ რელიგიური ჯგუფებები პოლიტიკაში, და პირიქით _ სახელმწიფოების თუ პოლიტიკური ჯგუფებისა მცდელობა რელიგიური ორგანიზაციების თუ რელიგიური სისტემების ინსტრუმენტალიზაციისათვის.

არსებობს შემთხვევები, როდესაც ეროვნული თუ ეთნიკური კუთვნილება ჯაბნის საერთო რელიგიურ იდენტობას: სლოვაკ და უნგრელ კათოლიკეებს შორის ურთიერთობების ანალიზისას (სლოვაკეთში მრავალი უნგრელი ცხოვრობს), ტიმოთი ბერნსი ადგენს, რომ უნგრულ და სლოვაკ ეკლესიებს აქვთ საერთო მიზნები და საზრუნავები, მაგრამ ისინი `გაჟღენთილნი არიან ეროვნული კუთვნილებებით, რომლებზეც ღრმადა არიან მიჯაჭვულნი~. 1997 წელს ბერნსის მიერ გამოკითხული უნგრელ ეპისკოპოსთა კონფერენციის წარმომადგენელი აცხადებს: `სლოვაკი ეპისკოპოსები პირველ რიგში სლოვაკები არიან, შემდეგ ქრისტიანები, და მხოლოდ ამის მერე _ ეპისკოპოსები.~

ამერიკელ მკვლევარს აქვს შეგრძნება, რომ სლოვაკი ეპისკოპოსებისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს მათ ქვეყანაში უნგრული უმცირესობის აღიარება _ იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი დაკმაყოფილდება სლოვაკეთის კათოლიკურ ეკლესიის შემადგენლობაში ყოფნით: კათოლიკური იდენტობა ვერ ახერხებს ეროვნული განსხვავებების გადალახვას. რომის კათოლიციზმის გლობალური სტრატეგიების გვერდით არსებობს ეროვნული და ადგილობრივი ადათებით წარმოქმნილი წინააღმდეგობები.

რელიგიურ მოსაზრებებს თავისი წვლილი შეაქვთ პოლიტიკური ნაბიჯების განსაზღვრაში, თუმცა ამის აღიარება ყოველთვის არ ხდება. ამჟამინდელი დებატები ევროკავშირში თურქეთის შესაძლო გაწევრიანების შესახებ ამის საინტერესო ილუსტრაციას გვთავაზობს. თურქეთის მიღების შესახებ კამათი კი წარმოშობს ადამიანის უფლებებთან თუ ეკონომიკურ შედეგებთან დაკავშირებულ პრობლემებს, მაგრამ თითოეულმა კარგად იცის, რომ მუსლიმური სახელმწიფოს ევროკავშირში მიღების საკითხი მწვავე პრობლემებს მოიცავს, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსები ბრიუსელში ამაზე ხმამაღლა არ საუბრობენ.

სიტუაციას ის ართულებს, რომ ქრისტიანული რწმენა სულაც არ უკავშირდება ავტომატურად თურქეთის გაწევრიანებისადმი წინაარმდეგობას: Sant'Egidio-ს ორგანიზაციის დამაარსებელი ანდრეა რიკარდი აცხადებს, რომ `თურქეთი ჩვენი ევროპის ნაწილია~ და რომ ევროპას სჭირდება თურქეთი ბალკანეთის პრობლემების გადასაჭრელად, კერძოდ: `აღმოსავლეთ ევროპას ორი პოლუსი, ორი სული აქვს: ოტომანური და სლავური.~

რამდენიმე რელიგიური ტრადიციის გასაყარზე არსებულ ზონებში მოსახლეობის მოძრაობა და შედეგად მიღებული რელიგიური რუკის ტრანსფორმაცია ბევრ საზრუნავს აჩენს. ამგვარად, ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ბანდლადეშის საზღვარზე, ინდოეთის ხელისუფლება აშენებს ბარიერს, რომელსაც უკვე ამ საზღვრის მესამედი, 4.800 კმ-ზე მეტი უჭირავს.

ინდოეთის ნახევარკუნძულის გარეთ ამაზე ცოტა ადამიანი თუ საუბრობს, რადგან ეს ბარიერი იგება ისეთ რეგიონში, სადაც ტურისტები ნაკლებად მოძრაობენ; მიზანი კი

ექსტრემისტების ფარული გასასვლელების ჩაკეტვაა _ ამ ზონაში მეამბოხეებისა და ემიგრანტების რიცხვი საკმაოდ მაღალია _ უამრავი ბანგლადეშელი მოისწრაფის აქ უკეთესი ცხოვრების საძებრად. მაგრამ ამ მიზეზების უკან ჩნდება მესამე მიზეზი: ინდოელთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელთა შიში ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში მუსლიმური მოსახლეობის რიცხვის ზრდის წინაშე (კერძოდ, ასამში), რაც აუცილებლად დაარღვევს პოლიტიკურ ბალანსს.

კონსტანტინოპოლი ტერიტორიალური სიმცირის კომპენსირებას ახდენს მართლმადიდებლურ დიასპორაში თავისი როლის გაზრდით. ყოფილი საბჭოთა სივრცის ხელახალი მოწყობა ახალ შესაძლებლობებს აძლევს იმ ქვეყნებს, რომლებიც კონსტანტინოპოლთან დაახლოებაში სასარგებლო პერსპექტივებს ხედავენ.

იშვიათი არაა, როცა ქვეყნები რელიგიურ გავლენაში პოლიტიკური მნიშვნელობის საფრთხეს ხედავენ. ამგვარად, ჩინეთის ხელისუფლება ეჭვით უყურებს მის ტერიტორიაზე უცხოელთა შემოსვლას; დღეს ისინი მზად არიან სცნონ კათოლიკური თუ პროტესტანტული ეკლესიები, მაგრამ ყოველთვის ფხიზლად ხვდებიან რელიგიურობის "უკონტროლო" გამოვლინებებს (Falun Gong - ი ამის ერთ-ერთი მაგალითია); სამაგიეროდ, გამორიცხულია უცხოური ცენტრის გავლენის დაშვება, სწორედ აქედან გამომდინარეობს რომის დაქვემდებარებაში მყოფი კათოლიკური ეკლესიის აკრძალვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთი გახდება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა მსოფლიო რელიგიური რუკის მოდიფიკაციაში უახლესი ათწლეულების მანძილზე: კათოლიკეები, სხვადასხვა პროტესტანტები და მართლმადიდებლები _ მხოლოდ ამ უდიდესი ქრისტიანული კონფესიების ჩამოთვლაც კმარა _ ცდილობენ იქ ჩამოაყალიბონ შესაბამისი სტრუქტურები თავიანთი სწავლების გასავრცელებლად.

მისიონერული გეგმები, ხშირად იწვევს მწვავე რეაქციებს: პროზელიტიზით გამოწვეული კონფლიქტები წარმოადგენს რეალობას, რომელიც წლების მანძილზე კვლავ ინარჩუნებს თავის სიმწვავეს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში. როგორც ამერიკელი ისტორიკოსი მარტინ მერტი აღნიშნავდა, `როდესაც ადამიანები ახორციელებენ

პროზელიტიზმს, ისინი აღარ წარმოადგენენ მხოლოდ რაიმე იმპულსსა თუ ემოციას, არამედ მთელ სამყაროს. მათი შუამავლობით ერთი სამყარო წინ მიიწევს და თავს ესხმის მეორეს.~

მისიონერული საფრთხის იდეა ვრცელდება ზოგიერთ ბუდისტურ რეგიონში, კერძოდ შრი-ლანკაზე _ სადაც დღესდღეისობით პოლიტიკური ჯგუფების მიერ ხდება კანონპროექტის შეთავაზება რელიგიის შეცვლისათვის ბარიერის შესაქმნელად _ ასევეა, ინდოეთში. ინდუისტი აქტივისტები დიდი ხანია ეწინააღმდეგებიან ქრისტიან მისიონერებს. რამდენიმე წლის წინათ, ვიშნა ჰინდუ პარიშადის (VHP) შტაბ-ბინაში ვიზიტისას ორი ბროშურა გადმოგვცეს: Church Conspiracy in Guise of Servise da Ban Proselytisation and Avert Desintegration. პირველ მათგანში მოყვანილია ევანგელისტური ტექსტები ინგლისურ ენაზე, რათა გვიჩვენონ, Arunashal Pradesh-ისგან უმოკლეს დროში ისეთი შტატის შექმნის გეგმა, რომლის მოსახლეობის უმრავლესობა ქრისტიანი იქნება. ანალოგიური მტკიცებულებები იყო წარმოდგენილი ინდოეთის სხვა შტატების მიმართაც, ისევ და ისევ ევანგელისტურ ლიტერატურაზე დაყრდნობით, რომელიც ეფექტურად ადგენს გეგმებს, მაგალითად ამგვარს: "2010 წლისთვის ბიჰარში 10000-ზე მეტი ეკლესია უნდა არსებობდეს". რაც შეეხება მეორე ბროშურას, იგი ქრისტიანულთან ერთად მუსლიმური პროზელიტიზმის პრობლემასაც აყენებს და აღნიშნავს, რომ თვით ინდუსი ერის არსებობას უქმნის საფრთხეს "უცხო რელიგიების შემოტევა".

მისიონერთა მოწინააღმდეგე აქტივისტები იშვიათად უპირისპირდებიან პროზელიტიზმს რელიგიური დოგმების სახელით: დაპირისპირების ასახსნელად მათ სხვა არგუმენტები მოჰყავთ და ამ მისიებში ხედავენ საფრთხეს ნაციონალური იდენტობისა და ერთიანობისათვის. სარწმუნოების შეცვლის მიღმა, მოსალოდნელია ცივილიზაციათა საზღვრების შეცვლაც, და ფაქტი, რომ ზოგჯერ ეს საზღვრები მკაფიოდ არაა განსაზღვრული, არანაირად არ უწყობს ხელს შიშის შემცირებას _ პირიქით, შესაძლებელია, სწორედ ორიენტირების დაკარგვა აძლიერებს მას. დაძაბულ სიტუაციებში, მისიონერული მოღვაწეობის შედეგები ადამიანთა გარკვეული რიცხვის მოცემულ სარწმუნოენაზე მოქცევით არ შემოიფარგლება: თავად მისიების არსებობა აღრმავებს "ცივილიზაციათა

შეჯახების" განცდას. ხანდახან ამას უცნაურ ხელშეკრულებებამდეც მივყავართ, როგორიცაა 1997 წლის დეკემბერში რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მიერ შექმნილი შერეული კომისიის მიერ ხელმოწერილი ერთობლივი დეკლარაცია, რომელიც გმობს "პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დომინირების სამსახურში მყოფ ფსევდომისიონერულ საქმიანობას".

დასავლეთში სხვაგვარად აფასებენ მისიონერული საქმიანობით გამოწვეულ რეაქციებს, როგორც სარწმუნოებრივი პროპაგანდის თავისუფლების შეზღუდვას. ამგვარად, ასპარეზზე გამოდის რელიგიური თავისუფლების თემა, რომელიც ხდება მნიშვნელოვანი საკითხი საერთაშორისო ურთიერთობებში. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (OSCE) მას რამდენიმე კონფერენცია მიუძღვნა. 1999 წლიდან აშშ-ში ქვეყნდება Annual Report on International Religious Freedom.

ეს 1998 წელს კლინტონის მიერ ხელმოწერილი "რელიგიური თავისუფლების საერთაშორისო აქტის" International Religious Freedom AAct (IRFA)-ის შედეგია. ეს აქტი იყო რეზულტატი იმ რელიგიური ჯგუფების ლობირებისა, რომლებიც პოლიტიკური მხარდაჭერით სარგებლობდნენ. პირველწყაროს წარმოადგენდა 1997 წლის მაისში რესპუბლიკელი პარლამენტარების მიერ წამოყენებული პროექტი Freedom from Religious Persecution Act-ის შესახებ.

მიუხედავად პარლამენტარების დიდი მხარდაჭერისა, პირველ პროექტს მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ, რადგან ავტომატურ სანქციებს შეეძლო რელიგიური დევნის გარემოებებზე ემოქმედა, რაც იმას ნიშნავდა, რომ პრეზიდენტსა და ამერიკულ დიპლომატიას მოქმედების შეზღუდული სივრცე რჩებოდა; ამას შესაძლოა მოჰყოლოდა მნიშვნელოვანი შედეგები კომერციული ოპერაციების სფეროში. IRFA კი, პირიქით, კომპრომისის ტექსტია, რომელსაც Freedom from Religious Persecution Act-ის მოწინააღმდეგეებმაც დაუჭირეს მხარი: IღFA ერთხმად იქნა მიღებული სენატის მიერ 1998 წლის 9 ოქტომბერს. მან დააკმაყოფილა რელიგიური თავისუფლებისთვის მებრძოლები და არ დააზიანა ამერიკის კომერციული ინტერესები. ეკონომიკური სანქციები ავტომატურნი არ არიან, არამედ წარმოადგენენ ერთ-ერთს რა მდენიმე საშუალებიდან.

მოხსენება ყოველწლიურად ქვეყნდება და მიმოიხილავს რელიგიური თავისუფლების თვალსაზრისით მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებულ სიტუაციას, გარდა ამერიკის შეერთებული შტატებისა. ეს დოკუმენტები აღწერენ რელიგიურ თავისუფლების მდგომარეობას როგორც `აშშ-ს საგარეო პოლიტიკის უმთავრეს ელემენტს~ (2003), `არსებით ზომას სტაბილური პოლიტიკური სისტემის შექმნისა და შენარჩუნებისთვის~ (2004). ამგვარად, რელიგიური თავისუფლების დაცვა სახელმწიფოს დიპლომატიური იარაღი ხდება.

ეს ნაბიჯი, ნაწილობრივ, ზოგიერთი რელიგიური ჯგუფის საქმიანობის ნაყოფია. ამერიკელი კონსერვატორების რელიგიური წრეების ქმედებები ნამდვილად ახდენს გავლენას აშშ-ს საგარეო პოლიტიკაზე, დღესდღეისობით, შესაძლებელია, უფრო მეტადაც: `ისინი აქტიურად და მზარდი სახით არიან ჩართული ამერიკის პოლიტიკის ფართო პალიტრაზე გავლენის მოსახდენად, ამაში იგულისხმება ისრაელის მხარდაჭერაც, შეიარაღების კონტროლი და თავდაცვა, ისევე როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და გაეროს დაფინანსება~. აქტივისტების ეს უმცირესობა ეყრდნობა ამერიკული მოსახლეობის არცთუ უმნიშვნელო რაოდენობას და მასმედიის ქსელს, რომელიც ავრცელებს მათ შეხედულებებს.

ამგვარად ახერხებენ რელიგიები სახელმწიფო პოლიტიკაზე გავლენის მოპოვებას.

თუ კვლავ ჩრდილოეთ ამერიკას მივუბრუნდებით, ყველაზე საინტერესო მაგალითი არის ზოგიერთ ევანგელისტურ მიმდინარეობებში ისრაელის ამჟამინდელი სახელმწიფოს მიმართ არსებული სიმპათია, რადგანაც ის ინტერპრეტირებულია, როგორც მეორედ მოსვლის წინმსწრები ბიბლიური წინასწარმეტყველებების აღსრულება. თუკი ეს ფაქტორი არ კმარა ახლო აღმოსავლეთში ამერიკის პოლიტიკის განსასაზღვრავად, ამის მხედველობაში არ მიღება მაინც შეუძლებლია.

საქმე არ ეხება იმის მტკიცებას, რომ ამერიკის პოლიტიკა პირველ რიგში ორიენტირებულია ამგვარი შეხედულებებით: ეს მხოლოდ კარიკატურა იქნებოდა, ანდა გამარტივების მცდელობა, რაც დღეს ხშირად ხდება ამ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა ეს ელემენტები უცხო არაა იმ პოლიტიკოსთა აზროვნებისათვის, რომლებიც "ებრაელთა დაბრუნების", როგორც დროების ნიშნის, შესახებ სპეკულაციების გავლენის ქვეშ იმყოფებიან, სპეკულაციებისა, რომლებსაც უკვე გრძელი ისტორია აქვთ ანგლო-საქსონურ ქრისტიანობაში.

საინტერესოა, აქვე აღინიშნოს, რომ ამერიკული პოლიტიკური სისტემა, იურიდიულად, წარმოადგენს რელიგიისა და სახელმწიფოს მკაცრი გამიჯვნას, ბევრად უფრო მკაცრს, ვიდრე ევროპის ქვეყნებში, თუმცა ეს სულაც არ უშლის ხელს რელიგიების გავლენას.

რელიგიურ ჯგუფებს შეუძლიათ საკუთარი გლობალური პოლიტიკის გატარება, ამაში იგულისხმება საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროც თავისი კლასიკური მნიშვნელობით, თუ წმინდა საყდრის (ვატიკანი) მაგალითზე ვიმსჯელებთ. რომის კათოლიკურ ეკლესიას, წმინდა პოლიტიკურ პლანზე, ფასდაუდებლი უპირატესობა აქვს, იგი ფლობს სახელმწიფოს, რაც არ უნდა მცირე იყოს ეს უკანასკნელი: ვატიკანი, მსოფლიოს ყველაზე პატარა სახელმწიფოა, თავისი 44 ჰექტარით (მონაკოს სამთავროს მესამედზე ნაკლები) და ქვეშევრდომებით, რომელთა მოქალაქეობა ექსკლუზიურად დაკავშირებულია წმინდა საყდრის სამსახურში მათი თანამდებობრივი მოვალეობის აღსრულებასთან.

წმინდა საყდარი წარმოდგენილია საერთაშორისო ორგანიზაციებში და დიპლომატიურ ურთიერთობები აქვს მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობასთან ნუნციატურებისა თუ ვატიკანში აკრედიტირებული საელჩოების საშუალებით.

დღეს ვატიკანს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს 174 ქვეყანასთან, მაშინ როცა 1978 წელს მათი რიცხვი 92 იყო. ასეთი განვითარება მიანიშნებს ინტერესზე, რომელსაც სახელმწიფოები იჩენენ რელიგიების შესაძლო როლის მიმართ საერთაშორისო დონეზე. მათ რიცხვში თვალშისაცემია რამდენიმე ქვეყნის არყოფნა, განსაკუთრებით კი ჩინეთის,

ვიეტნამისა და საუდის არაბეთის. ბენედიქტ XVI-ის ერთ-ერთი ამოცანაა სწორედ ამ სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბება. საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩინეთის შემთხვევაში: წმინდა საყდარს დიპლომატიური ურთიერთობები აქვს ტაივანთან და იოანე-პავლე II-ის დაკრძალვის ცერემონია ამ ქვეყნის სახელმწიფო მეთაურისთვის წარმოადგენდა ოფიციალური ვიზიტის უიშვიათეს საშუალებას ისეთ ადგილას, სადაც თავს იყრის უამრავი სახელმწიფოს მეთაური. ტაივანი ფხიზლად ადევნებს თვალყურს წმინდა საყდრის დიპლომატიურ მცდელობებს ჩინეთის მიმართ.

ეს უკანასკნელი ვატიკანისგან მოითხოვს ტაივანთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას. ეს, ალბათ, ძვირი არ დაუჯდებოდა რომს: სულ სხვაგვარადაა საქმე ჩინელთა მოთხოვნებთან დაკავშირებით ჩინეთის ტერიტორიაზე კათოლიკეთა საქმეებში ჩაურევლობის შესახებ, რაც მიუღებელია რომის კათოლიკური ეკლესიის სტრუქტურის თვალსაზრისით. საინტერესო პარტია თამაშდება ამ ორ სრულიად განსხვავებულ სახელმწიფოს შორის, რომლებიც განხვავდებიან, როგორც არსით, ასევე სიდიდით, მაგრამ ერთსაც და მეორესაც ხანგრძლივი პერსპექტივების კარგი ხედვა გააჩნიათ....

წმინდა საყდარი თავს კარგად გრძნობს გლობალიზაციის კონტექსტში, რადგან მას ყოველთვის გააჩნია ის პერსპექტივა, რომელიც სცდება სახელმწიფოებრივ საზღვრებს. რომის ეკლესიის პოლიტიკას სამიზნედ აქვს მთელს მსოფლიოში არსებული სიტუაცია და ცდილობს შეაფასოს თავისი საქმიანობის თუნდაც შორეული შედეგები: `პაპი უნდა ფლობდეს უნივერსალურ გეოგრაფიას~ _ განუცხადა იოანე-პავლე II-მ ჟურნალისტებს.

სახელმწიფოებთან პირდაპირი ურთიერთობებთან ერთად ჰქონდა, წმინდა საყდარი საკმაოდ დიდ ყურადღებას იჩენს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობების მიმართ: ეს საშუალებას აძლევდა რომს განეხორციელებინა თავისი პოლიტიკა მისთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით. საქმე მხოლოდ რელიგიურ თავისუფლებას არ ეხება: პაპის ტახტი ინტერესდება ისეთი საკითხებითაც, როგორიცაა

შეიარაღებაზე კონტროლი. წმინდა საყდარი აკრედიტირებულია საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელთა რიცხვი საკმაოდ შთამბეჭდავია.

სხვა მხრივ, ადგილობრივი წესების მიხედვით, ცალკეული სახელმწიფოების ეპისკოპატებს შეუძლიათ საკუთარი პოლიტიკური როლი ითამაშონ და გავლენა იქონიონ საერთაშორისო მოვლენებზე.

რელიგიური საკითხების ცნობილი მკვლევარი ფრანგი სოციოლოგი ემილ პულა შთამბეჭდავად საუბრობს "ეკლესიოსფეროს"-ის შესახებ: ეს არის რომის კათოლიკური ეკლესიის გავლენისა და მოქმედების სფერო, რომელიც "აიძულებს სახელმწიფოებს ანგარიში გაუწიონ მას". ეს სფერო არ შემოიფარგლება რელიგიური საკითხებით; და ის არ ისწრაფვის შეერიოს დიდ იდეოლოგებს, როგორებიცაა სოციალიზმი, ანდა ლიბერალიზმი. მაშინაც, თუკი ის ხდება მთავარი მოქმედი პირების მიზნობრივი მოკავშირე რომელიმე საგანგებო სიტუაციასთან მიმართებაში, წმინდა საყდრის სტრატეგია სხვა კრიტერიუმებით განისაზღვრება.

თუკი არცერთ სხვა რელიგიას არა აქვს წმინდა საყდრის მსგავსი სტრუქტურა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არა-კათოლიკეები გულგრილნი არიან იმის მიმართ, რაც ხდება საერთაშორისო პოლიტიკურაში და არ ცდილობენ იქ თავიანთი ხმის მიწვდენას. ევროპას თუ არ გავცდებით, ის ეკლესიებიც კმარა, რომლებმაც ბრიუსელში თავიანთი წარმომადგენლობითი ბიუროები განათავსეს. შეუძლებელია, აქ იმის აღწერა, თუ რა საქმიანობას ეწევიან პროტესტანტული და მართლმადიდებლური ეკლესიები ევროპის კონტინენტზე თუ მის გარეთ.

აგრეთვე ეკუმენურ ინსტიტუციებს შეუძლიათ განახორციელონ საკუთარი დიპლომატია. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ერთი დოკუმენტი წარმოგვიდგენს მოქმედების სხვადასხვა გზებს, რომლებსაც ეს ორგანიზაცია იყენებდა საერთაშორისო ურთიერთობებში: მსოფლიოში მოვლენათა განვითარების ინტერპრეტაცია და ანალიზი (იმ ფარგლებში, რაც ეკლესიებს ეხება); ეკლესიების მიერ წარგზავნილი დელეგაციები და ეპისკოპოსთა ვიზიტები კრიტიკულ სიტუაციებში; სიტუაციების ადგილზე შესასწავლად წარგზავნილი

ეკუმენური ჯგუფები; მთავრობებისათვის კონფიდენციალური მიმართვები; არასამთავრობო ორგანიზაციებთან არსებული წარმომადგენლობები; მოქმედი ჯგუფების მხარდაჭერა ადამიანთა უფლებების დაცვასა და კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების საკითხში. დიდი ხანია, რაც ეკლესიათა მსოფლიო საბჭო აქტიურად მონაწილეობს გაეროს საქმიანობაში და მრჩევლის სტატუსით სარგებლობს გაერთიანებული ერების სპეციალიზებულ სააგენტოებთან; 1948 წელს მან საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი კომისიაც კი შექმნა. ემს-ს საქმიანობა შეზღუდულია იმით, რომ იგი არის ეკლესიების წარმომადგენლებისგან შექმნილი ასოციაცია: კონკრეტულ სიტუაციაში, მისთვის რთულია მხარი დაუჭიროს მისი წევრი ნაციონალური ეკლესიის გეგმებს _ დღეს მას ხშირად საყვედურობენ უყურადღებობას საბჭოთა რეჟიმის დროს მორწმუნეთა დევნის მიმართ, რათა არ შეწინაღმდეგებოდა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიისა და მაშინდელი სხვა კომუნისტური ქვეყნების ეკლესიათა ოფიციალურ პოზიციებს. წევრი ეკლესიის მხარდასაჭერად საჭიროა სხვა წევრი ეკლესიების კონსენსუსი, რაც ზოგჯერ ხდება კიდეც, მაგალითად რუანდას შემთხვევაში.

ქრისტიანულის გარდა არსებობენ სხვა მოწოდებით საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგრამ ისინი იგივე შეზღუდვებს განიცდიან, რასაც ეკლესიათა მსოფლიო საბჭო.

ისლამური კონფერენცია, რომელიც 1969 წელს დაარსდა, მაგრამ იგი აერთიანებს სახელმწიფოებს და არა რელიგიურ ინსტიტუციებს; ის ხელს უწყობს ამ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს და კულტურულ თუ ეკონომიკურ კავშირებს. სამაგიეროდ, არსებობს სხვა საერთაშორისო ისლამური ორგანიზაციები: მუსლიმთა მსოფლიო კონგრესი (მუ'თამარ ალ-ალამ ალ-ისლამი), რომელიც შეიქმნა პაკისტანის ინიციატივით 1950-იან წლებში; მუსლიმთა მსოფლიო ლიგა (რაბითათ ალ-ალამ ალ-ისლამი) ასპარეზზე გამოვიდა 1962 წელს და მას მხარს უჭერს საუდის არაბეთი; Islamic Call Society ლიბიის პატრონაჟის ქვეშაა და დღეს განსაკუთრებულ მონაწილეობას იღებს აფრიკაში მიმდინარე მოვლენებში. ამ ორგანიზაციათა უმრავლესობას მჭიდრო კავშირი აქვს სახელმწიფოებთან (ფინანსური დამოკიდებულება), რაც აშკარად განსაზღვრავს სტრატეგიებს. არაა საჭირო ამ სურათის ძალიან გამარტივება, რადგან რაიჰარდ შულცის მიერ მუსლიმთა მსოფლიო ლიგის

დეტალურმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამ უკანასკნელმა რამდენიმე მიმდინარეობა გააერთიანა და მიუხედავად იმისა, რომ მატერიალურად დამოკიდებულია საუდის არაბეთის გულუხვობაზე, არა მხოლოდ ისარგებლა ამ ქვეყნის მხარდაჭერით, არამედ სხვა მუსლიმურ გაერთიანებებს თავიანთი გავლენის გაზრდის საშუალებაც მისცა.

შეინიშნება ინდუისტური და ბუდისტური საერთაშორისო ორგანიზაციების მცდელობებიც, რომლებიც ქრისტიანული მისიონერული საქმიანობის საპასუხოდ წარმოიშვნენ; ისინი წარმოადგენენ საკონსულტატიო და საკონტაქტო სტრუქტურებს, რომლებსაც, რა თქმა უნდა, არ აქვს იმხელა ძალაუფლება, რაც გააჩნია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს თავის წევრებზე. World Fellowship of Buddists-ის პირველი კონგრესი შრი-ლანკაში შედგა 1950 წელს, მისი ძირითადი შტაბ-ბინა 1963 წლიდან ტაილანდშია განთავსებული, იგი იღწვის `დედამიწაზე ბედნიერების, ჰარმონიისა და მშვიდობისათვის~, მაგრამ პრაქტიკაში წარმოადგენს შეხვედრებისა და გაცვლების ფორუმს. ინდუისტთა VHP (ვიშნა ჰინდუ პარიშადი) კი, თავის მხრივ, მჭიდროდაა დაკავშირებული ინდუსთა ნაციონალურ მოძრაობასთან და წარმოადგენს, ასე ვთქვათ, მის რელიგიურ განშტოებას, გავლენა აქვს როგორც ინდოეთში, ასევე დიასპორების ინდუისტურ გაერთიანებებში, სადაც მისი ფილიალებიც არსებობენ.

ლექცია 12. ეროვნული ინტერესები და ეროვნული უსაფრთხოება

პოლიტიკა - ინტერესთა რეალიზების ტექნოლოგიაა. შესაბამისად გეოპოლიტიკა, რომლის მთავარი სუბიექტი (აქტორი) სახელმწიფოა პრაგმატული ინტერესის მიღწევის ტექნოლოგიაა. რადგან სახელმწიფო, როგორც წესი, საზოგადოების, ერის ინტერესების გამომხატველია, ეს უკანასკნელი თავისი მნიშვნელობით კიდევ უფრო დაიტვირთა და მას ეროვნული ინტერესები ეწოდა.

ეროვნული ინტერესების არსი ნათლად იქნა წარმოჩენილი ცნობილი ამერიკელი გეოპოლიტიკოსის ჰენრი მორგენტაუს წიგნში „ეროვნული ინტერესების დასაცავად“, რომელიც 1948 წელს გამოვიდა.

პოლიტიკურ ლიტერატურაში არსებობს დისკუსია ეროვნული, პიროვნული, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესების იდენტურობის შესახებ. ბევრი სოციოლოგი, მაგალითად, თვლის, რომ ადამიანის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა. რეალურად ეს ასეც არის (მაგალითად შეიძლება ავიღოთ ტერაქტი ან ტყვედ აყვანის შემთხვევები. ცალკეულ ადამიანებს აინტერესებთ სიცოცხლის შენარჩუნება თავიანთი ნათესავებისათვის, საზოგადოება მოითხოვს ოპერაციის დასრულებას, ხოლო სახელმწიფო ცდილობს ისე მოაგვაროს პრობლემა რომ ის პრეცედენტად არ იქცეს სხვა ტერაქტებისთვის).

მაგრამ გეოპოლიტიკაში, როგორც წესი, ცდილობენ პოლიტიკის ფილოსოფოსის, მიხეილ ილინის თეზისიდან ამოვიდნენ, რომლის მიხედვით „ეროვნული ინტერესი ორი კომპონენტის: ტერიტორიული სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ინტერესთა ერთობლიობაა“. ანუ, სახელმწიფო ინტერესი არ ეწინააღმდეგება ეროვნულს, პირიქით, ამიტომ მას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების მნიშვნელობით ვიყენებთ.

ეროვნული ინტერესების ძირითადი შემადგენელი - სახელმწიფოს სუვერენიტეტია, ე.ი. საშინაო და საგარეო საქმეებში სრული დამოუკიდებლობა - წყობისა და ცხოვრების წესის თავისუფალი არჩევანის უფლებაა. ეროვნული ინტერესები, როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური კატეგორიაც არის. ობიექტური იმიტომ, რომ ის სახელმწიფოს

ობიექტური რეალიებით იკვებება. სუბიექტური კი იმიტომ, რომ ინტერესების რეალიზებას ძირითადად ლიდერები ახდენენ თავიანთი უნარისა და ხედვის შესაბამისად. გარდა ამისა, ეროვნული ინტერესი, როგორც წესი უკიდურესად იდეოლოგიზირებულია და ყოველთვის საზოგადოების განსაზღვრულ სტერეოტიპებს ეფუძნება - განსაზღვრავს რა ხალხის ქცევასა და მოღვაწეობას. ის შეიძლება არარეალისტურიც იყოს, შეიძლება არ ითვალისწინებდეს გეოპოლიტიკის სხვა სუბიექტების ეროვნულ ინტერესებს და ა.შ. ფაშისტურმა გერმანიამ მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებისას არ გაითვალისწინა სხვადასხვა სოციალური ფორმაციების სახელმწიფოთა მონაწილეობით ეფექტური ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნის შესაძლებლობა.

ეროვნული ინტერესები ისტორიული გამოცდილებების, სახელმწიფოს პოტენციალის, მისი რესურსების, სამხედრო შესაძლებლობებისა და გეოპოლიტიკური რეალიების შესაბამისად ყალიბდება. მათი უზრუნველყოფა ხდება სახელმწიფოში არსებული ყველა საშუალებებითა და რესურსებით: პოლიტიკური, იდეოლოგიური, ეკონომიკური, დიპლომატიური, სამხედრო და ა.შ. „საგარეო პოლიტიკის მიზნები ეროვნული ინტერესების ტერმინებში უნდა განისაზღვროს და მხარდაჭერილი იქნას სახელმწიფოს ძალით“. ის ელიტის საქმიანობის საფუძველიცაა. ცვლილება უმაღლეს ეშელონებში არაერთხელ გამხდარა გეოპოლიტიკური პრიორიტეტების ცვლის მიზეზი.

ინტერესები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მნიშვნელობის მიხედვით - ძირითადთან ერთად არსებობს მეორე ხარისხოვანი და კონიუნქტურული (მოცემულ სიტუაციაში შექმნილი). მაგალითად, აშშ ცდილობდა ერაყის პრეზიდენტი, ხუსეინი დემოკრატიის მტრად წარმოეჩინა, ამის საფუძველზე ის აყალიბებდა თავის მთავარ ამოცანას: ჩამოეშორებინა ის ხელისუფლებისგან, თუმცა, მთავარი მიზანი რესურსებით მდიდარი რეგიონის გავლენის ქვეშ მოქცევა იყო. ეროვნული ინტერესი - ყოველთვის ერთი სუბიექტის ინტერესია, მაშინაც კი, როდესაც მასში სხვა სახელმწიფოს ინტერესებია გათვალისწინებული, აბსოლუტურია მხოლოდ ინტერესის ეროვნული შემადგენელი. ეს განსაკუთრებულად ვლინდება ანგლოსაქსთა გეოსტრატეგიაში. გაიხსენეთ, თავის დროს

ინგლისის მსოფლიო ჰეგემონობას უზრუნველყოფდა ლოზუნგი: ინგლის არ ჰყავს მუდმივი მოკავშირეები, მას მუდმივი მხოლოდ ინტერესები გააჩნია.

რუსეთთან მიმართებაში არსებული დიპლომატიური რიტორიკის მიუხედავად, აშშ ეროვნული ინტერესები ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოდის რუსეთის პოზიციებთან:

ჯერ ერთი, რუსეთი მხარს უჭერს მრავალპოლარობას, ხოლო აშშ ცდილობს თავისთვის დომინირებული პოზიციების უზრუნველყოფას მსოფლიოში;

მეორე, რუსეთი ცდილობს საერთაშორისო უსაფრთხოების ეფექტურობის ამაღლებას გაეროსა და ეუთოს ხარჯზე. აშშ ფსონჩრდილო ატლანტიკურ ალიანსსა და თავის ეროვნულ ძალებზე დებს;

მესამე, რუსეთი ალიანსის (NATO) აღმოსავლეთით გაფართოების წინააღმდეგია. აშშ კი მხარს უჭერს ამ პროცესს;

მეოთხე, დსთ როგორც რუსეთის, ასევე აშშ ინტერესების ზონად იქცა;

ეროვნული უსაფრთხოების ცნება გეოპოლიტიკურ ლექსიკონში პირველად 1904 წელს, პრეზიდენტ რუზველტის მიერ კონგრესისათვის გაკეთებულ გზავნილში იქნა გამოყენებული, სადაც ის ასაბუთებდა პანამის არხის ზონის მიერთების მნიშვნელობას ქვეყნის „ეროვნული უსაფრთხოების“ ინტერესებისთვის. შემდეგ წლებში ეს პრობლემა ამერიკული გეოპოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა.

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის სტრატეგიულ კონცეფციაში (1999), სხვა ქვეყნების მხრიდან ბლოკის მონაწილე სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებას შესაძლებელია საშიშროება დაემუქროს იმ შემთხვევაში თუკი ქვეყანაში არის:

- ცუდი არაკომპეტენტური მთავრობა;
- კორუფცია, ორგანიზაციული დანაშაულებები;
- არამყარი საზღვრები, არალეგალური იმიგრაცია;
- ეთნიკური კონფლიქტები, რელიგიური ექსტრემიზმი;

- ბრძოლა შეზღუდული რესურსებისთვის;
- ტექნოლოგიის გავრცელება;
- ტერორიზმი.

ეროვნული უსაფრთხოების გარე ასპექტებს შესაძლებელია მივაკუთვნოთ:

- ქვეყნის ადგილისა და როლის გამყარება მსოფლიოში;
- სახელმწიფოს მიზნებისა და პრიორიტეტების დაცვა;
- ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო-პოლიტიკური სუვერენიტეტის უზრუნველყოფა და დაცვა, საზღვრების ხელშეუხებლობა;
- ქვეყნის სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესების მქონე რეგიონებისა და ქვეყნების მონიშვნა.

სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოება დამოკიდებულია ქვეყნის ამბიციაზე, ანუ იმაზე, თუ როგორი სურს მას იყოს: რიგითი, რეგიონალური თუ ზესახელმწიფო.

რიგით სახელმწიფოებს არ გააჩნიათ სუვერენიტეტის უზრუნველსაყოფად აუცილებელი სრული არსენალი, ამიტომ ისინი ხშირად იძულებით არიან გაერთიანებული სახელმწიფოთშორის კავშირებში, რათა ერთობლივად უზრუნველყონ უსაფრთხოება. ასეთი ქვეყნის ინტერესები, როგორც წესი, არ სცილდება ეროვნულ საზღვრებს.

რეგიონალური სახელმწიფოს სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მას უფრო მეტი წონა აქვს, ვიდრე რიგითს, მაგრამ გაცილებით ნაკლები ვიდრე ეს ზესახელმწიფოს გააჩნია. რეგიონურ სახელმწიფოს არ აქვს პირდაპირი გავლენა პლანეტარულ ცივილიზაციაზე და გლობალურ გეოპოლიტიკურ პროცესებზე. ის ემორჩილება ძლიერი ქვეყნის სტარტეგიულ ინტერესებს.

გლობალურ ან იმპერიულ სახელმწიფოდ იწოდება ისეთი ქვეყანა, რომელსაც ერთპიროვნულად შუუძლია ეროვნული ინტერესების დაცვა. ეროვნული უსაფრთხოების არსი ნათლად აქვს ჩამოყალიბებული ამერიკელ პოლიტოლოგს უ. ლიპმანს:

ერი, - ეროვნული უსაფრთხოების მდგომარეობაში იმყოფება მაშინ, როდესაც ბრძოლაზე უარის თქმით არ წირავს თავის კანონიერ ინტერესებს და აუცილებლობის შემთხვევაში მზადაა ომის გზით დაიცვას ის“.

ლექცია 13. საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა (სპს)

საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა – არის დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტების ერთობლიობა, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ განსაზღვრული წესების ფარგლებში. ხშირად ეს ცნება მსოფლიოს საზოგადოებრიობის ან მსოფლიო საზოგადოების მნიშვნელობითაც გამოიყენება.

სპს-ს ცენტრალურ ფიგურებს სახელმწიფოები წარმოადგენენ, ამიტომ ემანუელ კანტმა ის „სახელმწიფოთა საზოგადოებრიობას“ შეადარა, რომელიც საერთაშორისო სამართლის საფუძველზე ფუნქციონირებს. ეს სავსებით ბუნებრივიცაა, რადგანაც სუვერენული, ეროვნული სახელმწიფო ძალაუფლების ძირითადი მატარებელია არამარტო კონკრეტული ქვეყნის ჩარჩოებში, არამედ საერთაშორისო არენაზე. სწორედ სახელმწიფოს გააჩნია რეალური ძალოვანი უფლებამოსილება გამოვიდეს და იმოქმედოს საერთაშორისო სუბიექტის სახით; შეთანხმდეს ან დადოს გარიგება მეორე მხარესთან; გამოაცხადოს მშვიდობა ან დაიწყოს ომი. აღნიშნული სისტემა საკმაოდ რთული და დინამიურია – დაახლოებით 1500 წლისათვის მხოლოდ ევროპაში იყო 500 სახელმწიფო, 1800 წლისათვის მსოფლიო 137 დამოუკიდებელ სახელმწიფოს მოითვლიდა. 1900 წლისათვის 57; დღეისათვის დაახლოებით 200 სახელმწიფოს. თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები შემუშავებულ იქნა სახელმწიფოთშორის შეთანხმებაში 1648 წელს – 30 წლიანი ომის დასრულებისთანავე – ვესტფალის სისტემა. ეს გეოპოლიტიკური ეპოქა ნიშანდობლივია იმით, რომ დაიწყო მკაცრად ცენტრალიზირებული, ძირითადად მონარქიული მმართველობის ეროვნულ სახელმწიფოთა ფორმირება, რამაც ევროპული სახელმწიფოთშორისი სისტემა მსოფლიო სისტემად გარდაქმნა. ძალთა ძირითადი ცენტრები იყვნენ – ესპანეთი, პორტუგალია, ჰოლანდია. მსგავსი მსოფლიო წესრიგი არსებობდა დაახლოებით 150 წელს. საფრანგეთის დიდ რევოლუციამდე და ცნობილ, ნაპოლეონის ომებამდე. რომელმაც დაამსხვრია ვესტფალის სისტემა.

მომდევნო გეოპოლიტიკური ეპოქა, რომელიც სახელმწიფო მეთაურთა ვენის კონგრესით მყარდება, ვენის ეპოქას უწოდებენ. აღნიშნულ ეპოქაში ძალათა ცენტრებად რუსეთი და ავსტრია-უნგრეთის იმპერია იქცნენ. თუმცა, მათ ტოლს არც კოლონიების ხარჯზე მზარდი ინგლისი, საფრანგეთი, გერმანიისა და თურქეთის იმპერიები უდებდნენ.

XIX საუკუნის შუა ხანებამდე ევრაზიულ კონტინენტზე დომინირებდა რუსეთი. ბუნებრივია, თურქეთზე გამარჯვების შემთხვევაში (1853-1856წწ. ომი) რუსეთი თავის კონტ-როლს გაზრდიდა ბალტიის, შავ და კასპიის ზღვებზე, ამიტომაც რუსეთის მოსალოდნელი უკიდეგანო ზრდით დამფრთხალი ევროპული ქვეყნები ყირიმის ომში მის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

რუსეთის დამარცხებით სახეცვლილება განიცადა ვენის სისტემამ, თუმცა, ფუნქციონირებას ის მაინც განაგრძობდა. რუსეთი, რომელმაც დაკარგა გეოპოლიტიკური ჰეგემონობა, იძულებული შეიქმნა მომდევნო წლების განმავლობაში ეთამაშა საფრანგეთს, ინგლისსა და გერმანიას შორის საერთაშორისო ურთიერთობებზე. რთული დიპლომატიური კამპანიის შედეგად ევროპაში ჩამოყალიბდა ორი მსხვილი ბლოკი: ანტანტა (რუსეთი, ინგლისი, საფრანგეთი) და სამთა კავშირი (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, იტალია). ბლოკთა მიზანი, განსაკუთრებით მეორე ბლოკისა, სფეროთა გადანაწილება იყო.
ორ ბლოკს შორის არსებულ წანააღმდეგობათა გამოვლინება პირველი მსოფლიო ომი იყო, რომელშიც სამთა კავშირმა კრახი განიცადა. შესაბამისად შეიცვალა გეოპოლიტიკურ ძალათა თანაფარდობაც. დაიმსხვრა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, რუსეთისა და თურქეთის იმპერიები. ამ იმპერიათა ნამსხვრევებზე აღმოცენდა რამოდენიმე მცირე სახელმწიფო, რომლებიც იმთავითვე გამარჯვებული ქვეყნების გავლენის ქვეშ მოექცნენ. პირველი მსოფლიო ომის შედეგები შეჯამებულ იქნა ვერსალში, ამიტომ ახალ გეოპოლი-ტიკურ ეპოქას ვერსალის ეპოქა ეწოდა. ეპოქის გეოპოლიტიკურ ლიდერებად იქცნენ: ბრიტანეთი და აშშ. თუმცა სისტემამ არსებობა მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე შეწყვიტა. ომის, რომლის საბოლოო აქტად პოტსდამის სამშვიდობო კონფერენცია იქცა. (პოტსდამის გეოპოლიტიკური ეპოქა) სწორედ პოტსდამში გამოიკვეთა ძალათა ახალი ბალანსი, რომელმაც მსოფლიო ბიპოლარულ სამყაროდ გარდაქმნა – სათავეში ორი მსხვილი ბლოკით – NATO-თი და ვარშავის ბლოკით, რომელთა ლიდერები იყვნენ სსრკ და აშშ. ორი სისტემის წინააღმდეგობა განსაზღვრავდა პოტსდამის გეოპოლიტიკური ეპოქის შინაარს. ძალათა ახალი თანაფარდობა ჩამოყალიბდა სსრკ-ს დაშლის შემდეგ, რომლის ფუნქციონირების შეწყვეტის შესახებ ოფიციალური დოკუმენტი გაფორმებულ იქნა 1991

წლის დეკემბერში ვისკულში, ამიტომაც ზოგიერთი გეოპოლიტიკოსი პოსტსაბჭოური ეპოქის მსოფლიო წესრიგს ბელოვეჟის გეოპოლიტიკურ ეპოქას უწოდებს.

მსოფლიო ქვეყნების თანამედროვე პოლიტსისტემის კლასიფიკაცია (ტიპოლოგია) თანამედროვე პოლიტიკურ სისტემას 200 სუვერენული სახელმწიფო წარმოადგენს, რომლებიც ერთიმეორესაგან მრავალი კრიტერიუმით განსხვავდება: დიდი და მცირე ქვეყნები, ერთეროვნული (იაპონია) და მრავალეროვანი (რუსეთი, ინდოეთი). თითოეულ მათგანს განუმეორებელი თავისებურებები ახასიათებს. თუმცა, ერთგვაროვანი მახასიათებ-ლებითაც გამოირჩევიან. მათი ტიპოლოგია რამოდენიმეგვარია: სოციალურ-ეკონომიკური, განვითარების დონე, დემოკრატიულობა, ცხოვრების ხარისხი და ა.შ. დიდი ხნის მანძილზე შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში ტიპოლოგია სოციალიზმსა და კაპიტალიზმზე კუთვნილებით განისაზღვრებოდა: 15 სოციალისტური ქვეყანა, დაახლოებით 100 კი კაპიტალისტური, განვითარებადი და მესამე სამყაროს ქვეყნებია. სოციალისტური სისტემის მსხვრევასთან ერთად აღნიშნულმა ტიპოლოგიამ აქტუალობაც დაკარგა. დღეისათვის სოცი-ალისტური სისტემის ქვეყნებს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების რიგს განაკუთვნებენ, თუმცა 4 სახელმწიფო დღემდე სოციალისტურია – კუბა, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩინეთი და ვიეტნამი.

უკანასკნელ პერიოდში მომხდარი რიგი ცვლილებების შედეგად ქვეყნების კლასიფიკაცია შემდეგნაირადაა შესაძლებელი:

პირველი – ეკონომიკურად მაღალგანვითარებულები, რომელთა რიცხვს განეკუთვნებიან ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა: აშშ, კანადა, დასავლეთ ევროპული ქვეყნები, იაპონია, ისრაელი და ახალი ზელანდია. მათ აერთიანებთ განვითარების მაღალი დონე. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ხშირად გამოყოფენ დიდ სახელმწიფოთა ხუთეულს, რომლებიც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები არიან: რუსეთი, აშშ, ბრიტანეთი, საფრანგეთი და ჩინეთი. რომელთაც ყველაფერთან ერთად პრივილეგირებული მდგომარეობა უპყრიათ. მათ აქვთ გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებაზე ვეტოს უფლება. შვიდეული ან კიდევ 7+1. ასე უწოდებენ ეკონომიკური თვალსაზრისით უმეტესწილად განვითარებულ შემდეგ სახელმწიფოებს: აშშ, იაპონია, გერმანია, ბრიტანეთი, საფრანგეთი, კანადა, იტალია და + რუსეთი.

მეორე – საშუალო განვითარების (ან მეორე ეშელონის) ქვეყნები: ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, ირლანდია.

მესამე – განვითარებადი ქვეყნები: ეს არის საკმაოდ მრავალრიცხოვანი (150) და მრავალფეროვანი ქვეყნების ჯგუფი. ამათგან უმეტესი ყოფილი კოლონიებია. მათ აერთიანებთ როგორც საშინაო, ასევე საგარეო ხასიათის მრავალი სირთულე ან პრობლემა – აუცილებელი გამოცდილების უქონლობა, ფინანსური კრიზისები, დიდი საგარეო ვალები, მოსახლეობის არაკონტროლირებადი მატება, ეპიდემიები და ა.შ. მათ შორის გამოყოფენ შემდეგ ქვეჯგუფებს:

ა) საკვანძო ქვეყნები: მდიდარი ბუნებრივი რესურსების მქონე ბრაზილია, მექსიკა, ინდოეთი;

ბ) ახალი ინდუსტრიული ქვეყნები: სინგაპური, ტაივანი, სამხრეთ კორეა, ტაილანდი, მალაიზია, ინდონეზია, ფილიპინები;

გ) ახალი კაპიტალისტური ქვეყნები: ლათინური ამერიკის ქვეყნები და არაბეთის სახემწიფოები;

დ) ნაკლებად განვითარებული ქვეყნები: სომალი, ეთიოპია, ჩადი, ნიგერია, ავღანეთი, ჰაიტი და სხვ. დაახლოებით 40-მდე ქვეყანა.

XX საუკუნეში საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში მნიშვნელოვან როლს საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკურ-პოლიტიკური ორგანიზაციებიც თამაშობენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) შეიქმნა 1945 წლის 24 ოქტომბერს. აერთიანებს 190 სახელმწიფოს, დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობენ – ვატიკანი, პალესტინა, აფრიკული ერთობის ორგანიზაცია, ევროკავშირი და სხვ., რომლებიც 17 სპეციალიზირებულ უწყებებში არიან გადანაწილებული.

გაეროს მთავარი ამოცანაა მსოფლიოს მშვიდობის დაცვა, საერთაშორისო უსაფრთხოება, თანამშრომლობის განვითარება და მსოფლიო პრობლემათა გადაჭრაა. გაეროს სტრუქტურული ერთეულებია:

1) გენერალური ასამბლეა
2) უშიშროების საბჭო
3) ეკონომიკური და სოციალური საბჭო

4) მზრუნველთა საბჭო

5) საერთაშორისო სასამართლო

6) სამდივნო

გენერალური ასამბლეა ძირითადი ორგანოა, რომელიც ყველა წევრს ერთი პრინციპით აერთიანებს – სახელმწიფო ერთი ხმა. იკრიბება წელიწადში ერთჯერ. რეზოლუცია რეკომენდაციული ხასიათისაა, თუმცა, გაჯერებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტულობით.

უშიშროების საბჭო – ერთადერთი ორგანოა, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს და მოითხოვს მის აუცილებელ შესრულებას (მაგ. 1991 წელს სანქციონირებული დარტყმები ერაყზე – ქუვეიტის დაპყრობის შემდეგ). შედგება 15 - 5 მუდმივი და 10 არამუდმივი წევრისაგან, 10 არამუდმივი წევრი აირჩევა 2 წლის ვადით რეგიონალური ქვოტების შესაბამისად. 5 - განვითარებადი ქვეყნიდან, 1 – აღმოსავლეთ ევროპის, 2 – ლათინური ამერიკის და 2 - დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან.

გაეროს სასამართლო ღიაა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსა და ფიზიკური პირისთვის. გენერალური მდივანი გაეროს მთავარი თანამდებობრივი პირია და აირჩევა ასამბლეაზე, უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით.

გაეროს ოფიციალური ენებია – ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული. შტაბბინა განლაგებულია ნიუ-ორკში.

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი (NATO)

შეიქმნა 1949 წელს. ესაა სამხედრო სფეროში თანამშრომლობის ორგანიზაცია. შტაბბინა ბრიუსელშია.

ევროპის უსაფრთხოებისა და ეროვნული თანამშრომლობის ორგანიზაცია (ОБСЕ)

შეიქმნა 1975 წელს ჰელსინკში 53 მონაწილე ქვეყნის ინიციატივით. მიზანი (იგულისხმება, გაცხადებული) ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება და ხელშეწყობაა. აგრეთვე, განიარაღებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ევროპული კავშირი (EC)

ევროკავშირის ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1992 წლის დასაწყისში – მაასტრიხტში (ნიდერლანდები) 15 სახელმწიფოს შეხვედრაზე. დღეისთვის ორგანიზაციაში

გაწევრიანებაზე განცხადება წარდგენილი აქვთ: კვიპროსს, მალტას, თურქეთს, მაროკოსა და აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებს. ორგანიზაციის მიზნებია (იგულისხმება გაცხადებული): ევროპის ხალხთა მჭიდრო კავშირების შექმნა, აგრეთვე, ევროპული საბჭოს, ევროპარლამენტის, ევროკომისიის, ევროსასამართლოს მუშაობის ხელშეწყობა.

ჩრდილო ამერიკული შეთანხმება თავისუფალ ვაჭრობაზე (НАФТА)

შეთანხმებას ხელი მოეწერა 1992 წლის 17 დეკემბერს. ძალაში შევიდა 1994 წლის 1 იანვრიდან. წევრი ქვეყნებია: კანადა, მექსიკა, აშშ. მიზნებია: თანამშრომლობის სრულყოფა, პოლიტიკური სუვერენიტეტის შენარჩუნებით, თუმცა მთელს ამერიკაზე განვრცობით.

აზიურ-წყნაროკეანური საბჭო (АТЭС)

შეიქმნა 1989 წელს ავსტრალიის ინიციატივით და აერთიანებს 21 სახელმწიფოს. მიზანი ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნაა.

აფრიკული ერთიანობის ორგანიზაცია (ОАЕ)

შეიქმნა 1963 წელს, 15 წევრი სახელმწიფოს ინიციატივით. მიზანი: ერთიანობისა და სოლიდარობის ხელშეწყობა. შტაბბინა ადის-აბებაში.

ისლამური კონფერენციის ორგანიზაცია

აერთიანებს 51 სახელმწიფოს, შეიქმნა 1971 წელს შტაბბინით ჯიდდაში.

არაბულ სახელმწიფოთა ლიგა

შეიქმნა 1945 წელს და აერთიანებს 22 არაბულ სახელმწიფოს.

ნავთობ-ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (ОПЕК)

შეიქმნა 1960 წელს ბაღდადში 11 სახელმწიფოს შეხვედრაზე. ორგანიზაციის მიზანი ნავთობის ფასის მსოფლიო ბაზარზე ერთობლივი კონტროლია.

ლათინური ამერიკის ქვეყნების ინტეგრაციის ორგანიზაცია

შეიქმნა 1961 წელს. გაერთიანებულია დაახლოებით 11 სახელმწიფო. მისი მიზანი საკუთრივ სახელწოდებიდანაც კარგად ჩანს.

ცენტრალურ ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია

შეიქმნა 1951 წელს. აერთიანებს 5 სახელმწიფოს. მიზანი აქაც ნათლად ჩანს დასახელებიდანაც.

ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია (ОАГ)

შეიქმნა 1948 წელს. ესაა ამერიკულ სახელმწიფოთა ერთობლიობა აშშ-ს პატრონაჟით. 1962 წელს ორგანიზაციიდან გარიცხულ იქნა კუბა (ვიცით თუ რატომ).

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი

ეს ორგანიზაცია სპეციალიზირებული უწყების სახით შედის გაერო-ში. ფუნქციონირებს 1944 წლიდან, აერთიანებს დაახლოებით 180 სახელმწიფოს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი

ფუნქციონირება დაიწყო 1946 წლიდან. აერთიანებს 180-მდე სახელმწიფოს.

ლექცია 14. ომისა და მშვიდობის სტრატეგია საერთაშორისო ურთიერთობებში

კაცობრიობის წინაშე დასაბამიდან დგას ომისა და მშვიდობის პრობლემა. უხსოვარიდროიდან მოყოლებული, მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში,ომი ცვლიდა მშვიდობას და პირიქით. დედამიწაზე არ დარჩენილა ადგილი, რომელიც არ ქცეულა დიდი ომების არენად, ანდა სადაც არ ყოფილა მშვიდობის ოაზისი. მსოფლიოში ოდითგან მიმდინარეობს ომისა და მშვიდობის – უგუნურები¬სა უწყვეტი პროცესი. განსაზღვრულ¬ პირობებში, ერთი შეხედვით მშვიდობიანი გარემო შეიძლება მოულოდნელად იქცეს ბრძოლების ასპარეზად და პირიქით, ომს და უიმედობას სრულიად მოულოდნელად ცვლის მშვიდობა.

კაცობრიობის განვითარების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მსოფლიო ცივილიზაციათა ურთიერთობების გლობალური ტრანსფორმაციის პროცესში, დაიხვეწა და შედარებით კონტროლირებადი გახდა როგორც ომის – შეიარაღებული აგრესიისა და თავდაცვის, ასევე მშვიდობის დამყარების სტრატეგიული ფორმები და მეთოდები. ამ პროცესში უფრო მოქნილი და ეფექტური გახდა ომის პრევენციის, მისი მართვისა და მშვიდობის აღდგენა განმტკიცების პოლიტიკა და სტრატეგიული კურსი.

ცნობილი სამხედრო მოაზროვნის, კლაუზევიცის განსაზღვრებით „ომი არის საზოგადოებრივ – პოლიტიკური მოვლენა, პოლიტიკის გაგრძელება ძალადობრივი მეთოდებით“.

ძირითადად განიხილება დაპყრობითი და თავდაცვითი ხასიათის ომები. დაპყრობითი ომების მწარმოებელი სახელმწიფოები იწოდებიან აგრესორებად, ომის სუბიექტებად, ხოლო თავდაცვითი ომების მწარმოებელი სახელმწიფოები – აგრესიის, ომის ობიექტებად.

დაპყრობითი ომი, როგორც მოვლენა, ძირითადად წარმოადგენს სტრატეგიულ გარემოებათა, პოლიტიკური მისწრაფებების, გეოპოლიტიკური ინტერესების, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ შესაძლებლობათა, გენეტიკური ანტაგონიზმის,პოლიტიკურ ლიდერთა პირადი ამბიციების, ემოციების, აგრესიის ინსტიქტების, ირაციონალიზმის, გააზრებულ

შემთხვევათა თუ შემთხვევითობათა, კონფლიქტის წარმოშობის სხვა შესაძლო გარემოებათა ურთიერთგადაკვეთისა და მოვლენების უმართავი განვითარების შედეგს.

დაპყრობითი ომი, როგორც პოლიტიკურ და შეიარღებულ დაპირისპირებათა, აბსურდულ და დამანგრეველ ქმედებათა ერთობლიობა, უკიდურესი ამოსავალია არასრულფასოვანთათვის და უგუნურთათვის, რომლებიც გონივრულად ვეღარ ახერხებენ მშვიდობიანი პოლიტიკის გაგრძელებას. ხშირ შემთხვევაში, დაპყრობითი ომი, მშვიდობისაგან განსხვავებით, პარადოქსული ბუნების მატარებელია და საზოგადოებრივი თანაარსებობის არც ერთ ასპექტში, არავითარ კანონზომიერებას არ ექვემდებარება. დაპყრობითი ომის მიმდინარეობისას, შეიარაღებული აგრესიისა და სამხედრო ინტერვენციის დროს, ომის სუბიექტი უმეტეს შემთხვევაში არ იცავს საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და პრინციპებს, უფრო მეტიც, თვით დაპყრობითი ომი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების უხეში დარღვევის კლასიკურ ნიმუშს.

თავდაცვითი ომი წარმოადგენს დაპყრობითი ომის ობიექტი ქვეყნის მიერ, საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების, თავდაცვითი პოლიტიკისა და სტრატეგიის ძირითადი პრინციპების დაცვით წარმოებული, ოპერატიული და ტაქტიკური დონის, თავდაცვითი ხასიათის, მიზანდასახული და მიზანმიმართული საბრძოლო მოქმედებების კანონზომიერ განვითარებას, რომელიც მიმართულია დაპყრობითი ომის სუბიექტის მიერ ამ ომის ობიექტი სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული შეიარაღებული აგრესიისა და სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ. თავდაცვითი ომის არსი ექვემდებარება სამშვიდობოდ მიზანმიმართულ, თავდაცვის სტრატეგიის კანონზომიერ, საფეხურებრივ ლოგიკას და ემსახურება დაპყრობითი ომის ობიექტი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ისტორიული მემკვიდრეობის, ეროვნული ღირებულებებისა და ინტერესების დაცვას აგრესორისაგან, დამპყრობელისაგან ანუ დაპყრობითი ომის სუბიექტისაგან.

თავდაცვითი საბრძოლო მოქმედებების განხორციელების პროცესში, დაპყრობითი ომის ობიექტი სახელმწიფო განიხილება, როგორც თავდაცვითი ომის სუბიექტი

ქვეყანა. ამ შემთხვევაში, დაპყრობითი ომის სუბიექტი სახელმწიფო წარმოადგენს თავდაცვითი ომის ობიექტს.

გამარჯვებული დაპყრობითი ომი, როდესაც იმარჯვებს აგრესორი და ამავდროულად დამარცხებული მშვიდობა, როდესაც მარცხდება შეიარაღებული აგრესიის ობიექტი, შედეგად იწვევს მშვიდობის მოჩვენებით განცდას, ფსევდომშვიდობის ილუზიას. ასეთ შემთხვევაში, დაპყრობითი ომის ობიექტის – დამარცხებული ქვეყნისათვის დამდგარი ყოვლად მიუღებელი შედეგის და ზოგადად, ფაქტიურად შექმნილი სიტუაციის ფსევდომშვიდობისეული შეფასება, როგორც მოვლენა, საფრთხის შემცველია. ამ პირობებში, დაპყრობითი ომის საფრთხე კვლავ მოდის უფრო მეტის მიღწევის სურვილით შეპყრობილი, გამარჯვებით გათამამებული აგრესორისაგან, ხოლო თავდაცვითი ომი, როგორც საერთაშორისოდ აღიარებული სამართლიანობის აღსადგენად და ქვეყნის ეროვნული ინტერესების დასაცავად წარმოებული საბრძოლო მოქმედებათა მიზანდასახული და მიზანმიმართული, კანონზომიერი განვითარება, მოსალოდნელია დამარცხებული აგრესიის ობიექტისაგან. ამ შემთხვევაში, დაპყრობითი ომის ობიექტი დამარცხებული ქვეყანა, არსებულ სიტუაციას სამართლიანად მიიჩნევს როგორც წაგებული ბრძოლის არასამართლიან შედეგს და ემზადება ახალი, სამართლიანი თავდაცვითი ბრძოლებისათვის. ამ პირობებში, საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევით, საერთაშორისო კონტროლის ქვეშ, ობიექტურობის სრული დაცვით, წარმატებით უნდა განხორციელდეს საერთაშორისოდ აღიარებული სამართლიანობის აღდგენისა და მშვიდობის დამყარების პროცესი. ასეთ შემთხვევაში, საომარი ობიექტის მზადყოფნა თავდაცვისათვის უკვე წარმოადგენს მშვიდობისათვის ბრძოლის ერთერთ ძირითად საშუალებას. ამასთან, თავდაცვითი საბრძოლო მოქმედებები უნდა შეჩერდეს საერთაშორისო სამშვიდობო სისტემების მიერ კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო მისიათა განხორციელების დაწყებისთანავე.

დაპყრობითი ომის, როგორც მოვლენის, ობიექტი შეიძლება გახდეს ნებისმიერი საერთაშორისო სამართლის სუბიექტი ეროვნული სახელმწიფო. თუმცა, აგრესორის

მსხვერპლნი, დაპყრობითი ომის ობიექტები უფრო ხშირად ხდებიან სუსტი სახელმწიფოები.

როდესაც სახელმწიფოში არ ხდება დემოკრატიული ღირებულებების აღიარება, პატივისცემა და დაცვა, დემოკრატია ატარებს მოჩვენებით ხასიათს, წარმოჩენილია ილუზიური, ავტორიტარული ფსევდოდემოკრატია, რეალური დემოკრატია კი საერთოდ არ არის, ან სუსტია და მძვინვარებს ავტორიტარიზმი, ადგილი აქვს ქვეყნის კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის უგულვებელყოფას, შიდა სახელმწიფოებრივ ძალადობას, ქვეყანაში არ სუფევს ღირსების, კანონიერების, სამართლიანობის განცდა, ხდება ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა იგნორირება და დაკნინება. შესაბამისად, სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის ერთიანი სისტემა კარგავს თავის ფუნქციას, რაც თრგუნავს, ასუსტებს სახელმწიფოს. ავტოკრატიული სახელმწიფო კარგავს საერთაშორისო ავტორიტეტს და შესაბამისად, საერთაშორისო მხარდაჭერას. ასეთ პირობებში, აგრესორს უჩნდება სუსტი და დაუცველი სახელმწიფოს დაპყრობის ამბიცია და უყალიბდება საომარი განწყობა – იქმნება ომის საფრთხე.

ქვეყანაში მოჩვენებითი, ვითომ ძალიან მაღალი დემოკრატია, სინამდვილეში კი უკვე ფსევდოდემოკრატია, იღებს ანარქიის ფორმებს, ვითარდება ლიბერალური ფუნდამენტალიზმი და ლიბერალური ექსტრემიზმი. ასეთ გარემოში ხდება უზნეობის, განუკითხაობის, პიროვნული და ეროვნული ღირსებების შემლახავ ქმედებათა წახალისება, ადგილი აქვს მათი ნორმად წარმოჩინების, ნორმად ქცევისა და ფაქტიური ლეგალიზების დაფარულ თუ დაუფარავ მცდელობას. ასეთ პირობებში აქტიურდება სახელმწიფოებრიობისა და მისი უსაფრთხოების მთავარი საფუძვლების – ეროვნული ღირებულებებისა და ინტერესების, ძირითადი ეროვნულ სახელმწიფოებრივი პრინციპების, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა იგნორირებისა და დაკნინების მექანიზმი. საზოგადოებაში იქმნება პიროვნული და ეროვნული ღირსებების, ეროვნული ცნობიერების, სამშობლოს, როგორც სახელმწიფოს ღირებულებითი ფენომენის თვითაღქმისა და თვითგანცდის, ასევე, დემოკრატიულ ღირებულებითა დეფიციტი, ეცემა ეროვნულ სახელმწიფოებრივი თვითშეგნების დონე, ყალიბდება ეროვნულ

სახელმწიფოებრივი ნიჰილიზმი, როგორც სინდრომი და საფრთხე ექმნება ქვეყნის ეროვნულ ავთენტურობას, თვითმყოფადობასა და იდენტურობას, ეროვნულ ღირებულებებსა და ეროვნულ ინტერესებს, ქვეყნის სახელმწიფოებრიობას. შესაბამისად, სახელმწიფოში იქმნება ქაოსი. შედეგად, ქვეყანას, როგორც სახელმწიფოს, მისი უსაფრთხოებისა და თავდაცვის ერთიან სისტემას ეცლება არსებობისა და განვითარების ღირებულებითი, მენტალური და ფიზიკური საფუძველი, ირღვევა სახელმწიფოს სისტემური სტრუქტურა, ქვეყანა ხდება დაუცველი, რაც ნოყიერ ნიადაგს ქმნის აგრესორისათვის. ამ შემთხვევაშიც იზრდება ომის საფრთხე.

როდესაც სახელმწიფოში ტარდება არასწორი ეროვნული პოლიტიკა, არ არის დაცული, ილახება ქვეყნის ისტორიული მემკვიდრეობა,ეროვნული ღირებულებები და ინტერესები, უფრო მეტიც, ხდება მათი სრული ან ნაწილობრივი იგნორირება, ამასთან, ეკონომიკა არამდგრადია და მოსახლეობა სოციალურად დაუცველია, უგულებელყოფილია ადამიანთა პიროვნული და ეროვნული ღირსება,მაშინ ქვეყნის მისახლეობაში ჩნდება საპროტესტო მუხტი. ასეთ პირობებში ეროვნული ენერგია იხარჯება არსებობისათვის, თვითგადარჩენისათვის ბრძოლაში, საპროტესტო გამოსვლებსა და შიდა დაპირისპირებაში, ადამიანთა ცნობიერებაში უკანა პლანზე გადადის ეროვნული კულტურა, განათლება, მეცნიერება, თანდათანობით ეცემა ეროვნულ სახელმწიფოებრივი თვითშეგნების დონე, ეროვნული პოტენციალი სუსტდება, ერი იფიტება და ხდება დაუცველი. შესაბამისად, სუსტდება და დაუცველიხდება სახელმწიფოც. სუსტი და დაუცველი სახელმწიფო კი აგრესორისათვის ყოველთვის წარმოადგენს იოლი დაპყრობისა და საბოლოო განადგურების ობიექტს.

ანალოგიური სიტუაციები – ავტორიტარიზმი, მოჩვენებითი, ილუზიური, ავტორიტარული ფსევდოდემოკრატია, ან პირიქით, გადაჭარბებული, ლიბერალური ფსევდოდემოკრატია, გადაჭარბებული, უკიდურესი ლიბერალიზმი, ანარქია და ლიბერალური ექსტრემიზმი, ეროვნული ღირსების დეფიციტის პირობებში, აგრესიის ინსტიქტების მატარებელ ქვეყანაში უფრო მეტად აძლიერებს და ამძაფრებს ამ თანდაყოლილ ინსტიქტებს. პოტენციურ აგრესორს უჩნდება ძალადობისა და შეიარაღებული აგრესიის განხორციელების სურვილი. ამ სურვილის დაკმაყოფილება

აგრესიული სახელმწიფოსათვის, ხშირ შემთხვევაში, ერთადერთი გამოსავალია. ამგვარ შემთხვევაშიც, ომის საფრთხე სახეზეა.

ძლიერი და რეალურად დემოკრატიული, მაღალი კულტურისა და მორალის, ეროვნული მენტალიტეტის, მყარი ეროვნული თვითმყოფადობისა და სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყანა, განვითარებული ეკონომიკითა და კარგი სოციალური პირობებით, მაღალი თავდაცვისუნარიანობით – ძლიერი, განვითარებული თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემებით, უფრო დაცულია საფრთხეებისაგანდა ამავდროულად არ უქმნის საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობას. უფრო მეტიც, ასეთი ქვეყანა ხშირ შემთხვევაში გვევლინება, როგორც საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტორი ერთერთი სახელმწიფო.

ომისა და მშვიდობის სტრატეგიის ლოგიკას თავისმხრივ, მნიშვნელოვანწილად განაპირობებენ ომისა და მშვიდობის ერთიანი სტრატეგიული გარემოს ძირითადადი პირობითი მახასიათებლები.

ომისა და მშვიდობის ერთიანი სტრატეგიული გარემოს განმსაზღვრელიძირითადი პირობითი მახასიათებლებია:

1. ომისა და მშვიდობის ძირითადი პირობითი განმსაზღვრელი ფაქტორები, არსებული საერთაშორისო პოლიტიკური და სტრატეგიული ფონი;
2. გლობალური საფრთხის შემცველი რისკები და გამოწვევები
3. ომისა და მშვიდობის სტრატეგიის ძირითადი პირობითი შიდასახელმწიფოებრივი გარემოებები;
4. ომის საფრთხისა და პროვოცირების განმსაზღვრელი ძირითადი, პირობითი შიდასახელმწიფოებრივ გარემოებითი კრიტერიუმები;
5. ომის პრევენციისა და მშვიდობიანი განვითარების განმსაზღვრელი ძირითადი, პირობითი შიდასახელმწიფოებრივ გარემოებითი კრიტერიუმები.

ქვემოთ წარმოდგენილია მოცემული მახასიათებლების შესაბამისი ძირითადი პირობითი ფაქტორები, რისკები, გამოწვევები, გარემოებები და კრიტერიუმები.

ომისა და მშვიდობის ძირითადი პირობითი განმსაზღვრელი ფაქტორები

არსებული საერთაშორისო პოლიტიკური და სტრატეგიული ფონი

1. ცივილიზაციათა ფორმები, განვითარების დონეები ;
2. გეოპოლიტიკური მდებარეობა;
3. გენეტიკური სტრუქტურა და კონსტრუქცია;
4. გენეტიკური ანტაგონიზმი და შემწყნარებლობა;
5. მენტალური ინსტიქტი;
6. ზოგადი მენტალიტეტი და მენტალური განწყობა;
7. ისტორიული განვითარების სპეციფიკა და ისტორიული ფონი;
1. სულიერი და ყოფითი კულტურა და ტრადიციები;
2. ისტორიული და კულტურული ღირებულებები;
10. ეროვნული თვითმყოფადობა;
11. ეროვნული მწარმსი, ცნობიერება და თვითშეგნება;
12. ეროვნულ სახელმწიფოებრივი თვითშეგნება;
13. დემოგრაფიული გარემო;
14. რელიგიური მრწამსი;
15. ეთნიკური შედგენილობა და გარემო;
16. ეთნიკური ბალანსი და დისბალანსი;
17. ეთნიკური ჰარმონია და დისჰარმონია;
18. რელიგიური შედგენილობა და გარემო;
19. რელიგიური ბალანსი და დისბალანსი;
20. რელიგიური ჰარმონია და დისჰარმონია;
21. ეროვნული სამართალი, ღირებულებები და ინტერესები;
22. პოლიტიკური მწარმსი;
23. დემოკრატიის ხარისხი;
24. სადავო ან ფსევდოსადავო ტერიტორიები;
25. რისკებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე გლობალური საფრთხეები
26. რეგიონული გარემო;
27. საერთაშორისო გარემო და სიტუაციური ფონი;

28. ცივილიზაციათა, ზოგადი მენტალობის, შეხედულებათა და ღირებულებათა სრული ან ნაწილობრივი პოლარობა;

29. ინტერესთა გლობალური კონფლიქტი;

30. ურთიერთნდობის ფაქტორი;

31. საერთაშორისო სამართლისადმი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი და ინტერესებისადმი დამოკიდებულება.

საერთაშორისო მშვიდობის წინაშე მდგარი გლობალური საფრთხის შემცველი რისკები და გამოწვევებია:

1. პოლიტიკური გამოწვევები;
2. ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები;
3. ეკოლოგიური გამოწვევები;
4. ენერგეტიკული გამოწვევები;
5. დემოგრაფიული გამოწვევები;
6. ინფორმაციული გამოწვევები;
7. ცივილიზაციათა, ზოგადი მენტალობის, შეხედულებათა და ღირებულებათა სრული ან ნაწილობრივი პოლარობა;
8. ინტერესთა გლობალური კონფლიქტი;
9. საერთაშორისო სამართლის სუბიექტი სახელმწიფოების ეროვნული ღირებულებებისა და ინტერესების, დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა;
10. კონფლიქტების გადადინება;
11. შეიარაღებული აგრესია და სამხედრო ინტერვენცია;
12. მასობრივი განადგურების იარაღი;
13. საერთაშორისო ტერორიზმი;
14. ტრანსნაციონალური კონტრაბანდა და ორგანიზებული დანაშაულებანი;
15. შიდასახელმწიფოებრივი არასტაბილურობა.

ომისა და მშვიდობის ძირითადი პირობითი განმსაზღვრელი ფაქტორები და არსებული საერთაშორისო სტრატეგიული ფონი, ასევე, გლობალური საფრთხის

შემცველი რისკები და გამოწვევები ქმნიან ომისა და მშვიდობის გლობალურ სტრატეგიულ მაკროგარემოს.

ომისა და მშვიდობის სტრატეგიის ძირითადი პირობითი შიდასახელმწიფოებრივი გარემოებებია:

1. საზოგადოების თანაარსებობა;
2. ეკონომიკური მდგომარეობა;
3. სოციალური ფონი;
4. ზნეობრიობა და გონიერება;
5. ურთიერთობათა კულტურა;
6. ეროვნული მწარმსი, ცნობიერება და თვითშეგნება;
7. რელიგიური გარემო;
8. პოლიტიკური კულტურა;
9. სამართლებრივი ბაზა და კანონთან დამოკიდებულება, კანონიერებისა და სამართლიანობის აღქმა;
10. სახელმწიფოს თავდაცვისუნარინობა;
11. დემოკრატიის ხარისხი;
12. განათლება და მეცნიერება;
13. ყოფითი და ღირებულებითი კულტურა, ისტორიული გამოცდილება და ტრადიციები;
14. ღირებულებათა პრიორიტეტები;
15. ეროვნულ – სახელმწიფოებრივი თვითშეგნება და მენტალური მოტივაცია;
16. მომავლისადმი დამოკიდებულება.

ომისა და მშვიდობის სტრატეგიის ძირითადი პირობითი შიდასახელმწიფოებრივი გარემოებები განაპირობებენ ომის საფრთხისა და პროვოცირების ან ომის პრევენციისა და მშვიდობიანი განვითარების განმსაზღვრელ ძირითად, პირობით შიდასახელმწიფოებრივ სტრატეგიულ გარემოებით კრიტერიუმებს.

ომის საფრთხისა და პროვოცირების განმსაზღვრელი ძირითადი, პირობითი, შიდასახელმწიფოებრივი სტრატეგიული გარემოებითი კრიტერიუმებია:

1. საზოგადოების გათიშულობა და დაპირისპირება;

2. ქვეყნის ეკონომიკის დაბალი დონე და განვითარების უპერსპექტივობა;

3. საზოგადოების სოციალური დაუცველობა;

4. საზოგადოებაში უზნეობისა და უგუნურების მაღალი ხვედრითი წილი;

5. საზოგადოებრივ ურთიერთობათა დაბალი კულტურა;

6. საზოგადოების ბუნდოვანი ეროვნული მწარმსი, დაბალი ეროვნული ცნობიერება და ეროვნული თვითშეგნება;

7. არაჰარმონიული რელიგიური სიჭრელე, შეუწყნარებლობა და დისკრიმინაცია;

8. საზოგადოების დაბალი პოლიტიკური კულტურა;

9. ქვეყნის გაუმართავი სამართლებრივი ბაზა, საზოგადოების უდიერი დამოკიდებულება კანონთან, უკანონონობისა და უსამართლობის განცდა;

10. სახელმწიფოს სუსტი თავდაცვისუნარინობა;

11. დემოკრატიის დაბალი ხარისხი და ავტორიტარიზმი, მოჩვენებითი, ილუზიური, ავტორიტარული ფსევდოდემოკრატია ან გადაჭარბებული,ლიბერალური ფსევდოდემოკრატია, გადაჭარბებული, უკიდურესი ლიბერალიზმი, ანარქია, ლიბერალური ექსტრემიზმი;

12. საზოგადოებაში გაუნათლებლობისა და უმეცრების მაღალი ხვედრითი წილი;

13. საზოგადოების დაბალი ყოფითი და ღირებულებითი კულტურა, ისტორიული გამოცდილების, ეროვნული ღირებულებებისა და ტრადიციების არქონა, ან იგნორირება და უგულებელყოფა;

14. ღირებულებათა გაურკვევლობა და დისბალანსი;

15. საზოგადოების დაბალი ეროვნულ – სახელმწიფოებრივი თვითშეგნება, არამოტივირებული მენტალობა;

16. მომავლისადმი საზოგადოების პესიმისტური დამოკიდებულება.

ომის პრევენციისა და მშვიდობიანი განვითარების განმსაზღვრელი ძირითადი, პირობითი შიდასახელმწიფოებრივი სტრატეგიული გარემოებითი კრიტერიუმებია:

17. საზოგადოების ერთიანობა და მშვიდობიანი, ჰარმონიული თანაარსებობა;

18. ქვეყნის ეკონომიკის მაღალი დონე და მდგრადი განვითარების პერსპექტივა;

19. სოციალურად დაცული საზოგადოება;

20. საზოგადოების მაღალი ზნეობა და გონიერება;

21. საზოგადოებრივ ურთიერთობათა მაღალი კულტურა;

22. საზოგადოების მყარი, გამოკვეთილი ეროვნული მწარმსი, მაღალი ეროვნული ცნობიერება და ეროვნული თვითშეგნება;

23. დომინირებული რელიგია და რელიგიური შემწყნარებლობა;

8. საზოგადოების მაღალი პოლიტიკური კულტურა;

24. 9. ქვეყნის მყარი სამართლებრივი ბაზა, კანონმორჩილი საზოგადოება, კანონიერებისა და სამართლიანობის განცდა;

25. ძლიერი სახელმწიფო თავდაცვის სისტემა;

26. რეალური დემოკრატია, დემოკრატიული ღირებულებების აღიარება, პატივისცემა და დაცვა, დემოკრატიის მაღალი ხარისხი და დემოკრატიული განვითარება;

27. განათლებული საზოგადოება და მეცნიერების განვითარების მაღალი დონე;

28. საზოგადოების მაღალი ყოფითი და ღირებულებითი კულტურა, დიდი ისტორიული გამოცდილება, ეროვნული ღირებულებებისა და ტრადიციების აღიარება, პატივისცემა და დაცვა;

29. ღირებულებათა გამოკვეთილი პრიორიტეტები, ღირებულებათა ჰარმონია;

30. საზოგადოების მაღალი ეროვნულ–სახელმწიფოებრივი თვითშეგნება, მაღალი მენტალური მოტივაცია;

ომისა და მშვიდობის სტრატეგიის შიდასახელმწიფოებრივი გარემოებები, ომის საფრთხისა და პროვოცირების, ისევე, როგორც ომის პრევენციისა და მშვიდობიანი განვითარების განმსაზღვრელი შიდასახელმწიფოებრივი სტრატეგიული გარემოებითი კრიტერიუმები ქმნიან ომისა და მშვიდობის ადგილობრივ, ლოკალურ სტრატეგიულ მიკროგარემოს.

წარმოდგენილი, ძირითადი, პირობითი მახასიათებლები ქმნიან რა ომისა და მშვიდობის ერთიან სტრატეგიულ გარემოს, ასახავენ როგორც ზოგადად გლობალური სტრარეგიული მაკრო გარემოს, ასევე კონკრეტული, ადგილობრივი, ლოკალური

სტრარეგიული მიკრო გარემოს სპეციფიკას.

თავდაცვის სტრატეგიის ლოგიკა

რომაული სიბრძნე – თუ გინდა მშვიდობა, ემზადე ომისათვის (Si vis pacem, para bellum), თუმცა ერთდროულად მოიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს და ერთი შეხედვით პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ, კაცობრიობის ყოფიერების კანონზომიერებიდან გამომდინარე,მაინც შეიცავს გარკვეულ ლოგიკას – დემოკრატიული, მშვიდობიანი სახელმწიფოს სათანადო სამხედრო მზადყოფნა და მაღალი თავდაცვისუნარიანობა, დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი, პოტენციურ აგრესორს თავდასხმას გადააფიქრებინებს, უკარგავს შეიარაღებული აგრესიისა და სამხედრო ინტერვენციის განხორციელების სურვილს და შედეგად, მოსალოდნელი ომის საფრთხე იკლებს. ეს კი ომის პრევენციისა და მშვიდობის შენარჩუნების ერთერთი საშუალებაა.

მიუხედავად წარმოდგენილი არგუმენტაციისა, რომაული პოსტულატი წარმოადგენს მუდმივი დავის საგანს. მშვიდობის ფენომენის შემსწავლელ თანამედროვე სამეცნიერო წრეებში არ ეთანხმებიან მოყვანილ არგუმენტს, თუმცა ციტატას მაინც არ მიიჩნევენ აბსოლიტურად ლოგიკამოკლებულად. მათი აზრით, რომაული გამომათქვამი უბრალოდ არასიბრძნისეულია და მის საწინააღმდეგოდ საკუთარი ხედვა გააჩნიათ. მშვიდობის ფენომენის თანამედროვე მკვლევარები გვთავაზობენ ასეთ ფორმულას – თუ გინდა მშვიდობა, იბრძოლე მშვიდობისთვის (Si vis pacem, para pacem).

დაპყრობითი ომის სტრატეგიის ლოგიკა, როგორც მშვიდობის, ასევე ომის დროს, სხვათა შორის ვლინდება:

1. ომის სუბიექტის მიერ ომის ობიექტისადმი არსებულ, ხშირ შემთხვევაში საყოველთაოდ დეკლარილებულ აგრესიულ განწყობაში, ანდა ვითომცდა მშვიდობიანი პოლიტიკური კურსის პარადოქსულად მოულოდნელ, უეცარ ცვლილებაში, ურთიერთსაწინააღმდეგო, არაადექვატური ზომების მიღებასა და შესაბამის აგრესიულ ქმედებათა განხორციელებში;

2. ომის სუბიექტის მიერ წინასაომარი, საომარი და ომისშემდგომი მოვლენების თვითნებურ განვითარებასა და აგრესიული, პარადოქსული ქმედებების ეტაპობრივად, თუმცა არაადეკვატურად, ბუნებრივი ჰარმონიის გარეშე განხორციელებაში.

დაპყრობითი ომის სტრატეგია, თავდაცვის სტრატეგიისაგან განსხვავებით, ემყარება პარადოქსულ ლოგიკას, ეწინააღმდეგება ყოველგვარ აზრთა კანონზომიერ დინებას, რომელსაც საზოგადოების მშვიდობიანი თანაარსებობის სხვადასხვა ასპექტი მოიცავს.

დაპყრობითი ომის არსი ექვემდებარება აგრესიული, დაპყრობითი სტრატეგიის თვითდინებად, არაკანონზომიერ საფეხურებრივ ლოგიკას, რომელიც მიმართულია პარადოქსული მართვისკენ და ხშირ შემთხვევაში იწვევს გამანადგურებელ შედეგებს თვით აგრესორისთვისაც კი.

ყოველი დაპყრობითი ომი განიხილება, როგორც კერძო შემთხვევა თავისი სპეციფიკითა და თავისებურებებით. დაპყრობით ომს ყოველთვის უპირისპირდება თავდაცვა და მშვიდობა თავისი ლოგიკით.

ზოგადად ომს, როგორც ურთიერთდაპირისპირებული, დაპყრობითი და თავდაცვითი საბრძოლო მოქმედებების ერთიან პროცესს, ისევე, როგორც მშვიდობას, აქვს გარკვეული ლოგიკის მატარებელი საზოგადოებრივ – პოლიტიკური საფუძველი. დაპყრობითსა და თავდაცვით ომებს, ომის განვითარების, მშვიდობის დამყარებისა და განმტკიცების, ომისა და მშვიდობის ურთიერთ მონაცვლეობის ერთიან პროცესს, ძირითადად განაპირობებს და წარმართავს ომისა და მშვიდობის ლოგიკა და მისგან გამომდინარე, თავდაცვის, როგორც მშვიდობის აღდგენისა და განმტკიცების პროცესის ერთერთი შემადგენელი და ხელშემწყობი ეტაპის, სტრატეგია. ლოგიკაზე დამყარებული თავდაცვის სტრატეგია ერთნაირად მოიცავს როგორც ომს და მის შედეგებს, ასევე მშვიდობას და ამდენად, ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ომის, ასევე მშვიდობის დროს.

დაპყრობითი ომის ძალადობრივ სტრატეგიას უპირისპირდება თავდაცვისა და მშვიდობის გონივრული სტრატეგია.თავდაცვისა და მშვიდობის სტრატეგია

უნდა ემსახურებოდეს არა დამარცხებულ მშვიდობას და აქედან გამომდინარე, გამარჯვებულ ომს, არამედ სამართლიანი მშვიდობის დამყარებასა და განმტკიცებას, რომელიც უზრუნველყოფს დაპყრობითი ომის ობიექტი სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დაცვას, მისი ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და იურისდიქციის აღდგენას საერთაშორისოდ აღიარებული სამართლიანობის ფარგლებში.

ტერმინი „სტრატეგია“ ბერძნულია (STRATEGOS) და საყოველთაოს, საზოგადოს ნიშნავს. მას დიდაქტიკური თვალსაზრისი გააჩნია და გულისხმობს საყოველთაო ცოდნას (STRATEGIKE EPISTEME), საყოველთაო სიბრძნეს (STRATEGON SOPHIA).

ტერმინის – სტრატეგია – თანამედროვე განსაზღვრება, რომელიც დღესაც აქტუალურია და საერთაშორისო დატვირთვა გააჩნია, ასე გამოითქმის: „სტრატეგია არის მეცნიერება, ხელოვნება თუ გეგმა, რომელიც კონტროლდება და მართავს კოალიციის თუ რომელიმე ერის შეიარაღებას და მის მიერ სამხედრო ძალების გამოყენების პროცესებს, რომლებიც მიმართულია ამ ერის თუ კოალიციის ინტერესების და უსაფრთხოების დაცვისკენ პოტენციური, აქტიური თუ მოსალოდნელი მტრის წინაშე“ (სამხედრო ტერმინების ლექსიკონი, გვ. 14. გამომცემლობა კინგი, 1960).

არსებობს სტრატეგიის, როგორც ტერმინის, სხვა, დღეს არანაკლებ აქტუალური, საერთაშორისო დატვირთვის მქონე, ფართო და მრავლისმომცველი,თანამედროვე ამერიკული განსაზღვრება: „სტრატეგია არის ომისა და მშვიდობის დროს სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ძალების განვითარების და გამოყენების ხელოვნება, მეცნიერება, რომელიც გამოიყენება გამარჯვების სასურველი შედეგების მიღების და დამარცხების ალბათობის შემცირებისათვის“.

ომისა და მშვიდობის სტრატეგიის ფენომენი სპეციფიკური და ამასთან, მრავლის მომცველია. იგი, ზოგადად, გულისხმობს სახელმწიფოებსა და ადამიანებს შორის ურთიერთობათა ხასიათს და ამდენად, ძალზედ მნიშვნელოვანია კაცობრიობის ყოფისა განვითარების თითქმის ყველა ასპექტში. სტრატეგია განსაზღვრავს ბრძოლის ეტაპობრივ ხასიათს როგორც ომში, ასევე მშვიდობის დამყარებისა და განმტკიცების პროცესში.

თავდაცვის სტრატეგია ეფუძნება თავდაცვის სტრატეგიის ლოგიკას,რომელიც განაპირობებს ქვეყნის თავდაცვის პოლიტიკისა და სტრატეგიის, ერთიანი თავდაცვითი სტრატეგიული კურსის შემუშავებას, სახელმწიფოს სისტემურ, კონცეფტუალურ განვითარებას.

თავდაცვის სტრატეგიის ლოგიკას, თავის მხრივ განაპირობებენომისა და მშვიდობის ერთიანი სტრატეგიული გარემოს ძირითადი, პირობითი მახასიათებლები – ომისა და მშვიდობის ძირითადი ფაქტორები და არსებული საერთაშორისო სტრატეგიული ფონი, გლობალური საფრთხის შემცველი რისკები და გამოწვევები, მათგან გამომდინარე გლობალური საფრთხეები, ომისა და მშვიდობის სტრატეგიის შიდასახელმწიფოებრივი გარემოებები, ომის საფრთხისა და პროვოცირების განმსაზღვრელი შიდასახელმწიფოებრივი სტრატეგიული გარემოებითი კრიტერიუმები, ომის პრევენციისა და მშვიდობიანი განვითარების განმსაზღვრელი შიდასახელმწიფოებრივი სტრატეგიული გარემოებითი კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავენ ომისა და მშვიდობის, როგორც საზოგადოებრივ პოლიტიკურ მოვლენათა წარმოშობის, განვითარებისა და ურთიერთმიმართების ლოგიკას და სტრატეგიულ საფუძვლებს.

თავდაცვის სტრატეგიის ლოგიკა მოტივირებულია საერთაშორისო სამართლის სუბიექტი ეროვნული სახელმწიფოს დამოუკუდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტის, ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების დაცვით, საყოველთაო მშვიდობის აუცილებლობით და საფუძვლად უდევს თავდაცვისა და მშვიდობის დამყარება – განმტკიცების ერთიან პოლიტიკასა და სტრატეგიას.

თავდაცვის ერთიანი პოლიტიკა და სტრატეგია აუცილებელია შემუშავდეს და განხორციელდეს ომისა და მშვიდობის რეალურად არსებული გლობალური, მაკრო და ლოკალური, მიკრო გარემოს სწორად აღქმითა და მთლიანად გათვალისწინებით, მისი ადექვატური ზომების მიღებითა და შესაბამის ღონისძიებათა გატარებით.

სახელმწიფოს ეროვნული ინტერესებია:

1. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და სახელმწიფოებრიობის დაცვა, სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლება და უსაფრთხოების უძრუნველყოფა;

2. ეროვნული თვითმყოფადობის, ერის ისტორიული მემკვიდრეობის, ისტორიული და კულტურული ღირებულებების გაფრთხილება და დაცვა, ეროვნული იდენტურობის შენარჩუნება, გაფრთხილება და დაცვა;

3. ერის ისტორიული გამოცდილების გათვალისწინება, სახელმწიფოებრიობასთან ასოცირებული და ადაპტირებული ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება, გაფრთხილება და დაცვა;

4. ეკონომოკური და სოციალური განვითარება;

5. განათლებისა და მეცნიერების განვითარება;

6. ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის უზრუნველყოფა;

7. ქვეყნის თავდაცვითი სტრატეგიული გარემოს გაუმჯობესება;

8. რეგიონული და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის ხელის შეწყობა;

9. ქვეყნის ეკოლოგიური გარემოს დაცვა;

10. მეზობელ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობა, საერთაშორისო თანამშრომლობა და პარტნიორობა.

ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა უნდა ექვემდებარებოდეს ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს, ემსახურებოდეს ერისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვას. სახელმწიფო პოლიტიკა განისაზღვრება ეროვნული ინტერესებით და პირველ რიგში აუცილებლად გულისხმობს ერის იდენტურობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას, ერისა და სახელმწიფოს გადარჩენასა და დაცვას, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფოებრიობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის, ერის ისტორიული მემკვიდრეობის, ეროვნული ტრადიციების, ერის კულტურული და ისტორიული ღირებულებების, ცნობიერებისა და მენტალიტეტის, ზოგადად ეროვნული ღირსების, ქვეყნის ეროვნული იერსახის შენარჩუნებას, გაფრთხილებასა და დაცვას.

ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი ნებისმიერი ეროვნული სახელმწიფოსთვის უნდა წარმოადგენდეს მთავარ პრიორიტეტულ სამოქმედო მიმართულებას.ამასთან, სახელმწიფო უნდა აღიარებდეს და პატივს სცემდეს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, აღიარებდეს და იცავდეს საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და პრინციპებს.

ამერიკელი ანალიტიკოსი ჰ. მორგენთაუ, 1948 წელს გამოცემულ წიგნში – „ქვეყნების პოლიტიკა: ბრძოლა ძალაუფლებისა და მშვიდობისათვის“ – აყალიბებს რა პოლიტიკური რეალიზმის პრინციპებს, საერთაშორისო პოლიტიკაში განსაკუთრებულ როლს აკისრებს ეროვნული ინტერესების კონცეფციას, როგორც სახელმწიფოს ძლიერების გარანტორ ინსტრუმენტს და მიიჩნევს, რომ სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის აწმყოსა და მომავალს, დღენიადაგ უნდა ფიქრობდეს და მოქმედებდეს ეროვნული ინტერესებიდან გამონდინარე – მისთვის უმაღლესი ზნეობა უნდა იყოს მისი ქვეყნის ეროვნული ინტერესები. ჰ. მორგენთაუ თავის ნაშრომში ჩამოყალიბებულ ძირითად პრინციპებში ავითარებს აზრს ეროვნული ინტერესების, მათი აღიარებისა და განუხრელი დაცვის, როგორც სუვერენული, თვითმყოფადი ეროვნული სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი და მთავარი განმსაზღვრელი პირობის, გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორის შესახებ. ჰ. მორგენთაუ აღნიშნავს: „ეროვნული ინტერესები დაცული უნდა იყოს არაეროვნული ინტერესების მიერ უზურპაციისაგან.“

ჰ.მორგენთაუ ეხება რა სახელმწიფო მოღვაწეთა მთავარ მოვალეობებს, აღნიშნავს, რომ ისინი, როგორც სახელმწიფოს შიგნით, ასევე მის გარეთ, საერთაშორისო ასპარეზზე მოღვაწეობისას, დღენიადაგ უნდა აზროვნებდნენ და მოქმედებდნენ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

ფლორენციელი ნიკოლო მაკიაველი (14691527) ფუნდამენტურ ნაშრომში „მთავარი“ აყალიბებს პოსტულატს სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ინტერესების ურთიერთმიმართების შესახებ და ამბობს, რომ სახელმწიფო პოლიტიკაში ზნეობრივი ნორმები უნდა ემორჩილებოდეს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

ამერიკელი თეოლოგი რაინჰოლდ ნიბური (1892– 1971), რომლის ნაშრომებმა და მათში მოცემულმა ფუძემდებლურმა პრინციპებმა დიდი როლი ითამაშეს ცივი ომის პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკისსაფუძვლების ჩამოყალიბებაში, ავითარებს აზრს იმის შესახებ, რომ საერთაშორისო სამართლის სუბიექტი ყველა ეროვნული სახელმწიფო უნდა ეწინააღმდეგებოდეს იმპერიალიზმს, დაიცვას ეროვნული ინტერესები ძალთა წონასწორობის მექანიზმის გამოყენებით, საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვით.

ამერიკელი დიპლომატი ჯორჯ ქენანი (1904 – 2005), საუბრობს რა დახვეწილი საერთაშორისო დიპლომატიის ფართო შესაძლებლობების შესახებ, ამავდროულად ხაზს უსვავს სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესების მნიშვნელოვან როლს, რომელიც დიპლომატიას გარკვეულ ზნეობრივ ჩარჩოებში ათავსებს.

მე-20 საუკუნის გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერისა და სახელმწიფო მოღვაწის, ჰენრი კისინჯერის პოლიტიკური კონცეფცია ეხება ეროვნულ სახელმწიფოთა საშინაო და საგარეო პოლიტიკის ურთიერთმიმართებას. მისი აზრით, ქვეყნის ეროვნული ინტერესები და მისი შიდაპოლიტიკური სტრუქტურა სახელმწიფოს სტაბილურობისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ერთერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია. ჰენრი კისინჯერის განმარტებით, სტაბილური პოლიტიკური სტრუქტურების მქონე სახელმწიფოები, რომლებიც ატარებენ ეროვნულ პოლიტიკას და ითვალისწინებენ საგარეო პოლიტიკის მიზნებსა და პრინციპებს, არ წარმართავენ რევოლუციურ, ავანტურისტულ დააგრესიულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას და აქედან გამომდინარე, არ უქმნიან საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობას. უფრო მეტიც, ისინი გვევლინებიან როგორც ეროვნულ სახელმწიფოთა უსაფრთხოების, კონსენსუსისა და სამართლიანობის, საერთაშორისო სტაბილურობისა და მშვიდობის დაცვის მთავარი გარანტნი.

საერთაშორისო ურთიერთობათა ამერიკელი მკვლევარის არნოლდ ვოლფერსის (1892– 1968) პოლიტიკური კონცეფციით, ეროვნულმა სახელმწიფოებმა თავისი საგარეო პოლიტიკა უნდა წარმართონ ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამონდინარე, რაც ძირითადად გულისხმობს ამ სახელმწიფოთა ტერიტორიული

მთლიანობის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ეროვნული ღირებულებების, ისტორიული მემკვიდრეობის, ეროვნული თვითმყოფადობისა და ეროვნული უსაფრთხოების დაცვას – სახელმწიფოს თავდაცვას.

ქვეყნის ეროვნული ინტერესები უპირველესად მოითხოვს სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცვას, თავდაცვას, რაც ერთადერთი, სასისცოცხლოდ აუცილებელი, ლოგიკური არჩევანია საერთაშორისო სამართლის სუბიექტი ეროვნული სახელმწიფოსათვის მისი გადარჩენის, ტერიტორიული მთლიანობის, დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, თავისუფლების, ისტორიული მემკვიდრეობის, ეროვნული თვითმყოფადობის, ეროვნული ღირებულებებისა და ინტერესების, ეროვნული ღირსების დაცვის, ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის, სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

საერთაშორისო თანამეგობრობის გლობალური ინტერესები აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფოთა ეროვნულ ინტერესებს და პირიქით, სახელმწიფოთა ეროვნულ ინტერესებში ისეთი გლობალური ინტერესებიც უნდა იყოს გათვალისწინებული, რომლებიც არათუ ზიანს არ მოუტანენ ეროვნულ სახელმწიფოებრივ საფუძვლებს, არამედ განამტკიცებენ ამ ფუნდამენტს და ხელს შეუწყობენ მათ უსაფრთხო და მშვიდობიან განვითარებას.

ქვეყნის სახელმწიფოებრიობის, ტერიტორიული მთლიანობის, დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ეროვნული ღირებულებებისა და ინტერესების, როგორც უზენაესი ეროვნული კატეგორიების დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი ეროვნული სახელმწიფოს უმთავრეს ღირებულებით ფენომენს.

ქვეყნის უმთავრესი ღირებულებითი ფენომენის – უზენაესი ეროვნული კატეგორიების დაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვან და გადამწყვეტ როლს თამაშობს სახელმწიფოს ძლიერება.

სახელმწიფოს ძლიერების განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორ – კომპონენტებია:

1. გეოგრაფიულ-ტერიტორიული მახასიათებლები – მდებარეობა, ტერიტორიული მდგრადობა, ბუნებრივი საზღვრები, რელიეფის თავისებურებანი;

2. მოსახლეობა, ისტორიული განვითარების საფეხური და ხასიათი, ისტორიული მემკვიდრეობა და სახელმწიფოებრიობის გამოცდილება, სახელმწიფოებრიობასთან ასოცირებული და ადაპტირებული ეროვნული ტრადიციები;

3. ერის ცნობიერება, ეროვნული მენტალიტეტი და მენტალური მოტივაცია, ერის კულტურული და ინტელექტუალური პოტენციალი, განათლებისა და მეცნიერების განვითარების დონე;

4. ეკოლოგიური გარემო;

5. ბუნებრივი რესურსები და ენერგეტიკული პოტენციალი;

6. ტექნოლოგიური პოტენციალი;

7. ეკონომოკური პოტენციალი, ეკონომოკური განვითარების დონე და სოციალური ფონი;

8. თავდაცვისუნარიანობა, თავდაცვის პოლიტიკა და სტრატეგია;

9. ქვეყნის საგარეო პოლიტიკა;

ლექცია 15. დემოკრატიული მშვიდობის თეორია

მიჩნეულია, რომ დღესდღეობით ევროპა ყველაზე მშვიდი კონტინენტია მსოფლიოში. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ ევროპის სახელმწიფოებს ერთმანეთთან არ უომიათ. აღსანიშნავია, რომ ორ მსოფლიო ომში და უფრო ადრეც ევროპის სახელმწიფოები უამრავ სისლისმღვრელ ომში იყვნენ ჩართულნი ერთმანეთის წინააღმდეგ.

ევროპის კონტინენტის მშვიდობისაკენ ტრანსფორმირება და სახელმწიფოთა შორის მეგობრული თანაცხოვრება გამოიწვია ევროკავშირის შექმნამ, როდესაც მისი წევრი სახელმწიფოები ფინანსურად და უსაფრთხოების მხრივ ერთმანეთზე დამოკიდებულნი აღმოჩნდნენ. მნიშვნელოვანი და, ვთვლი, რომ გადამწყვეტი ფაქტორია ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის საერთო დემოკრატიული ღირებულებებისა და ფასეულობების გავრცელებაც. სახელმწიფოებმა, რომლებმაც გაიზიარეს ლიბერალიზმის პრინციპები, პატივს სცემენ ერთმანთის არსებობის უფლებას, სუვერენიტეტსა და შეუვალობას. ევროპის დემოკრატიები მიისწრაფვიან მათ შორის წამოჭრილი დავები ომის ნაცვლად მოლაპარაკებების მაგიდასთან გადაჭრან, თანაც ისე, რომ მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული მხარეთა ინტერესები. აქედან გამომდინარე, თითოეული ლიბერალური სახელმწიფო მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და თანამშრომლობისკენ მიისწრაფის.

ევროპის კონტინენტზე დამყარებულ მშვიდობას შეისწავლის და აღგვიწერს დემოკრატიული მშვიდობის თეორია, რომლის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი მაიკლ დოილია. დოილის ნაშრომებიდან ვკითხულობთ, რომ ევროპულ დემოკრატიებს ერთმანეთან ომი ჯერ არ ჰქონიათ. დემოკრატიული მშვიდობის თეორია მაინტერესებს, რადგანაც ის გვიხსნის ევროპის კონტინენტზე დამყარებული ხანგრძლივი მშვიდობისა და მეგობრული თანაცხოვრების მიზეზებს, რომელთა წყალობითაც დასავლეთის საზოგადოებებმა აღმავლობას მიაღწიეს და მსოფლიოში მოწინავეებად ითვლებიან სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სფეროებში.

დემოკრატიული მშვიდობის თეორიის ლიტერატურული მიმოხილვით შევეცდები ვაჩვენო, რომ ომების მიზეზები არალიბერალურ მსოფლხედვაშია, ლიბერალური პრინციპების მიღების შემდგომ კი კლებულობს ან საერთოდ ქრება დავების და კონფლიქტების ომის გზით გადაწყვეტის ჩვეულება.

დემოკრატიული მშვიდობის თეორიაზე დაყრდნობით ლიბერალური ღირებულებებისა და დემოკრატიის გავრცელება ბოლოს მოუღებს სახელმწიფოთა შორის ომებსა და კონფლიქტებს. ომი, როგორც ძალისმიერი გზით საკუთარი ინტერესების გატარება, აღარ იარსებებს.

საბოლოოდ, ლიტერატურული მიმოხილვის შედეგად ვაპირებ, გამოვიტანო დასკვნა, რომ დემოკრატიული მშვიდობის თეორიის ძირითადი პრინციპები მართებულია, და ევროპის ლიბერალურ დემოკრატიებს შორის ომი არ მიმხდარა და არც სამომავლო პერსპექტივაშია მოსალოდნელი.

დემოკრატიული მშვიდობის თეორიის მიხედვით, ლიბერალურ სახელმწიფოებს შესწევთ უნარი, "ომის მდგომარეობა ჩაანაცვლონ მშვიდობით." ეს განსაკუთრებული შემთხვევა ლიბერალიზმს ემყარება და არა რაიმე უფრო კონკრეტულ ან უფრო ზოგად ფაქტორს.

დამტკიცებულია, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის ომის არარსებობა გამომდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობების ემპირიული კანონებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ორ სახელმწიფოს შორის ომის დაწყების ალბათობა დაბალია, ლიბერალურ დემოკრატიებს შორის ომის დაწყების ალბათობა არ არსებობს. ეს გამოწვეულია მთელი რიგი ისტორიული, კულტურული თუ პოლიტიკური ფაქტორებით. ლიბერალურ დემოკრატიებს შორის არსებული ამგვარი მშვიდობა და სტაბილურობა ეჭვქვეშ აყენებს არამარტო სხვა რეჟიმებს, (ფაშიზმი, კომუნიზმი), არამედ საუკუნეების განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობებში გაბატონებული იდეოლოგიის-რეალიზმის ძირითად მოსაზრებას, რომ საერთასორისო ანარქიულ არენაზე სახელმწიფოები ძალთა ბალანსიდან გამომდინარე მოქმედებენ და უძლიერესი სახელმწიფოები ცდილობენ დააადგინონ და აკონტროლონ ძალთა წონასწორობა. რეალიზმი უძლური გამოდგა აეხსნა ხანგრძლივი მშვიდობა ევროპის სახელმწიფოებს

შორის. ამ პრაქტიკას საუკეთესოდ ხსნის დემოკრატიული მშვიდობის თეორია, თავისი ლოგიკური და მყარი მტკიცებულებებით. აღნიშნული თეორია უკავშირდება იმანუელ კანტის მოსაზრებას მარადიულ მშვიდობაზე. დემოკრატიული მშვიდობის თეორია მიიჩნევს, რომ დემოკრატიულ ღირებულებებს ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულებასა და ვაჭრობასთან ერთად შეუძლიათ მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარება.

დემოკრატიული მშვიდობის თეორიის საფუძვლები იმანუელ კანტის "მარადიულ მშვიდობაში" შეიძლება ვეძიოთ. კანტი ამტკიცებს, რომ აბსოლიტური მონარქიების აგრესიული ინტერესების შეზღუდვის შემდეგ შეიქმნება რესპუბლიკური მთავრობა, რომელიც დაეფუძნება ინდივიდის უფლებების პატივისცემას. რესპუბლიკურ სახელმწიფოში ომი დამღუპველი იქნება ხალხის კეთილდეობისათვის. რესპუბლიკების მმართველები იძულებულნი იქნებიან ომის დასაწყებად ხალხს დაეკითხონ. მოსახლეობა კი, რომელსაც მოუწევს ომის ხარჯები თავისით დაფაროს, საკუთარ თავზე იწვნიოს ომის საშინელება, კარგად დაფიქრდება სანამ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს. კევინ ბლასეკის მიხედვით, დემოკრატიულ მშვიდობის თეორიას აქვს სტრუქტურული და ნორმატიული ახსნა, თუ რატომაა მშვიდობა ასეთი მყარი ლიბერალურ სახელმწიფოებს შორის. თეორიის კარგად გასაგებად აუცილებელია ორივე მათგანის განხილვა.

სტრუქტურული ახსნა გულისხმობს ლიბერალური ხელისუფლების არჩევითობასა და ინსტიტუტების სიმყარეს, რომლებიც ქმნიან კანონებს ხელისუფლებისა და მოქალაქეებისათვის. ლიბერალმა ხელისუფალმა იცის, რომ ელექტორატს შეუძლია ის "დასაჯოს", დააკარგვინოს თანამდებობა არასაჭირო ომის წარმოებისათვის. ხალხისთვის ომის ხარჯი დიდია. აქედან გამომდინარე, ლიბერალი ხელისუფალი კარგად დაფიქრდება ვიდრე ომს წამოიწყებს, შეეცდება კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი გზების გამოძებნას. დემოკრატიული სტრუქტურები(ინსტიტუტები) მოსახლეობას ანიჭებენ ხელისუფლების კონტროლის ბერკეტებს, შედეგად ლიბერალური ხელისუფლება არ იწყებს ომს სხვა, ლიბერალურად მოაზროვნე, დემოკრატიულ ხელისუფლებასთან. სიტყვის თავისუფლება, დემოკრატიული არჩევნები და პოლიტიკური პლურალიზმი არადემოკრატ ლიდერსაც კი შეუმცირებენ ომის წამოწყების ალბათობას.

ნორმატიული ახსნა მოიცავს კულტურულ ღურებულებებს, რომლებიც მართავენ ლიბერალურ დემოკრატიებს. დემოკრატი ხელისუფალი არ დაიწყებს ომს სხვა დემოკრატიასთან, დარწმუნებული იმაში, რომ იმ სხვა სახელმწიფოსაც დავის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა სურს.(2) დემოკრატიული რესპუბლიკები თავიანთი მოსახლეობის აზრსა და შეხედულებებს ითვალისწინებენ. სწორედ ნორმატიული და სტრუქტურული პრინციპების ერთობლიობაზეა დამოკიდებული პოლიტიკური პლურალიზმი, გამჭვირვალე არჩევნები, ადამიანის უფლებების დაცვა, რაც დემოკრატიული მშვიდობის თეორიას უდევს საფუძვლად. ამ ორი ახსნიდან ჯარროდ ჰაიესს გამოაქვს დასკვნა, რომ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ზღუდავს პოლიტიკის შემოქმედებს და კონფლიქტის არაძალადობრივი გზით გადაჭრის ნორმები სულ უფრო ძლიერდება. დემოკრატიული მშვიდობის თეორიაში ძირითადია სახელმწიფათა "მშვიდობიანი ხასიათი."

ჯარროდ ჯაიესი განიხილავს მოსაზრებას, რომ კონსტიტუციური დემოკრატიები მშვიდობიანები არიან ერთმანეთთან დადებული სტაბილური კონტრაქტების გამო. კერძოდ, ისინი თანხმდებიან დემოკრატიულ უპირატესობებზე, რასაც სჭირდება დემოკრატიული სტაბილურობა, აუდიტორიული დანახარჯები (შეხვედრები სახელმწიფოთა დონეზე), პროცედურების ჩანერგვა.

დემოკრატიები სწავლობენ ჩამოაყალიბონ მისწრაფება შეთანხმებებისაკენ. ეს ყოველივე კი მეტ ფინანსურ და მორალურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. სახელმწიფოებს არ უღირთ ამ ყოველივეს უკუგდება ომის წარმოების გამო.

მაიკლ დოილი თავის ნაშრომში" კანტი, ლიბერალური მემკვიდრეობა და საგარეო საქმეები" განმარტავს ლიბერალიზმის სამი ტიპის უფლებას, რომლებიც განამტკიცებენ ლიბერალურ საზოგადოებას, და თავისთავად, დემოკრატიული მშვიდობის თეორიას. დოილის თქმით, ლიბერალიზმი განამტკიცებს სამი სახის უფლებების ერთგულებას. ესენია :

1) ნეგატიური თავისუფლება: თავისუფლება თავნება ხელისუფლებისაგან, სინდისის პრესისა და სიტყვის თავისუფლება, კანონის წინაშე თავისუფლება, საკუთრების ფლობის უფლება.

2) პოზიტიური თავისუფლება: განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა, ჯანდაცვისა და დასაქმების უფლება.

3) დემოკრატიული მონაწილეობა-წარმომადგენლობა: აუცილებელია წინა ორი უფლების ფუნქციონირებისათვის. საჯარო კანონმდებლობა უნდა ასახავდეს მოქალაქეთა ნებას თავადვე შექმნან საკუთარი საზოგადოებისათვის კანონები.

ამ უფლებებზე დაყრდნობით, დემოკრატიული მშვიდობის თეორიის ძირითადი პრინციპია, რომ სახელმწიფოებს აქვთ უფლება თავისუფალნი იყვნენ უცხოური ინტერვენციისაგან. დემოკრატიულ სახელმწიფოებს პოლიტიკური დამოუკიდებლობის განხორციელების უფლება გააჩნიათ, რადგანაც მათ მოქალაქეებს, ზნეობრივად ავტონომიურ ინდივიდებს, თავისუფლების უფლება აქვთ. დემოკრატიული მშვიდობის თეორია აღიარებს სახელმწიფოების თავისუფლად არსებობის უფლებას. დემოკრატიული სახელმწიფოები უფრო მშვიდობისმოყვარენი არიან. ლიბერალური დემოკრატიები თავს იკავებენ არადემოკრატიულ რეჟიმებთან ომის წინააღმდეგაც და მიისწრაფვიან ომის ალტერნატიული გზები გამონახონ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სულ უფრო მეტი სახელმწიფო ხდება დემოკრატიული. კანტისეული სამყარო "მარადიული მშვიდობისა" იწყებს ჩამოყალიბებას, რომელსაც კარგად ესადაგება დემოკრატიული მშვიდობის თეორია.

დან რაიტერი და ალან სტანი ნაშრომში "დემოკრატიები ომში" გვთავაზობენ ახსნას, თუ რატომ იკავებს თავს დემოკრატიული რეჟიმი ომის წარმოებისაგან. მათი აზრით, დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელიც იწყებს ომს უფრო მეტი შანსი აქვს მისი მოგებისა, ვიდრე არადემოკრატიულს. ომის მოსაგებად აუცილებელია მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა, დემოკრატიულ სახელმწიფოებში კი მოსახლეობა წყვეტს ომის მხარდაჭერას თუ ის ძალიან გაჭიანურდება, მიიჩნევს რა მას ქვეყნისთვის ზარალის მომტანად. აქედან გამომდინარე, ხელისუფლება იძულებულია არა მხოლოდ მოიგოს ინიცირებული ომი, არამედ მოიგოს ძალიან სწრაფად. სახელმწიფოები ერიდებიან გაჭიანურებულ ომს და, შესაბამისად, თავს იკავებენ ომის წამოწყებისაგან. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ წარმოებულ ომს ავღანეთში შეხვდა დიდი წინაამღდეგობა ამერიკელების

მხრიდან. ისინი მოითხოვდნენ ომის შეწყვეტას, რომელსაც ეწირებოდა მათი შვილების სიცოცხლე, და რომელიც ძალიან დიდ ხაჯებთან იყო დაკავშირებული. ავტორები აღნიშნავენ, რომ, მართალია, დემოკრატიელი რეჟიმების გავრცელება სრულებით ვერ აღმოფხრის კონფლიქტებს, მაგრამ ფართომასშტაბიან და სიხლისმღვრელ ომს სახელმწიფოთა შორის აღარ ექნება ადგილი.

უფრო მყარი არგუმენტი შეგვიძლია გამოვიტანოთ დემოკრატიული მშვიდობის თეორიის ორმხრივი პოზიციიდან. დემოკრატიული რეჟიმები ქმნიან განცალკევებულ და ერთიან მშვიდობას დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის. კევინ პლაცეკის მიხედვით, თუ ავტოკრატია შეიცვლება დემოკრატიით კონფლიქტის ალბათობა 33%-ით შემცირდება. სახელმწიფოთაშორისი მეტოქეობაც მცირდება, რადგანეც საერთაშორისო ლიბერალური ინსტიტუტები და ხელშეკრულებები ავალდებულებენ სახელმწიფოებს შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები და ითანამშრომლონ. არადემოკრატიული რეჟიმები კი არ ითვალისწინებენ ნახსენებ საერთაშორისო ნორმებისა და ინსტიტუტების დადგენილებებს და სულ უფრო ხშირად მიმართავენ ომს, როგორც მოქმედების ტაქტიკას საერთაშორისო არენაზე. შედეგად თუ ლიბერალური დემოკრატია რაც შეიძლება მეტ სახელმწიფოში გავრცელდება ომის ალბათობა გაქრება.

ლიბერალური სახელმწიფოები არიან უკეთ ორგანიზებულნი და მომზადებულნი თანამშრომლობისათვის, ისინი მზად არიან დაიცვან მშვიდობა არადემოკრატიულ სამყაროში და უზრუნველყონ მისი გავრცელება.

პოლიტიკური ინსტიტუტები და ქცევის მოდელები, რომლებიც დამახასიათებელია ლიბერალური სახელმწიფოებისათვის, უბიძგებენ მათ გაატარონ ფრთხილი და ეფექტური მიდგომა ძალის მიმართ და ამით მაიღწიონ უსაფრთხოებას მოსახლეობისათვის. დემოკრატიები ამყარებენ უსაფრთხოებას თავიანთი მოსახლეობის დაცვითა და ინსტიტუტების გაძლიერების ხელშეწყობით. დემოკრატიული მშვიდობის თეორიის ეს პრინციპები უპირისპირდებიან ლიბერალიზმს, რომელიც სახელმწიფოს ძირითად ინტერესებად ძალთა ბალანსის შენარჩუნებასა და მაქსიმალური ძლიერების მიღწევას მიიჩნევს, აგრეთვე უარყოფს ინსტიტუტების მნიშვნელობას. (“დემოკრატიული მშვიდობის თეორია” ა. პლასეკი) დემოკრატიული მშვიდობის თეორიისათვის არსებითია

საერთაშორისო ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების არსებობა, რომლებიც განამტკიცებენ მშვიდობას. საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია, ევროკავშირი და, რა თქმა უნდა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ფუნდამენტურია დემოკრატიული მშვიდობის თეორისათვის.

ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება აღრმავებს ქვეყნებს შორის თანამშრომლობას. ლიბერალურმა დემოკრატიებმა უფრო მეტად უნდა ითანამშრომლონ არადემოკრატიულ სახელმწიფოებთან(ჩინეთი, უგანდა, ბელორუსი), ლიბერალური ღირებულებების განსამტკიცებლად. კარგი გზაა ვაჭრობის გაღრმავებაც. მერკანტილიზმისაგან თავისუფალი, ლიბერალური ბაზარი ერთ-ერთი ფაქტორია საიმისოდ, რომ სახელმწიფომ აღიაროს ლიბერალური პრინციპები. კონფლიქტის ალბათობა ორ სახელმწიფოს შორის, რომლებსაც მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან 33%-ით უფრო დაბალია, ვიდრე მათ შორის ვისაც არააქვს ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება.

დოულის მიხედვით, საერთაშორისო სამართალი არსებითი მნიშვნელობისა დემოკრატიული მშვიდობის თეორიისათვის. განსხვავებული ენებითა და რელიგიებით გამიჯნული სახელმწიფოები ლიბერალიზმის დოქტრინასთან ზიარების შემდგომ უზრუბველყოფენ ერთმანეთის პატივისცემის გარანტიას. რაც იწვევს სახელმწიფოთა ზნეობრივ ინტეგრაციას, რადგან " კულტურა ვითარდება და ადამიანები თანდათანობით უახლოვდებიან უფრო ფართო თანხმობას მშვიდობისა და ურთიერთგაგების პრინციპების თაობაზე." (პირველი წყარო ბიბლიოგრაფიიდან ჯერვისი) სახელმწიფოთა პოლიტიკა უფრო გამჭვირვალეა, ადამიანის უფლებები დაცული და ამგვარად ლიბერალური დემოკრატიები დარწმუნებულნი არიან ერთმანეთის მშვიდობიან ზრახვებში. კოსმოპოლიტური სამართალი სახელმწიფოებს უბიძგებს ჩაერთონ სახელმწიფოთა შორის ვაჭრობაში, აქედან გამომდინარე ისინი იზიარებენ მშვიდობის ფუნდამენტურ პრინციპებს. ყოველივე აქედან გამომდინარე, ლიტერატურულ მიმოხილვას დავასრულებ დოილის მოსაზრებით, რომ ლიბერალურ პრინციპებზე დაფუძნებული ალიანსები ძალიან მტკიცეა და ლიბერალურ სახელმწიფოებს შორის ხანგრძლივი სეპარატიული მშვიდობა სუფევს.

კევინ ბლასეკის მიხედვით, დემოკრატიული მშვიდობის თეორიის კრიტიკოსები ძირითადად მიმართულნი არიან მეთოდოლოგიისაკენ. სპეციფიკური განსაზღვრებების სუბიეტქურობა გავლენას ახდენს ემპირიულ კვლევებზე, რაც საბოლოოდ აისახება კვლევის შედეგებზე. ამის გათვალისწინებით სადავოა თეორიის მართებულობის თავდაჯერებით მტკიცება. ეს ჰიპოტეზა უარყოფილია უამრავი კვლევის შედეგად, რომლებმაც აჩვენეს, რომ დემოკრატიისა და ლიბერალიზმის პრინციპების გამზიარებელი სახელმწიფოები არ ომობენ ერთმანეთთან, არ ესწრაფვიან ომსა და კონფლიქტებს.

ბლასეკისვე მიხედვით, კრიტიკის მეორე ტალღა ეკუთვნით მეცნიერებს, რომლებსაც არ შეუტანიათ ეჭვი ემპირიულ კვლევებში. ისინი შეეცადნენ, ეჭვქვეშ დაეყენებინათ აუცილებელი კავშირი დემოკრატიასა და მშვიდობას შორის. მაგალითად, რეალისტური სკოლის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოთა შორის ომის დაბალ ალბათობას განაპირობებს არა საერთო პოლიტიკური ღირებულებები თითოეული მათგანის ტერიტორიაზე, არამედ სახელმწიფოთა საერთო ინტერესები. მაშინ, როდესაც დემოკრატიული მშვიდობის თეორია დემოკრატიებს შორის საერთო პოლიტიკურ ღირებულებებს მიიჩნევს უმთავრესად. რეალისტების მტკიცებით, მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში დემოკრატიული სახელმწიფოები უფრო მიდრეკილნი იყვნენ შეექმნათ ერთმანეთთან ალიანსები, ვიდრე ერთი საუკუნის წინ. აქედან გამომდინარე, მათთვის საერთაშორისო სტრუქტურა, მათი ინტერესები უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საშინაო პოლიტიკური ღირებულებები. რეალიზმი დემოკრატიული მშვიდობის თეორიას აკრიტიკებს, რადგანაც ის ნაკლებ აქცენტს აკეთებს საერთაშორისო სისტემის სტრუქტურაზე და მეტს საერთო ღირებულებებით ნაკარნახევ თანამშრომლობაზე. რეალისტური კრიტიკა უგულებელყოფილი იყი კვლევებით, რომელთაც აჩვენეს, რომ არა დემოკრატიების ალიანსები, არამედ თავად დემოკრატია იყო ძირითადი ფაქტორი ომების შემცირებაში. ალიანსში არ მყოფი დემოკრატიები უფრო ნაკლები ალბათობით იომებენ ერთმანეთთან, ვიდრე ალიანსში მყოფი არადემოკრატიები. ორი არადემოკრატიული სახელმწიფო, რომელთაც აქვთ ერთი ინტერესი შეიძლება აღმოჩნდნენ ომში ერთმანეთის წინააღმდეგ, ორი დემოკრატიული სახელმწიფო კი, რომელთაც არ აქვთ საერთო ინტერესი ნაკლებად.

დემოკრატიული მშვიდობის თეორიის ძლიერი კრიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ დემოკრატიული რეჟიმები მხოლოდ ერთმანეთთან ამყარებენ მშვიდობიან ურთიერთობებს, არადემოკრატიულ რეჟიმებთან კი ინარჩუნებენ დაძაბულ ურთიერთობებს და ომსაც კი იწყებენ. აშშ 1914 წელს ომში პრეზიდენტ ვილსონის ხელმძღვანელობით ჩაება, საფრანგეთი კი 1830იან წლებში კოლონიურ ომებს აწარმოებდა ალჟირის წინააღმდეგ.

ბლასეკი ასახელებს ორ შემთხვევას, თუ როდის შეიძლება გახდეს დემოკრატიის გავრცელება მშვიდობის პროცესის დამრღვევი. პირველი შემთხვევაა ქვეყნის დემოკრატიული ტრანზაცია, როდესაც ქვეყნის პოლიტიკური ინსტიტუტები სუსტია, ან, როდესაც დემოკრატიულ ელიტას თვითონ დემოკრატიზაციის პროცესი უქმნის საფრთხეს. ასეთ ვითარებაში ხშირია აგრესიული ნაციონალისტური მაძრაობები, მაგალითად 30-იანი წლების გერმანიაში და სახელმწიფოთა მმართველი ელიტების დიქტატორ მმართველებად ჩამოყალიბება, გარკვეულ ეტაპზე ისინი ელექტორატის მხარდაჭერასაც კი მოიპოვებენ. პერუ 1980-იან წლებში.

მეორე შემთხვევა უკავშირდება პირველს. სახელმწიფოები არ ისურვებენ დემოკრატიული იდეოლოგიის მიღებას თუ მათ დემოკრატიული რეჟიმები არ დაეხმარებიან შიდა უთანხმოებების მოგვარებაში. ამგვარი დახმარება სამხედრო ჩარევასაც კი გულისხმობს, ახლადჩამოყალიბებულ დემოკრატიებში. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული მშვიდობის თეორიის მიხედვით, ლიბერალური-დემოკრატიები არ იყენებენ სამხედრო ძალას ურთიერთობაში. (ევროკავშირის ძალების ოპერაცია ლიბიაში.) მსგავს ჩარევას საერთაშორისო ორგანიზაციების, ძირითადად გაეროს, თანხმობა სჭირდება.

დემოკრატიული მშვიდობის თეორია ინსტიტუციურ და ნორმატიულ ასპექტებზე დაყრდნობით გვთავაზობს მიზეზთა ლოგიკურ ჯაჭვს თუ რატომ მიგვიყვანს დემოკრატიის გავრცელება გლობალურ დონეზე საერთაშორისო მშვიდობამდე. საერთაშორისო ორგანიზაციები შეზღუდავენ ეროვნული მთავრობას წამოიწყოს ომი თვითნებურად, ელექტორატის თანხმობის გარეშე. დემოკრატიული ღირებულებები კი მოლაპარაკებების მაგიდასთან მიიყვანს სახელმწიფოებს, ნაცვლად ბრძოლის ველისა. რა თქმა უნდა, დემოკრატიული მშვიდობის თეორია არ ამტკიცებს, რომ ომი მთლიანად გაქრება, მაგრამ

დემოკრატიის გავრცელებასთან ერთად ომის ალბათობა მინიმუმამდე დავა. ლიბერალური დემოკრატიები მიისწრაფვიან მოაგვარონ დავა მოლაპარაკებებითა და არ მოახდინონ კონფლიქტის ესკალაცია. ლიბერალური იდეების გავრცელება უზრუნველყოფს სახელმწიფოებში გამჭვირვალე არჩევნებს, ადამიანთა უფლებების პატივისცემას, ხელისუფლება ანგარიშვალდებული გახდება ამომჩეველთა წინაშე. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საერთაშორისო ინსტიტუტებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების სტაბილურობას. ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებაც სახელმწიფოთა შორის მშვიდობის მყარი გარანტიაა.

ფაქტია, რომ ამ ღირებულებების გამზიარებელ დემოკრატიულ რეჟიმებს შორის არ მომხდარა სამხედრო დაპირისპირება.